

ა. არაბიძის და ამხანაგობის გამომცემლობა

ვნ. ნიკოლაძე

სომხურ-ქართული ურთიერთობანი
1893-1898 წლებში



ძველი სტატიები ახალი წინასიტყვაობით



ტფილისი

სახელმწიფო ტიპოგრაფია

1920

წერილები თარგმნეს

დალი ჩიკვილაძემ

ლია ბიბილეიშვილმა

წინათქმა და კომენტარები დაურთო, გამოცემისთვის მოამზადა

დალი ჩიკვილაძე

რედაქტორი

ლაშრა კუტუბიძე

წიგნი მომზადებულია

ნიკო ნიკოლაძის საზოგადოების

მიერ

გამოცემის მხარდამჭერები:

„ბერონტი (ჯუკა) კუსალეიშვილის ფონდი“

„ჯეპრა“

ტექნიკური რედაქტორი:

გიორგი ფარეშვილი

სარედაქციო ჯგუფი:

დავით კორტავა

გიორგი კუსალეიშვილი

რუსუდან უსტიაშვილი

ბია (ბაკი) დარჯანია

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

ირაკლი ბელთაძე

ISBN 978-9941-480-68-3

რედაქტორისაბან

ყველა ადამიანს თავისი დანიშნულება აქვს ამ ნუთისოფელში. დალი ჩიკვილაძე, ასე მგონია, ნიკო ნიკოლაძის მემკვიდრეობის სამსახურად იყო გამწესებული. სულ ცოტა ოთხი ათეული წელი მაინც, ახლოით თუ შორიდან, დალი ჩიკვილაძესთან ჩემ ურთიერთობას რეფრენივით სდევდა დიდი ნიკოს აჩრდილი. სტუდენტობიდანვე მომნუსხა ნიკო ნიკოლაძის დროსგასწრებულმა და ყოვლისმომცველმა აზროვნებამ, რომლის კვალზეც, მეც და არაერთი ჩემისთანა, სწორედ დალი ჩიკვილაძემ დაგვაყენა.

ისე მოხდა, რომ ნიკო ნიკოლაძის წინამდებარე ნაშრომზე მუშაობა “კოვიდ 19”-ის პანდემიის და კარანტინის პერიოდს დაემთხვა. ქალბატონ დალის ოთხმოცამდე გვარი ჰქონდა ამ ნაშრომიდან ამონერილი კომენტარებისთვის და ნუხდა, რომ საჯარო ბიბლიოთეკაში მუშაობის და უცნობი პერსონების თაობაზე მაქსიმალური ინფორმაციის მოძიების საშუალება არ ჰქონდა. კარანტინის გამო იძულებითმა “შინაპატიმრობამ” ოდნავადაც ვერ შეცვალა მისი მუდამ ენერგიული და ხალისიანი განწყობა, ყოველი დარეკვისას, მისთვის ჩვეული გადამდები ენთუზიაზმით სავსე, მომახარებდა მორიგი დეტალის დაზუსტებას. საოცარი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ყველა ნიუანსს, სამეცნიერო მუშაობისა თუ ადამიანური ურთიერთობისას...

ამ წიგნის რედაქტორობა ჩემთვის ისედაც პატივია და ახლა მით უფრო, რადგან ისე გამოვიდა, რომ ნიკო ნიკოლაძის ამ ნაშრომის გამოსაცემად მომზადებით

დალი ჩიკვილაძემ, ჯერ ისევ ულევნი ენერჯით, ცოდნით, გამოცდილებით აღსავსემ, დაასრულა დიდი ნიკოს, “დროსგასწრებული მამულიშვილის” მემკვიდრეობის სამსახური... და ახლა მე მიხდება დალი ჩიკვილაძის სახელით დიდი მადლობა ვუთხრა ნიკო ნიკოლაძის საზოგადოებას და პირადად ბ-ნ გიორგი ფარეშიშვილს, რომელმაც ითავა ამ ნაშრომის გამოცემა; მადლიერებას გამოვხატავ, ასევე, კომპანია “ჯეპრას”, გამომცემლობა “უნივერსალის”, პროფესორ ოთარ ჯანელიძის მიმართ. პირადად მე კი მადლობის გადახდით გამოვხატავ პატივისცემას დალი ჩიკვილაძის ოჯახის, მისი ქალიშვილის ლელა თავზარაშვილის მიმართ, რომელიც სიყვარულით და კრძალვით უფრთხილდება ნიკო ნიკოლაძესთან დაკავშირებულ თუნდაც სტრიქონს დედის მდიდარი არქივიდან.

ლაურა კუტუბიძე
სექტემბერი, 2020

წინათქმა

„სიბნელისა და სიდუხჭირის“ ჟამს დაწერილ სტატიებს უწოდებს ნიკო ნიკოლაძე ასზე მეტი წლის წინათ გამოქვეყნებულ წერილებს, რომლებიც კავკასიის რუსულ პრესაში, ტფილისში იბეჭდებოდა 1893-1898 წლებში, სადაც „წვრილმანი ანგარიშსწორება და კინკლაობა სუფევდა“. ეს წიგნი კი, რომელიც ახლა ხელთ უპყრია მკითხველს, 1920 წლის იანვარში გამოქვეყნდა სათაურით – „სომხურ-ქართული ურთიერთობანი 1893-1898 წლებში. ძველი სტატიები ახალი წინასიტყვაობით“. ნიკო ნიკოლაძეს სწამდა, რომ ყოველდღიური გასაჭირი და მოსაგვარებელი პრობლემები იგივე იყო, რაც დღევანდელი (იმჟამინდელი – დ. ჩ.) თაობისთვის“, ოღონდ ყოველ თაობას ზოგს დიდი, ზოგს მცირე წვლილი შეჰქონდა თვითგამორკვევის საქმეში. რუსეთის დესპოტიზმის ფონზე არსად შეიძლებოდა ისე თავისუფლად სუნთქვა, როგორც ჩვენთან, კავკასიაში, ვიდრე ურთიერთთავდასხმის ტაქტიკა გაბატონდებოდაო, – აღნიშნავდა ნ. ნიკოლაძე.

არადა, წიგნი დაიბეჭდა **საქართველოს რესპუბლიკის** დამყარების პირველ წლებში, როდესაც ქვეყანა ცდილობდა უსამართლობის და უძრაობის ბოხოქრობიდან გამოეყვანა ახალი საქართველოს პოლიტიკა. მაშინდელ რუსულ დესპოტიზმთან პუბლიცისტების ბრძოლის პათოსმა მალე მოიპოვა სიცოცხლისუნარიანობა და ორი ათეული წელი „ხელში ეჭირა“ სამხარეო მმართველობაო, – აღნიშნავს ნ. ნიკოლაძე და იმ პერიოდის მისი პუბლიცისტური სტატიები გედის სიმღერასავით ეძვირფასება, გული სწყდება, რომ განვითარებულმა ამბებმა გონება

დაუბნელა იმ ადამიანებს, ვინც გონებაზეზღუდულად არ ითვლებოდა.

არადა, ამ წლების სათათბიროსა და თვითმმართველობის საქმიანობის ავ-კარგზე მსჯელობა დაუსახავს მიზნად ნიკო ნიკოლაძეს, რომელიც ტფილისის საკრებულოში ოთხგზის იყო არჩეული და „შიგნიდან“ იცოდა ძალიან კარგად ყოველივე, რაზეც წერდა, აკრიტიკებდა და გამოფხიზლებისაკენ მოუწოდებდა სომეხ ქალაქის თავებს, თუ საკრებულოს და თვითმმართველობის წევრებს.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მკითხველს გავახსენო ნიკო ნიკოლაძის ის სამაგალითო ღვაწლი, რაც მან ტფილისქალაქის ცხოვრებას დააჩნია. ნიკოს ხომ ფოთის აღმშენებლად და ფოთის ნავსადგურის შემოქმედად თვლიან, რაც დიდად საპატიო გახლავთ, მაგრამ ნიკო ნიკოლაძე იდეების მფრქვეველი გენერატორი იყო, კაცი პრაქტიკოსი, სიძნელეების შემჭიდებელი, უდოგმატო და უშიშარი წინააღმდეგობათა დაძლევაში. ამიტომ, ვიდრე ფოთში წავიდოდა და თითქმის 20 წელი მისი აღმშენებლობით დაკავდებოდა, ტფილისში ბევრი კარგი საქმის მოთავე და დამნერგავი გახლდათ. ცოტა რამ ისტორიიდან:

1840 წლამდე ტფილისქალაქს პოლიცმაისტერი მართავდა, რომელიც „საქალაქო სახლის“ ორსართულიან, არაფრით გამორჩეულ შენობაში „მოღვაწეობდა“. პოლიცმაისტერს ევალებოდა ქალაქში სიმშვიდის, სისუფთავის, წესრიგის დაცვა. 1840 წლიდან ამ შენობაში პოლიცმაისტერთან ერთად ქალაქის ექვსკაციანი გამგეობა განთავსდა. მოგვიანებით შენობას სახანძრო კოშკი დაა-

შენეს, ხოლო 1880-1886 წწ. მარჯვენა მხრიდან, განის ქუჩიდან, ერთი სართული დაემატა და სამსართულიან შენობად („საქალაქო სათათბიროდ“ – „ДУМА“-ად) გადაკეთდა. დაწესდა, რომ 21 წელს მიტანებული, გარკვეული ქონებრივი ცენზის მქონე და გადასახადის გადამხდელი მოქალაქეები მიიღებდნენ არჩევნებში მონაწილეობას, ჩამოყალიბდა სამი თანრიგის გარკვეული ქონებრივი ცენზის მქონე ამომრჩეველი, რომელსაც გადასახადის გადახდის უნარი ჰქონდა. აირჩეოდა 8 კაციანი საქალაქო საკრებულო, აღმასრულებელი ორგანო და ქალაქის თავი. 1870 წლის 18 ივნისს მთელი რუსეთის იმპერიის ქალაქებში შემოღებულ იქნა თვითმმართველობა, რომელიც არჩევით პრინციპებს დაემყარა, მოსახლეობის სხვადასხვა ფენები მონაწილეობდნენ არჩევნებში, ყურადღება მიექცა ამომრჩეველთა არა სოციალურ წარმოშობას, არამედ ეკონომიკურ მდგომარეობას. ჩამოყალიბდა სამი თანრიგი: მსხვილი, საშუალო და წვრილი გადამხდელებისა. საქალაქო სათათბირო („რჩევა“) 72 კაცისგან შედგებოდა, რომელიც სამკაციან გამგეობას – აღმასრულებელ ორგანოს – ირჩევდა, ყველა ორგანოს და ქალაქის თავს 4 წლით სამ სხვადასხვა დღეს და სამ სხვადასხვა ადგილას ირჩევდნენ, რაც ფარული ე.წ. „საარჩევნო კენჭების“ მეშვეობით ხდებოდა. ამომრჩევლები „მეკენჭეზად“ მოიხსენიებოდნენ. ახლადარჩეული სათათბიროს შემადგენლობა დებდა ფიცს სომხურ და ქართულ ენებზე. 1892 წლის ივნისში ახალი „საქალაქო დებულების“ შემოღებით, საქალაქო მმართველობის დადგენილებანი და განკარგულებანი ძალაში შედიოდა მხოლოდ გუბერნატორის მიერ დადასტურების შემდეგ, რა-

მაც არსებითად მოსპო თვითმმართველობა. ამასთან, 1899 წლიდან გუბერნატორს უფლება ჰქონდა საქალაქო სათათბიროდან თავისი გადაწყვეტილებით გამოეყვანა არასაიმედო ხმოსანი და თავად დაენიშნა საიმედო პირი. ყოველივე ამან ძალიან შეცვალა ტფილისის სამმართველოს საქმიანობა.

ნიკო ნიკოლაძე ტფილისის თვითმმართველობაში ოპოზიციის ლიდერი გახლდათ, მაშინდელი ქალაქის თავი – ალექსანდრე მატინოვი – ხელისუფლების ლიდერი, მაგრამ ორივე – ქალაქის ეკონომიკურ-კულტურულ პროგრამას მნიშვნელოვნად აუმჯობესებდა. ნ. ნიკოლაძის ძალისხმევით და ალ. მატინოვის გადაწყვეტილებით „საქალაქო სახლს“ მარჯვენა მხრიდან (მაშინდელი განის ქუჩიდან) დაემატა მესამე სართული, გარკვეული სიდიდის ფლიგელი.

იმჟამინდელი ტფილისის ყველაზე დიდი გასაჭირი სასამელო წყლის უქონლობა იყო. მტკვრის წყალს სვამდნენ. დიდუბიდან შემოტანილი წყალი უფრო ძვირი ღირდა. ამიტომ ნიკო ნიკოლაძემ საზღვარგარეთიდან მოიწვია სპეციალისტი და ავჭალის წყალსადენი გაკეთდა, რომელიც ვერ აუდიოდა ტფილისის მცხოვრებთა მოთხოვნას და ნ. ნიკოლაძემ ნატახტარ-ბულაჩაურის წყაროების პროექტი შექმნა, რომელიც 1931 წლამდე თაროზე იყო შემოდებული.

ნ. ნიკოლაძის ინიციატივით შეიქმნა ქალაქის სანიტარული სამსახური და ტფილისს სანიტარული ექიმის თანამდებობა გაუჩნდა. კიდევ ერთი საგულისხმო საკითხი, მტკვრის ნაპირზე, შუა ქალაქში იკვლებოდა პირუტყვი, რაც ეპიდემიის წყარო იყო. ნიკო ნიკოლაძის მცდელობით სასაკლაოსთვის აშენდა სპეციალური ორსართუ-

ლიანი შენობა ავლაბარში, რითაც მტკვრის წყლის დაბინძურება აიცილა ქალაქმა. ტფილისის კანალიზაციის პროექტის შექმნაშიც ნ. ნიკოლაძის ძალისხმევა იყო ჩადებული. კიდევ ბევრი რამის გახსენება შეიძლება ტფილისის შესამკობად ნ. ნიკოლაძის ცოდნისა და მცდელობის, მაგრამ დრო და სათქმელი ნ. ნიკოლაძის მიერ სხვა პრობლემებზე ზრუნვას უნდა დაეუთმოთ, რადგან არ გვსურს მკითხველი გადავტვირთოთ, მაგრამ ერთიც უნდა გავიხსენოთ, ტფილისი რომ მტკვრის ორივე ნაპირზე გაშენებული ქალაქია, ეს არავისთვის უცხო არ გახლავთ. უკუია-ჩუღურეთის და ვერის ნაწილის დასაკავშირებლად ნ. ნიკოლაძის ინიციატივით ვერის ხიდი აშენდა, სულ ქვაფენილით ნაგები. ერთიც... აბანოთუბანში არსებული მინერალური წყალი ბადენ-ბადენის სამკურნალო წყლებს არ ჩამოუვარდებაო, ხშირად ამბობდა ნ. ნიკოლაძე.

ფუნქულიორის მეორე ნახევრის გზის მშენებლობაც ხომ ნ. ნიკოლაძის სახელს უკავშირდება, და რკინიგზის კოჯრამდე გაგრძელების იდეაც მისია, ეს უფრო ცნობილი უნდა იყოს საზოგადოებისთვის, მაგრამ ანძის ადგილი ფუნქულიორზე ნიკომ რომ შეარჩია, არც ამის ცოდნა გვანყენს თანამედროვეებს და კიდევ ბევრი რამ, რაც ნ. ნიკოლაძის იდეით და ძალისხმევით ტფილისში განხორციელდა.

დავუბრუნდეთ ნ. ნიკოლაძის ბროშურას, რომლის სტატიები მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ქვეყნდებოდა ტფილისში გამომავალ რუსულ გაზეთებში და ახალი წინასიტყვაობით საუკუნის წინ, 1920 წლის იანვარში კვლავ ერთად თავმოყრილი მოვევლინა იმჟამინდელ სა-

ზოგადოებას. ბროშურა უნდა დაბეჭდილიყო ცნობილი ქართველი ჟურნალისტის, მესტამბის, გამომცემლის – ალექსანდრე ჯაბადარის (1861-1933) მზრუნველობით. ჩვენ 2003 წელს გამოქვეყნებულ წიგნში – „დროსგასწრებული მამულიშვილი“ (ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ნიკო ნიკოლაძის კაბინეტი, 2003 წ., გვ. 81-84) დავბეჭდეთ ნ. ნიკოლაძის რვა წერილი, მინერილი ამ საუკეთესო გამომცემლისადმი.

1919 წლის 28 ოქტომბერს ალექსანდრე ჯაბადარისადმი მინერილ წერილში ნ. ნიკოლაძე შემდეგს ატყობინებს: „თქვენი სურვილისამებრ, გიგზავნით ამასთანავე ჩემი ძველი ნაწერებიდან სტატიებს შესახებ ჩვენი ურთიერთობისა სომხებთან. ვინც გადიკითხა, ყველა ამბობს, რომ ამ ხნისთვისაც გამოდგებიანო. თუ თქვენც მაგ აზრის გახდებით და ისურვებთ ამათ გადმობეჭდვას, დაგინერთ ახალ წინასიტყვაობას, ურომლოთაც წიგნაკის გამოცემა არ ივარგებს. იმ წინასიტყვაობას და სათაურ ფურცელს ბროშურის დაბეჭდვის შემდეგ დაბეჭდთ.

თუ ინებოთ ამ ნაწერების გამოცემა, გთხოვთ, უკანასკნელი კორექტურა მე წამაკითხოთ უსათუოთ, თუ არა და, ინებეთ დამიბრუნოთ ხელნაწერი.

თქვენი მორჩილი ნ. ნიკოლაძე.¹

ამასთან, ორ დღეში, 20 ოქტომბერს ალ. ჯაბადარისთვის მიუწერია, რომ 20 ნოემბრამდე გაუგზავნიდა წინასიტყვაობას და ათიოდე გვერდს 1905 წლის ნაწერებიდან, რაც უშუალო კავშირშია მსჯელობის საგანთანო.

¹ წერილები დაცულია ლიტერატურის მუზეუმის ფონდებში – №19128-ბ, №19122-ბ, №19125-ბ, №19126-ბ, №19124-ბ, №19123-ბ, 19129-ბ, რვა წერილი მინერილი ალექსანდრე ჯაბადარისადმი მაღლიერებით სავსე ხელწერით – თქვენი მორჩილი ნ. ნ.

შემდეგ წერილში ბოდიშს იხდის დაგვიანებისთვის და ყველაფერ შეპირებულს აახლებს, ხოლო მომდევნო წერილში გულისწყვეტით ეხმიანება ალ. ჯაბადარის სურვილს სახელმწიფო სტამბის დატოვების შესახებ. როგორც ჩანს, ნ. ნიკოლაძის წერილების ბეჭდვა-აწყობა გაგრძელებულა, რადგან ნ. ნიკოლაძე 1920 წლის მარტში ალ. ჯაბადარს აუწყებს: „ბატონო ალექსანდრე! თუ ყველა ფურცლები ჩემი წიგნაკისა საბოლოოდ დაბეჭდილია, გთხოვთ ერთი თანა მათი გამომიგზავნოთ, მინდა გადავათვალიერო ხომ არაფერია შიგ შემცდარი:

„თქვენი მორჩილი ნ. ნიკოლაძე“¹

ამრიგად, XIX საუკუნის 90-იან წლებში შექმნილი პოლემიკური წერილები ნ. ნიკოლაძისა, მეოცე საუკუნის ოციანი წლების დასაწყისშიც გასათვალისწინებელი ყოფილა, რაზეც რამდენიმე პრობლემის გამოკვეთით შევჩერდებით, რადგან მიგვაჩნია, რომ XXI საუკუნის ოციანი წლებისთვისაც ეს პრობლემები ბევრი რამით გასაზიარებელი და წინასწარმეტყველურია. ამიტომაც არის ნ. ნიკოლაძე დროსგასწრებული მოაზროვნე და ევროპული განათლებით საზოგადოების აღმზრდელი მამულიშვილი.

ნიკო ნიკოლაძის დაკვირვებით, საზოგადოების ცხოვრების წარმატება და წინსვლა კულტურული ძალების გაერთიანებითა და ურთიერთმხარში დგომით მიიღწევა. ურთიერთთანხმობა არის ის ძალა, რაც ქალაქს თუ ქვეყანას წარმატებას მოუტანს. **არა** განსაკუთრებულობას!!! **არა** სათათბიროში მხოლოდ თავის დაქნევას

¹ დ. ჩიკვილაძე, „დროს გასწრებული მამულიშვილი“, თსუ გამომცემლობა, 2003 წ., გვ.84

და კამათის გარეშე კანონის მიღებას, **არა** უვიცობას და დიამეტრალურად საწინააღმდეგო აზრების ქადაგებას!!! სათათბიროში არ უნდა ლაყბობდნენ, უნდა საქმის ცოდნით კამათობდნენ, პარტიების ხმაურიანი ბრძოლით არკვევდნენ საკითხის ავ-კარგს და დაფანტული ნახირის სინდრომით არ იწონებდნენ თავს. საკრებულო ერთფეროვანი და მორჩილი არ უნდა იყოს. უაზრო, უძლურ, გამოფიტულ, უნდილ და უსულგულო საკრებულოში ამონჭურული იდეებით დაღლილი ადამიანები არიან, რომელთაც არც ღვთიური ნაპერწკალი, არც რწმენა, არც ერთგულება არ გააჩნიათო, გულდანყვეტილი ასკვნის ნ. ნიკოლაძე. ასე რომ, საკრებულო, რომლის ხელმძღვანელებად ძირითადად მდიდარი სომხები იწონებდნენ თავს, კარგს ვერაფერს უკეთებდა ტფილისს, რადგან საქართველოს დედაქალაქი სომხების შემოსავლის და გამდიდრების წყარო გამხდარიყო მხოლოდ.

ნ. ნიკოლაძე მაინც გამოყოფს ორ პერიოდს თვითმმართველობის ცხოვრებიდან – 1879 და 1891 წლების სათათბიროებმა ნათელი კვალი დატოვეს იმიტომ, რომ ამ პერიოდის თვითმმართველობა აქტიური, ცოცხალი ბრძოლით გამორჩეული იყო, რაც აფხიზლებდა მთელს ქვეყანას, როგორც წარმატებულთ, ასევე დამარცხებულთ. დროის მოთხოვნად ნ. ნიკოლაძეს მიაჩნდა სამოქმედო დროშა, რომლის გარშემო ტფილისელი ამომრჩევლები უნდა დარაზმულიყვნენ ყველანი, ვისთვისაც სულერთი არ იყო თვითმმართველობის განვითარება და ქალაქის კეთილდღეობა. ამასთან, დიდი შიში უნდა ჰქონოდათ ყოველგვარი **გამონაკლისის**, **არა** და **არა** გამონაკლისის მოლოდინს!!! ერთის მხრივ, თვითშეზღუდვის

ეპიდემია, მეორეს მხრივ, პრანჭვა-გრეხვის სიფაქიზე სა-
თათბიროში უმოკლეს დროში იქამდე მოგვიყვანენ, –
წერს ნ. ნიკოლაძე, – რომ ხმოსნებს ხმის ამოდების უფ-
ლება არ ექნებათო. ამიტომ ნ. ნიკოლაძეს სწამს, რომ
პრესას აქვს კრიტიკის უფლება და თვითმმართველობის
საქმეები ჟურნალ-გაზეთებში უნდა აისახოს-გაკრიტიკ-
დეს, რაც ერთგვარი ბრძოლის ნაწილია. სრულიად გააზ-
რებულად და სისტემატურად იბრძოდა ნ. ნიკოლაძე ამ
გზით, ოღონდ არ იმალებოდა, არ ფარავდა მიზნებს, ია-
რალს, დარტყმის ძალას, რადგან მისი საქმე მართალი
იყო, არ ეშინოდა დღის სინათლის, არც გამომჟღავნე-
ბის, არც კუთხიდან ფარული დამიზნება სჭირდებოდა ან
ზურგში ხანჯლის ჩარტყმა. გულწრფელად უმხელდა
მკითხველს თავის ფიქრს და სამოქმედო გეგმას უზიარ-
ებდა.

ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს, რომ იმჟამინდელ თვით-
მმართველობაში 72 ხმოსანი იყო არჩეული, მათ შორის
40 სომეხი, 20 ქართველი, რუსი, გერმანელი, ებრაელი,
ბერძენი, რიცხობრივი თანასწორობა არ არსებობდა.
სომხებმა ქართველების წინააღმდეგ პლუტოკრატიასთან
გაერთიანება გადაწყვიტეს უმრავლესობის შექმნის მიზ-
ნით. მართლაც, შეიქმნა მექანიკური უმეტესობა სომხე-
ბისა, რომელთაც უცერემონიოდ განაცხადეს, რომ მათ-
თან, როგორც ქართველებთან, საუბარიც არ სურთ.
„ჩვენ უთქვენოდაც ბევრნი ვართო“. ეს ხდება საქართვე-
ლოს დედაქალაქ ტფილისში, სადაც შეცდომაში შეყვანა
უნდა გინდოდეს ყველასი და ქადაგებდე, რომ „ტფილი-
სელები გულგრილნი არ არიან კამერჰერებისადმი“. ნ.
ნიკოლაძის აზრით, მასხარაობა ისეთ სერიოზულ მოტი-
ვებზე, როგორიცაა მუნდირები და კამერჰერობა, ნიშ-

ნავს შენი წარმატება დააფუძნო ადამიანთა ყველაზე არამყარ, ყველაზე საცოდავ სისულელეზე“. წუთიერია მიკიბ-მოკიბვასა და არაკეთილსინდისიერებაზე დამყარებული წარმატებები, რითაც მხოლოდ ბრმები შეიძლება გააოცო, რადგან ისინი ვერ ხედავენ ვერაფერს, ბრმეებზე დაყრდნობით კი ქვეყანა არ აშენებულაო.

ცნობილია, რომ ინტელიგენცია ყოველთვის შორს არის შურისძიებისა და რეგრესიისაგან, პირადი სურვილების აღსრულებისაგან. საკითხი სულგრძელობასაც შეეხო; ნ. ნიკოლაძის აზრით, თუ მოწინააღმდეგეს ხილულად არ პასუხობ, ჩუმად ნუ მიეპარები, დახლართული გზით ნუ ჩაუსაფრდები, საკუთარი სიმართლით ებრძოლე მოწინააღმდეგის უძლურებასა და არაკეთილსინდისიერებას, მაბეზღრობა, ეჭვიანობა, სხვის სულში ჩაძრომა დაივიწყე და რეალობის დამონებით აგებინე პასუხი მოპირისპირეს. ერთადერთი ლოზუნგი მოწინააღმდეგე პარტიისა ის არის, რომ არავინ გაბედოს 1891 წლამდე არჩეული მმართველობის საქმიანობის კრიტიკა და მხილება, არავინ შეძლოს ამ შემადგენლობის შეცვლაზე ფიქრიც კი. თუ კი ქალაქისა და მისი მცხოვრებლებისადმი ჩვენი მოვალეობის შეგნება გაიზრდება, – აღნიშნავს ნ. ნიკოლაძე, – ძველი მმართველობის პარტიას არ ექნება საშუალება ისაუბროს მათი შეუცვლელობის შესახებ, არავინ მიემხრობოდა ამ უცოდინართ, მათ კომერციულ და ეკონომიკურ საათობრივ დაცემას ანგარიშს გაუსწორებდა. „რომ გადავარჩინოთ ჩვენი ქალაქი და შევაჩეროთ მისი დაღმასვლა, გაძლიერებული სიჩქარით რომ მიექანება 1883 წლიდან, – მას საქალაქო თვითმმართველობის სათავეში მექრთამე ფორმალისტები კი არ უნდა ჩაუყუენოთ, არამედ ახალი ადამიანები,

რომელთაც ექნებათ უნარი ენერგიულად აამაღლონ ქალაქის ეკონომიკური როლი“.

ნ. ნიკოლაძის რწმენით, ტფილისმა უფრო მარტივად რომ მოიპოვოს თავბრუდამხვევი წარმატება, არ შეიძლება წელიწადში 80000 მანეთს ხარჯავდეს მხოლოდ ყოველდღიური „მონესრიგების“ მიზნით, ახალი ამოცანების და ახალი საქმეების შესასრულებლად შეუფერებელია ყოველგვარი თვითგაღმერთება, ჩვენ არ გვესმის ჩვენი დაცემის მიზეზები, პლუტოკრატია მოახერხა მის მიერ მითვისებულ ბანკებში მთელი ფულის საკუთარი სპეკულაციისა და აჟიოტაჟისათვის გამოყენება. ტფილისში ღირსეული თვითმმართველობა იქნება ის, ვინც უწყევ ეკონომიკურ წარმატებას მოუპოვებს ქალაქს. მას ყველა პირობა აქვს, რომ დიდებული ქალაქი გახდეს მთელს იმპერიაში, მარტო მინერალური წყლებით სარგებლობა მთელი წლის მანძილზე მოუტანს ტფილისს წარმატებას და სიკეთესო, სჯერა ნ. ნიკოლაძეს, მით უფრო, რომ იმედი აქვს – მარსელ დეპრეს, კორნელი ჰერცის და სხვათა აღმოჩენებით მტკვრის წყლის ელექტროენერჯის მისაღებად გამოყენებას შეძლებენ, ქალაქის მმართველობა მოხუცი ჩინოვნიკების საუფლოდან განთავისუფლდება, იგი გახდება მოქმედ, მცოდნე აქტიურ ძალად, თამამად რომ წაუძღვება ქალაქის მცხოვრებთ, მაშინ გვეყოლება სათათბიროც, თვითმმართველობაც, გვექნება მშვიდობაც, მანამდე კი ჩვენ ყველა – პოზიციაც და ოპოზიციაც – ჩვენი შორეული წინაპრების – ბიზანტიელების – მსგავსად ნუ დავხოცავთ ერთმანეთს არაფრის გამო, ფიქციისათვის.

ნ. ნიკოლაძეს მიაჩნია, რომ ჩვენი მხარის მშვიდობიანი განვითარებისათვის საჭიროა რასისა და რწმენის

განურჩევლად მთელი კავკასიის მოსახლეობის გაერთიანება რაიმე **გამონაკლისისადმი მონობის** გარეშე! რადგან **განსაკუთრებულობას** ებღაუჭებიან უძღურნი, რომ განსაკუთრებულობით წვრილმანი ეგოიზმი და ანგარება დაფარონ და ეროვნული მისწრაფებები არ გამოხატონ. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ არა ერის, არა რწმენის, ან ძველი მმართველობის წარმოშობის, არამედ მათი მართვის წესების, სომხური საზოგადოების საუკეთესო ნაწილთან ერთად ტფილისის მცხოვრებთა ეკონომიკური და მორალური ამაღლება უნდა შეძლოს ახალმა თვითმმართველობამ, ოპოზიციას სურს მიაღწიოს არა განსაკუთრებულობას, არამედ თანასწორობას.

აი, საკვირველება: მეცხრამეტე საუკუნის 90-იან წლებში ნ. ნიკოლაძე ქალაქის თავებს სთავაზობს ტფილისში არჩევნები პროპორციული სისტემით ჩატარდეს და სომეხ მეუფეთ უხსნის, თუ როგორია პროპორციული არჩევნების წეს-კანონები...

ამჟამინდელი საზოგადოების ნაწილისათვის ეს პრობლემა დღესაც გაუგებარ-შეუცნობელია, არადა, მეცხრამეტე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლებისთვის ნიკო ნიკოლაძის აზროვნებას მრავალეროვნული ტფილისის თვითმმართველობის არჩევნები პროპორციული წესით მიაჩნია ყველაზე სწორ გამოსავლად, რომ თვითმმართველობის შემადგენლობა არ იყოს სიძველის ქაობში ჩამხობილი, თავისი უმოქმედობით ნახევრად ჩაძინებული.

მძიმე ტვირთისა და პასუხისმგებლობის **პროპორციული** გაზიარება უშველის სხვადასხვა ეროვნებისა და რწმენით დასახლებულ ტფილის-ქალაქსო: 77 წარმატებული კანდიდატიდან 10 რუსია, 7 – ქართველი, 2 –

გერმანელი. არადა, ეს პროპორცია არაფრით შეესატყვისება ტფილისის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობას, რადგანაც რიცხვი კი არ არის არსებითი, არამედ წარმომადგენელთა ხასიათი. დასახლებულნი უნდა იყვნენ მოსახლეობის არა უმოქმედო, მდუმარე პირები, არამედ ავტორიტეტული და საქმიანი წარმომადგენლები, ძმობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრების უნარის მქონენი, ვინც სხვა ერების წარმომადგენლებთან ერთად პროპორციულად გაინაწილებენ ტფილისის ცხოვრების გარდაქმნის ამოცანას, მაგრამ ნ. ნიკოლაძე გულისტკივილით წერს, რომ ჩვენში არა მხოლოდ ბრბო, არამედ ინტელიგენციაც შეუმზადებელი და უმწეოა, დაინახოს რამ თავისი ცხვირის იქით, არადა, პოლიტიკაში სხვა არაფერია მოფიქრებული, გარდა ყველა ეროვნების პროპორციული წარმომადგენლობისა, მათ შორის პროცენტული შესაბამისობა მთელი მოსახლეობის საერთო რიცხვთან შეფარდებით. ამ პრინციპის წინააღმდეგ ამხედრება იმას შეუძლია, სწამს ნ. ნიკოლაძეს, ვინც სხვის ღირსებას ითვისებს, უფლებამოსილებას, სამართლიანობას, შრომას კი არ აფასებს, არამედ მხოლოდ სიხარბე ამოძრავებს. ამასთან, ცოტა სიბოროტე როდია, – წერს ნ. ნიკოლაძე, – როცა ერთ ეროვნებას უგდებ ხელში ქალაქის ხელმძღვანელობას, იმ ქალაქისა, რომელიც მრავალეროვნული ხალხითაა დასახლებული, რომელთაც ერთნაირად კანონიერი და პატივსაცემი ინტერესები და მისწრაფებები გააჩნიათ.

ნ. ნიკოლაძე იმჟამინდელ მკითხველს განუმარტავს, რომ ყოველმა ცალკეულმა ეროვნებამ სათათბიროში უნდა აირჩიოს იმდენი ხმოსანი, რამდენ პროცენტსაც შეადგენს მისი ეროვნულობის ნიშნული, ე.ი. თუ

უმრავლესობაა ქალაქის მოსახლეობაში, მაშინ სათათბიროშიც უმეტესი დეპუტატი ეყოლება, უფლება ექნება აირჩიოს თავისი სამმართველო, უხელმძღვანელოს ქალაქის მეურნეობას, ამასთან ყველა სხვა ეროვნებაც სათათბიროში ირჩევს თავის ნდობით აღჭურვილ წარმომადგენელს, როგორც მათი უფლების საიმედო დამცველს. „მხოლოდ ბნელი მიზნებიან ადამიანებს შეუძლიათ უარყონ ეს მოთხოვნა, ისიც წინასწარ ჭკრეტის უქონლობის გამო, სინამდვილეში, შორს არ არის ის დრო, როდესაც ეროვნება, რომელიც თავის თავს თვლის მფლობელად, ამ ჩემს წინადადებას აქცევს თავის „მამაო ჩვენოდ“. რას იზამ? ეს ცხოვრება ასეა მოწყობილი!!!

ნ. ნიკოლაძეს აუცილებელ საქმედ მიაჩნია, ხმოსნების საერთო რაოდენობა უსათუოდ ესწრებოდეს ქალაქში მცხოვრებ ეროვნებათა შეკრებებს, მათი პროცენტული მნიშვნელობის პროპორციულად, რომ ყველაზე საპატიო და მომზადებული წარმომადგენლების წამოყენება მოხდეს, რათა არ განითლდნენ, ან უპასუხისმგებლოები არ აღმოჩნდნენ საზოგადოების წინაშე. ისიც აქსიომაა, რომ თითოეულს ეკუთვნის მხოლოდ თავისი და არა სხვისი უფლებამოსილება, რომ არავითარი ხრიკი, არანაირი მანევრები, ხელების გადაგრეხა არ მისცემს მათ არც ერთ ზედმეტ ხმას ქალაქის მოსახლეობის წარმომადგენელთა არჩევის დროს, ფოკუსების და შუღერობის პერიოდი უნდა დასრულდეს და პროპორციულმა არჩევნებმა გაიმარჯვოს. მხოლოდ საკრებულო, რომელიც მშვიდი, მცოდნე, გონიერი ხმოსნებისაგან იქნება შემდგარი, პროპორციული წესით არჩეული, შეძლებს ასე თუ ისე შეიმუშაოს და შეასრულოს ჩვენი დროის შესაფერისი პროგრამები.

ტფილისში საყოველთაო ინტერესი გამოიხატება იმით, რომ ის მილიონი და მეოთხედი მანეთი, რაც ყოველწლიურად იკრიბება ქალაქელთაგან, მათი რწმენის, ეროვნების და მდგომარეობის მიუხედავად, უნდა ტფილისელებს მოხმარდეს. აღსანიშნავია ისიც, – განაგრძობს ნ. ნიკოლაძე, – რომ ამ თანხას განკარგავენ მხოლოდ სომხები, რაც მათი „პოლიტიკური გაბატონების“ ნიშანია რუსებზე და სხვა ეროვნებებზე, ყველაფერი სხვა კი პოლიტიკის დეკორაცია და ბუტაფორიაა. პროპორციული წარმომადგენლობა კი თანამედროვე მეცნიერების მიერ ერთადერთი სწორი მიგნებაა სხვადასხვა ეროვან (სხვადასხვა პარტიულ – დ. ჩ.) საზოგადოებისთვისო. ნ. ნიკოლაძეს მოჰყავს შემდეგი პროცენტული შემადგენლობა: ტფილისში მთელი მოსახლეობის 47%-ს შეადგენენ სომხები (ახალი აღწერით – 37%-ს), სათათბიროში მხოლოდ სომხები არიან არჩეულნი, ქართველები ტფილისის მოსახლეობის 27%-ია, სათათბიროში არც ერთი ხმოსანი არ არჩეულა, რუსები 18%-ია, მათ სომხებისთვის „სასურველი“ ხმოსანი გააჩნიათ საკრებულოში და ა. შ. ნ. ნიკოლაძის დასკვნა შემდეგია: ჯიბესქელობა ქალაქის საკრებულოს შემადგენლობის არჩევის ფუნდამენტია, კანონი – როდი კანონობს, არადა, კანონის დაცვა „პოლიტიკური გაბატონების“ ძირის გამოთხრა და სიმართლის გამარჯვებაა, ადამიანის უფლებების დოქტრინაა! და კიდევ შემდეგი გამოკვეთილი შეგონება ნიკო ნიკოლაძისა: პრესაში სიმართლეზე მსჯელობა ნაწილია დიდი ბრძოლისა, რაც პუბლიცისტიკა უშიშრად უნდა გააჩალოს. პუბლიცისტი თავისი დროის შვილია და „ნაცრისფერი მოთმინებით“ არ უნდა დაავადდეს, რად-

გან პუბლიცისტიკა საოცარი ტრიბუნაა უკეთესი ცხოვრების შესაქმნელად.

დალი ჩიკვილაძე
2019 წლის დეკემბერი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

1919 წ. დეკემბერი

ვფიქრობ, ჩემი განსასჯელი არ არის, რამდენად წარმოჩინდება წარსული იმ წიგნაკში, რომელშიც დაიბეჭდება მეოთხედი საუკუნის წინათ „სიბნელისა და სიდუხჭირის“ ჟამს დაწერილი სტატიები, როდესაც წვრილმანი ანგარიშისწორება და კინკლაობა სუფევდა; არადა, დღევანდელი მკითხველის ყურადღება მიპყრობილია უმთავრესი კითხვებისა და საერთაშორისო დავიდარაბისკენ, მაგრამ ვინც ამ სტრიქონებს ბოლომდე ჩაიკითხავს, მიხვდება, რომ „არაფერია ახალი პოლიტიკის მზის სხივების ქვეშ“, და დარწმუნდება, რომ ჩვენი თაობისთვის „ყოველდღიური გასაჭირი“ და მოსაგვარებელი პრობლემები იგივე იყო, რაც დღევანდელი თაობისთვის. ყველა ქვეყნის და ხალხის პოლიტიკა განისაზღვრება მისი გეოგრაფიული მდებარეობით და ეთნოგრაფიული შემადგენლობით. ყოველ თაობას მასში შეაქვს ზოგს დიდი, ზოგს მცირე წვლილი თვითგამორკვევისათვის.

აქედან გამომდინარე, ყველა დაგვეთანხმება, რომ წარმოდგენილი სტატიების ავტორი უცილობლად და თანმიმდევრულად თვლიდა, ხალხთა შორის არსებული ურთიერთობა ძველი რეჟიმის პოლიტიკური უსამართლობის ბოხოქრობის პირობებში გამოეყვანა უძრაობიდან, რითაც გააჟღენთილია ახალი **საქართველოს რესპუბლიკის** პოლიტიკა, რაც ამჟამად ცნობილია არა მხოლოდ ამიერკავკასიის, არამედ კავკასიის ახლადშექმნილი ქვეყნების მიერ ურთიერთთაღიარების საფუძველზე.

ადგილობრივ პუბლიცისტიკაში 1870 წელს სტატიების ავტორის მიერ დანერგილმა ამ პრინციპმა (ე. ი. ნ. ნიკოლაძის პრინციპმა – დ. ჩ.), როგორც მაშინდელ დესპოტიზმთან ამ მხრის კულტურული ძალების ბრძოლის გაერთიანების ძირითადმა ელემენტმა, მალე მოიპოვა სიცოცხლისუნარიანობა და დიდხანს, ორი ათეული წლის მანძილზე – თითქმის ოთხმოცდაათიან წლებამდე „ხელში ეჭირა“ სამხარეო მმართველობა. იმ დროს რუსეთში არსად არ შეიძლებოდა ისე თავისუფლად სუნთქვა, როგორც ჩვენთან, კავკასიაში. საერთო მრისხანება კვლავ დაგვატყდა თავს მაშინ, როდესაც ერთიანობა დაირღვა, დავიშალეთ, ურთიერთთავდასხმის ტაქტიკა გაბატონდა.

ეს სტატიები ავტორისათვის თავისი პუბლიცისტური საქმიანობის გედის სიმღერასავით ძვირფასია, 1870 წლის პოლიტიკური პროგრამის ჩაფლავების შემდეგ. ნუ დავინწყებთ ძებნას, პირველმა ვინ უღალატა ურთიერთთანხმობისა და ურთიერთპატივისცემის სასარგებლო პოლიტიკას და წარმოიდგინა, რომ შეძლებდა კავკასიაში ჰეგემონობის მიღწევას. ეს უსარგებლო საქმეა. აქ მთავარია ის, რომ განვითარებულმა ამბებმა სულ დაუბნელა გონება იმ ადამიანებს, ვინც გონებაშეზღუდულად არ ითვლებოდა. აი, ეს სტატიები, რომლებიც საკუთარი თუ სხვისი უფლებებისა და ინტერესების ერთგულებით გამოირჩევა, და რომლებსაც წმინდა სომხური საქმის დაცვის ელფერით ნილბავენ, – აღიქმებოდა და აქამდეც მიიჩნევა სომხურ ფობიად! გულმხურვალე მოწოდებები სიყვარულისა და სამართლიანობისაკენ საერთო საქმის წარმატებისათვის, მიიჩნეოდა ღალატად და სიძულვილის გამოვლინებად! სიტყვები, ფაქტები აღარ ზემოქმედებდა ჭკვიანებსა და აზრიანებზე. სხვა ვერაფერს გააწყობდი,

უნდა დადუმებულიყავი და ხელები ჩამოგეშვა მოქმედების უკეთეს დროებამდე. ყმანვილური წარმოდგენა საკუთარ თავზე, როგორც სამყაროს ცენტრსა და მიზანმიმართულ, ერთადერთ სიმართლის დამცველ ადამიანზე, შეუძლებელია არ დამსხვრეულიყო მეზობლების „დაუკმაყოფილებელი“ ინტერესების ზეგავლენით. თვითდაცვის მოთხოვნათა ზრდის კვალობაზე პიროვნებები და ეროვნებები მწარე და სისხლიანი გამოცდილებით შეიმეცნებენ უხსოვარი დროიდან ცნობილ ჭეშმარიტებას, რომ ერთი ბრძოლაში ცოდოა, რომ ერთობაშია ძალა, რომ თითოეულის უფლება სხვისი ინტერესებით იზღუდება და ა. შ.

მაგრამ რამდენი სისხლი უნდა დაიღვაროს, რამდენი სიცოცხლე დამახინჯდეს სულ ტყუილად, – როდემდე? ასეთი მარტივი ჭეშმარიტების შეუცნობლობა?!

ვფიქრობ, ცეცხლის ალსა და სისხლის ღვრაში გამოტარებული ეს ჭეშმარიტება ყველამ აღიქვა. ავტორს იმედი აქვს, რომ წინა თაობებთან შედარებით, თანამედროვე თაობა სამართლიანად შეაფასებს მის წარსულ ღვაწლს. მინდა ვივარაუდო, რომ ამიერიდან ყველა გაიგებს, „ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია!“

სომხურ-ქართული ურთიერთობანი 1893-1899 წწ.

I. ბრძოლის სადღეგრძელო!¹

ბრმა ბედის წყალობით – შეიძლება ადამიანების ნებელობის დაბნეულობის ძალითაც – ტფილისის საკრებულოს დღევანდელი შემადგენლობისათვის „საბედისწერო ზარი“ დაირეკა, რომელსაც ასე მოუთმენლად ელოდა ბ-ნი იზმაილოვი. ეს ზარი იმაზე ადრე გაისმა, ვიდრე საჭირო იყო, რაც სრულიად მოულოდნელი გახლდათ საკრებულოსთვის. მართალია, გაფაციცებული ხმები დიდი ხანია ამჩნევდნენ ჩვენი მმართველობის დანჯღრეულ მექანიზმში დაძველებული შვარცვალდის საათის წრიპინის რალაცნაირ ხმებს, რომლებიც საფოსტო სადგურების ერთადერთი უსახური სამკაული იყო, მაგრამ ვინ წარმოიდგენდა, რომ საათის რეკვის, ამასთან საბედისწერო რეკვის შესახებ წინასწარი შესავალი დაინერებოდა?! ეს წმინდა მექანიკური დარტყმა, ვფიქრობ, შეადგენს ჩვენი წინანდელი მმართველობის მოქნილობის გედის სიმღერას, რამაც შეცვალა მისი პრინციპები, პროგრამა, ორგანიზაცია, თვით არსებობის მიზანიც კი.

ასე რომ, ტფილისის საკრებულოს დღევანდელ შემადგენლობას, ოთხი წლის ნაცვლად, ორ წელზე ცოტა მეტის ნამუშავება მოუხდა. ჩვენს საზოგადოებაში, პრესაშიც კი, უმეტესად სათანადო მომზადების არ მქონე ხელმძღვანელები „ილწვიან“, არსებობს უამრავი მცდარი და შეუსაბამო ფაქტი, რაზეც ყოველგვარი შემოწმების

¹ „ნოვოე ობოზრენიე“, 1893 წ., 2 თებერვალი, №3132

გარეშე საურობს ყველა – დიდიდან პატარამდე. არადა, წვეთი ცოდნა და გონიერებაა საჭირო, რომ დარწმუნდე ასეთი აფორიზმების სისულელეში. მაგალითისათვის ავიღოთ ერთი აბდაუბდათაგანი, მე და თქვენ, ჩემო მკითხველებო, რამდენჯერ გვიხდება მოვისმინოთ საზოგადოებაში, ან წავიკითხოთ გაზეთებში, რომ სათათბირო უაზროდ იხარჯება სიტყვამრავლობით რომ ამ სათათბიროში ებრძვიან ერთმანეთს, რომ პარტიები ცუდია და ა.შ. ყოველივეს კი უაზრობა ჰქვია! ამასთან იმავე მაქებრების მიერ იხატება იდეალური სათათბირო. ერთსულოვანი, უპარტიო, მშვიდობიანი, დამჯერი, ერთხმად რომ ამტკიცებს ათეულობით საკითხს. აი, ასეთ სათათბიროში – თუ დაუფუჯერებთ ჩვენს ჟურნალისტებს და ორატორებს, საქმე კეთდება, ხოლო ვინც კამათობს და სიტყვებს ხარჯავს, რომ სათათბირო დაყოფილია პარტიებად და ებრძვიან ერთმანეთს, ასეთები მხოლოდ დროს კარგავენ, ტყუილებს იგონებენ და ქალაქის საქმეებს აზიანებენ.

უნდა ვიფიქროთ, რომ ადამიანები, ვინც საზოგადოებას ამგვარ უაზრობებს უზიარებს, ამას წინასწარი განზრახვით და შეგნებით კი არ სჩადის, არამედ უფიცობით. სინამდვილეში წარმოუდგენილია, რომ ვინმემ საზოგადოებასა და პრესაში მოტყუების მიზნით იქადაგოს სინამდვილისადმი დიამეტრალურად საწინააღმდეგო აზრები. მაგრამ თუ ასეთი შეცდომების გავრცელება მხოლოდ უცოდინრობით აიხსნება, – როგორ არ უნდა გაგიკვირდეს იმ პირების ქარაფშუტობა, ვინც ხელმძღვანელ როლზე აცხადებს პრეტენზიას და თავს არ იწუხებს, მსუბუქად მაინც დაფიქრდეს განსახილველ საქმეზე?

სინამდვილეში იმას, ვინც ზერელედ იცნობს საზოგადოების განვითარების ისტორიას, შეუძლია თქვას, რომ სათათბიროში არ უნდა ლაყბობდნენ, პარტიებად არ უნდა იყოფოდნენ, ერთმანეთს გააფთრებულ ბრძოლას არ უმართავდნენ? ისევე, როგორც პოეტისგან არავინ ითხოვს (გარდა უმნიშვარი ყმანვილისა) ჩექმების შეკერვას და ხიდების მშენებლობას, არც კანონების შეთხზვას, ყველა კმაყოფილდება მისი ლექსებით, სიმღერებით, გამოთქმებით, ასევე სათათბიროსგან არავინ ელის სიტყვამრავლობას, პარტიათა შეჯახებას და ბრძოლას. რას იტყოდით იმ ადამიანზე, ვინც გასინჯა მარილი, და ბრძნულად დაასკვნა, რომ მისი ნაკლია, ტკბილი რომ არ არისო. არადა, მარილი იმიტომ მოსწონს კაცობრიობას, რომ მარილია და არა შაქარი.

იმ პირებმა, ვინც ჩვენს სათათბიროს იწუნებს „პარტიების ბრძოლის“ გამო, ყბედობის გამო, დაგვისახელონ სათათბიროს ერთი წარმომადგენლობითი კრება, რომელმაც მოსახლეობას რამე დადებითი სამსახური გაუწია, ურთიერთპაექრობის, პარტიათა მხურვალე ბრძოლის გარეშე. ერთპარტიული შეკრებები, როგორც ისტორია გვასწავლის, – ეს ყოველთვის საზოგადოებისა და მთავრობის დაბნელებისკენ იყო მიმართული. უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

არადა, რად გვინდა შორს წასვლა? ნუ დავივიწყებთ ტფილისის ადგილობრივ საკრებულოს. სხვადასხვა დროს იგი სხვადასხვაგვარი იყო, ხან ქრელი, ხან ერთგვარი, ხან მშვიდობიანი, ხან მეზრძოლი. ვნახოთ, როდის იყო ის მოსახლეობისთვის სასარგებლო და როდის სრულიად უსარგებლო.

ჩვენი საკრებულოს შემადგენლობიდან მხოლოდ ორი გამოირჩეოდა მრავალმხრივობით და ბრძოლის ინტენსივობით: 1879 წლის და 1891 წლის საკრებულონი. ამ ორი შემადგენლობის დროს სათათბიროში დულდა პარტიების ხმაურიანი ბრძოლა, ზღვარს სცდებოდა სიტყვით შერკინება, პიკს აღწევდა დაძაბულობა, დანარჩენი ორი შემადგენლობა (1883 და 1887) გამოირჩეოდა ერთფეროვნებით და დაფანტული ნახირის სინდრომით. ასე რომ, თუ შეწუხდებით და შეადარებთ ამ ორი სათათბიროს საქმიანობას თავისებური შედეგებით, საკმაოდ ზერელე დაკვირვებაც კი მიგახვედრებთ, რომ ტფილისის თვითმმართველობის მიერ განხორციელებული სასარგებლო და საჭირო საქმეები ან 1879 წლის, ან 1891 წლის საკრებულოების დამსახურებაა. ამის საუკეთესო დადასტურებაა 1887 წლის საკრებულო, რომელსაც ვერაფრით ვერ გაიხსენებს შთამომავლობა. მისი საქმიანობის ერთადერთი დამსახურებაა ურთიერთდაზღვევის საზოგადოების შექმნა, რაც 1879 წლის პროგრამის ანასხლეტია, თანაც სამი მეოთხედი კერძო, სეპარატისტული ხასიათისაა, ქალაქის სხვა დაწესებულებებისაგან დამოუკიდებლად არსებული.

თუ სერიოზულად გავეცნობით 1883-1890 წლების ერთფეროვანი და მორჩილი საკრებულოს საქმიანობას, გაგაკვირვებთ მისი უაზრო, უძღური, გამოფიტული ხასიათი. იგი უნდილი და უსულგულოა, ფაქტია, ასეთ საკრებულოსი იდეებიც ამოიწურა, ადამიანებიც დაიღალნენ, მათი თავმოყვარეობაც დაკმაყოფილდა. ამ ხალხში არ არის არც ღვთიური ნაპერწკალი, არც მტკიცე რწმენა, არც უწინდელი ერთგულება. ნეტავ, ეს წლების ბრალია, თუ ასეთია მთელი კაცობრიობის ბედისწერა, – ერ-

თმა ღმერთმა უწყის, მაგრამ თვითმმართველობის და მისი ხელმძღვანელის მანქანა დაიმსხვრა. **ს. მატინოვის** ინტერესები ამ პერიოდში უფრო მეტად პეტერბურგის ამბებით საზრდოობდა, ვიდრე ტფილისის თვითმმართველობით, ხოლო ამ უწყებაში ყოველგვარი ხერხით ცდილობდნენ, საკრებულოს თეატრის მშენებლობა გაეგრძელებინა და მის დასასრულებლად 20000 მანეთი გაეღო, შეიძლება სამჯერ მეტიც – აი, სადამდე მივყავართ საკრებულოს ერთსულოვნებას და პარტიების არყოფნას.

შეადარეთ საკრებულოს იმჟამინდელი შემადგენლობის საქმიანობა დღევანდელ „პარტიულ“ შემადგენლობას და დარწმუნდებით, რომ ამჟამინდელმა საკრებულომ ორ წელიწადში ათჯერ მეტი გააკეთა, ვიდრე წინამოთხ წელში. რად ღირს, ჩვენი ბიუჯეტის მონესრიგება რომ დაინყო, ასევე ჩასარიცხი თანხის სრულად აღიციხვა რომ მოხდება, მაგრამ მარტო შესრულებულ „სამუშაოებში ხომ არ არის საქმე: კეთება მმართველობის საქმეა, ხოლო მომავალი სათათბიროს შემადგენლობის მიერ დაგეგმილი რეფორმების რეალობად ქცევა, რაც მას სახელს გაუთქვამს, საზრუნავია მცირეოდენი დამფასებლების და მოსამართლეებისა.

ამ ორი შემადგენლობის საქმიანობის დანვრილებით შედარება საჭირო არ არის: არაერთხელ დავუბრუნდები ამ საკითხს საარჩევნო აგიტაციის გაჩაღებისას. ამჯერად საკმარისია მხოლოდ საერთო შენიშვნების გამოთქმა, რითაც შემოვიფარგლები კიდევ.

ვფიქრობ, „სათათბიროს უმრავლესობამ“, რომელიც დღიდან ჩამოყალიბებისა ასეთი უმართებულო სიძულვილით ეკიდებოდა ამჟამინდელი შემადგენლობის ერთ ნაწილს, თავისი მომხრეები შეიყვანა უხეშ და სატი-

რალ შეცდომაში, რომლის შედეგები, უფრო „გაუთვალისწინებელი“ აღმოჩნდება, ვიდრე 1890 წლის დეკემბრის მესამე კატეგორიის არჩევნების შედეგები. რასაკვირველია, არასასურველი ახალი ნევრები ბ-ნ მატინოვისა და ბ-ნ იზმაილოვისაგან დანუნებულები სათათბიროში ჯერ კიდევ მათ პირველ გამოჩენამდე, არ დაბრუნდებიან ბ-ნ იზმაილოვის და ბ-ნ იოანნისიანის მხერის დასაპყრობად, მაგრამ საქმე ამაში როდია. წინასწარმეტყველი როდი უნდა იყო, რომ ივარაუდო ამ ბატონების უმწიფარი გეგმის სრული კრახი: არა იმათ, არა ჩვენ, არამედ სრულიად ახალ ადამიანებს აირჩევენ ტფილისელი ამომრჩევლები სათათბიროს ახალ შემადგენლობაში და კარგსაც იზამენ. ჩვენ ამოვწურეთ ჩვენი თავი, ჩვენ ძალა აღარ შეგვწევს, რადგან არ გაგვაჩნია უფლის მსახურების წმინდა ცეცხლი, არც ცხოველმყოფელი იდეები... ჭეშმარიტება აღარ არის ჩვენი ცხოვრების ერთადერთი მანათობელი ვარსკვლავი. არ შეიძლება დავეშვათ, რომ იმ გარემოში, რომელშიც ჩვენ დავწინაურდით, წარმოშვა ახალი ადამიანები, რომლებმაც ჩვენს ცხოვრებაში დანერგეს ხალხისთვის ახალი და საჭირო საზოგადოებრივი იდეები, ემსახურათ საერთო სიკეთისა და არა პირადი საქმისთვის? იმედია, სწორედ ასეთ ახალ პიროვნებებს აირჩევენ მომავალი სათათბიროს შემადგენლობაში, ხოლო ჩვენ – გასაწყლებულებმა, უნდა დავისვენოთ.

მაგრამ წარმოვიდგინოთ, რომ ეს ილუზიაა და ახალგაზრდობა ვერ იპოვის ძალას, გაიკვალოს გზა საზოგადოებრივი საქმიანობისათვის, რომ რუტინა თავისას გაიტანს, რომ ბ-ნი იზმაილოვი და ბ-ნი იოანნისიანი – რაც წარმოუდგენელია – შეძლებენ თავიანთი გეგმის

განხორციელებას და თავის იდეალს მიაღწევენ: შექმნიან დამჯერ, ერთსულოვან სათათბიროს: ხალხს არ სჭირდება **ჰიგიენისტი**, ღმერთი არ არსებობს, და ღმერთის წინასწარმეტყველი არის ავთანდილოვი. აი, ეს იქნება უდიდესი სასჯელი ჩვენი თვითმმართველობის უმრავლესობისა და მისი მომხრეებისათვის. წარმოვიდგინოთ ყოველივე ამგვარად. შემდეგ რა იქნება?

აი, რა: ახალ ერთსულოვან, ერთგვაროვან სათათბიროს, კამათის და პარტიათა ბრძოლის გარეშე თეთრი ქალაქის გარდა სხვა არაფერი აღმოაჩნდება, რომელზეც წერა არავის შეეძლება. ამ განსაკუთრებულ ცალმხრივობის გზაზე, რაც 1890 წლიდან ბ-ნი იზმაილოვის დროშად გადაიქცა, არაფერი, სრულიად არაფერი, ქიმურებისა და უმნიფრობის მეტი არ მოიაზრებოდა. ამ გზაზე არ იყო ცოცხალი, სასარგებლო, ცხოველმყოფელი საქმე იმ ადამიანებისთვისაც კი, რომლებსაც გააჩნდათ ძალა, ცოდნა და იდეები, ენერჯია და რწმენა, არათუ ჩვენი თაობისათვის, რომელიც განამებულია წლებით, საზრუნავით, საჭირო მომზადების არქონით... აი, აქ აღმოჩნდება მძიმე სასჯელი: **უძლურების ძალმოსილება**. ასევე აზროვნების ორგანული ღონეგამოცლილობა, შემოქმედებითობის უქონლობა, დარჩება მხოლოდ გამოქეცილობა და მოხერხებულობა, რაც სრულიად უაზრობა აღმოჩნდება.

მაშინ, სიძველის ჭაობში რომ ჩაიფლობა სულ ძირს და ძირს თვით ბ-ნი იზმაილოვი, თავისი უმოქმედობის წყალობით, გაიხსენებს თავისი საქმიანობის შედარებით ნათელ დღეებს, იმ წლებს, როცა კი არ თვლემდა, არამედ ცოცხლობდა და იბრძოდა 1879 და 1891 წლების სათათბიროებში, 1879 წელს ახალი იდეებისთვის, 1891

ნელს – სრული ცრურწმენებისთვის. ეს ისევე მართალია, როგორც ის, რომ ტფილისის მოსახლეობაში მხოლოდ 1879 და 1891 წლების სათათბიროებმა დატოვეს ნათელი და დაუფინყარი კვალი, იმიტომ რომ მხოლოდ მათი მოღვაწეობის დროს აქტიურობდა თვითმმართველობა, მხოლოდ მაშინ დულდა შემოქმედებითი საქმიანობა და იყო ცოცხალი ბრძოლა, რაც მთელს ქვეყანას აფხიზლებდა, როგორც წარმატებულთა, ასევე დამარცხებულთა გასახარად.

ვისურვოთ, რომ მომავალმა არჩევნებმა ტფილისის მოსახლეობაში ცოცხალი ბრძოლა გამოიწვიოს, არჩევნების შედეგების მიუხედავად.

II. „მალბრუბი¹ სალაჰქროდ მიეჰურება“²

*პრუსიელები კი სულელები! –
ქუდმოხდილები „ვაშას“ ყვირიან,
არადა, ჩვენი დახოცვის დროა!
(ძველი სიმღერა)*

თითქმის ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ნათლისღების კატასტროფის ერთი წლის თავზე უცებ გაისმა საყვირის ხმა, რაც იუწყებოდა, რომ საარჩევნო ბრძოლა დაიწყო, რათა ტფილისის საქალაქო სათათბირო განახლებულიყო. მაგრამ ბრძოლას უშუალოდ არავინ აჩაღებდა. ყველა გულისფანცქალით იმზირებოდა

¹ ჯვაროსანი რაინდი ფრანგული ხალხური სიმღერიდან (დ. ჩ.)

² „ნოვოე ობოზრენიე“, 1893 წ., 28 თებერვალი, №3155

გარშემო, საიდან, ვის მიერ აღიმართებოდა პირველად საბრძოლო ალამი, რა ფერის და რა დევიზით? მებრძოლი მხარეები, – როგორც **აზანკურის** დროს – ერთმანეთს ფეხქვეშ ეგებოდნენ დახვეწილი წინასწარი გაფრთხილებით: „Commencez messieurs Les anglais!“ მაგრამ ჩვენთან არც ინგლისელებს, არც ფრანგებს არ სურდათ ბრძოლის დანწყება, არა სიმბდალის გამო, რასაკვირველია, არა ერთმანეთისთვის გრიგალისებურად რამის წართმევის გამო, არამედ მონინაალმდეგისთვის თავდასხმის მთელი სირცხვილის დაკისრების ჩვეულებრივი სურვილის გამო, რათა თვითონ თავდამცველთა გარემოცვის სიმპათიებით ესარგებლათ. ასეთი დაძაბული დუმილის დროს, რომელიც მით უფრო საზეიმოა, რაც უფრო სერიოზულია მოსალოდნელი ბრძოლა, გაისმა მალბრუგის ბუკის ხმა და აშრილდა შტანდარტის გაშლის ხმა. გასაგებია, რომ მთელი ხალხი იქითკენ იმზირებოდა, და შთამბეჭდავი სურათი დაიხატა: „არძაგანკის“ მთელი მთავარი შტაბი ა. ა. იოანნისიანის მეთაურობით ბუკს და ნალარას სცემდა თანამოაზრეთა შესაკრებად და მათ ძველი, გამოცდილი შეძახილით ასულდგმულეზდა: „არც ქართველები, არც ყარაბაღელები“.

ამ დევიზის მნიშვნელობა რომ შევიმეცნოთ, უნდა გავიხსენოთ ჩვენი უახლოესი წარსული. 1891 წლის შემოდგომაზე „ნოვოე ობოზრენიეს“ მკითხველებს უკვე გავაცანი, მაგრამ გამეორება საქმის ინტერესების გამო, ვფიქრობ, აუცილებელიც არის.

1890 წლის ბოლოს, ტფილისის სათათბიროს შემადგენლობის განახლების მიზნით, ხმოსანთა ჯგუფმა, რომელსაც სათავეში კ. მ. ალიხანოვი და მ. ი. თამამშვეი ედგნენ, საჭიროდ ჩათვალეს, ჩაეტარებინათ თათბირები,

რათა მომავალი არჩევნებისთვის მიეცათ უფრო შეგნებული და აზრიანი ხასიათი. ეს თათბირები ტარდებოდა „დვორცოვის“ ნომრებში, ზუბალოვის ყოფილ სახლში, და საზოგადოების მიერ მონათლული იყო „დვორცოვი“ ნომრების ოპოზიციად“, ხოლო მათ მიერ შედგენილი კანდიდატების სია „დვორცოვი“ ნომრების სიებად“ იწოდებოდა, სიმარტივისთვის ჩვენც ასე მოვიხსენიებთ. ამ ოპოზიციის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ მისი კანდიდატების სია, რომელიც ხმოსანთა პირველი კატეგორიის ასარჩევად მოიაზრებოდა, შეესაბამებოდა თვითმმართველობის ჭეშმარიტ ინტერესებს, და შორს იყო წვრილმანი პირადი, თუ განსაკუთრებული მიზნებისაგან. მე თამამად შემიძლია დავადასტურო, რომ არ მიმიღია არანაირი მონაწილეობა ამ სიის შედგენაში, არც ამ ჯგუფის საქმიანობაში. როდესაც სია დაიბეჭდა და დაურიგდა ამომრჩევლებს, მაშინდელი მმართველობა ძალიან გაცხარდა. გაცხარების მიზეზი იყო სიაში ოთხი-ხუთი პიროვნების შეყვანა, ვინც არ მოსწონდა მმართველობის წევრებს, ესენი იყვნენ მაგალითად, ბ-ნები ივანენკო, ვეესენგოფი, და თავადი მიქელაძე. მმართველობასა და ოპოზიციას შორის ნინააღმდეგობა პრინციპულ პრობლემებს კი არ ეხებოდა, არამედ უმნიშვნელო კერძოს. მმართველობას არ უნდოდა ამ ხმოსნების არჩევა და ცდილობდა მათ შეცვლას. ამასთან ბ-ნ მატინოვის გაღიზიანება და მომთხოვნელობა აღწევდა ისეთ უხერხულობას, რაც დაუშვებელია მმართველობის მხრიდან არჩევნების ჩატარების საქმეში. „დვორცოვი“ ნომრების“ სიის საპირისპიროდ მმართველობამ ღიად გაამჟღავნა თავისი სია, რომელშიც უმეტესობა იგივე სახელები იყო, რაც ოპოზიციის სიაში, იმ განსხვავებით, რომ ურჩი კანდიდატები შეცვლილი იყო

იმ კანდიდატურებით, რომლებმაც დატოვეს „დვორცოვი“ ნომრების ოპოზიცია“ მეორე თანრიგში ასარჩევად, მათი პირველ თანრიგში არჩევა მმართველობის მიერ ითვლებოდა განადღებულად, მაგალითად, ბატონები ადელხანოვი, იზმაილოვი, სტატკოვსკი და სხვები. არადა, არჩევნებმა ის შედეგი კი არ აჩვენა, რაც მმართველობას სურდა, არამედ რასაც ვერც კი წარმოიდგენდა. სამმართველოს უმეტესი კანდიდატები დაწუნებული აღმოჩნდნენ. ორი გავიდა, ერთი ხმის უპირატესობით სიის ბოლოს, ხოლო ვისი არჩევაც მმართველობას არ სურდა, სიის თავში აღმოჩნდნენ არჩეულნი. არჩევნებისთვის ბრძოლა, როგორც ხედავთ, სულ უფრო და უფრო გამძაფრებულად დაიწყო, შედეგს ვერავინ იწინასწარმეტყველებდა.

დაბრმავების და თავის თავზე შეყვარების გამო ჯერ სამი ურჩი ხმოსნის, ხოლო შემდეგ მათი ამომრჩეველი „ოპოზიციის“ დასჯა განიზრახა მმართველობამ, მაგრამ ცეცხლიდან გამძვინვარებულ ალში აღმოჩნდა. მმართველობა ჩაეხუტა თავის მოწინააღმდეგეებს და ახალ გზას დაადგა. მან თავისი ბედი ჩააბარა ა. ა. იოანისიანს, რომელიც მოკალათდა ქალაქის თავის კაბინეტში თავის თანამებრძოლ თავად კ. ა. ბებუთოვთან მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში. უნდა აღინიშნოს, რომ ოთხი წელი მმართველობას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ჰქონდა ამ ბატონებთან, რაზეც მეტყველებს გაცხარებული პოლემიკა ნ. ა. იზმაილოვსა და თავად კ. ა. ბებუთოვს შორის „ნოვოე ობოზრენიეს“ ფურცლებზე, ან განსვენებული ა. ვ. სტეპანოვის რედაქტორობის დროს 1886 წლის ნოემბერსა და დეკემბერში. 1887 წლის განახლებული მმართველობის საქმიანობა ამ ბატონებსა და თვითმმართველობას შორის ბრძოლაში

გაილია. და უცებ, მმართველობა და სათათბირო მთლიანად მათ ხელში გადავიდა!

ბ-ნმა იოანნისიანმა იგრძნო, რომ „მდგომარეობის ბატონ-პატრონია“, განებივრებულმა ადვილად მიღწეული წარმატებით, ჯერ დამარცხების სიმწარე რომ არ გამოეცადა, მაშინვე შეადგინა საკმაოდ „დახვეწილი“ გეგმა: შეხებოდა ამომრჩევლების ადვილად მთრთოლვარე სიებს და ამ დამათრობელი ხმებით ანგარიში გაესწორებინა არაკეთილმოსურნეებისთვის. აქედან პაროლი: „შორს უცხოები!“

უნდა აღინიშნოს, რომ „დვორცოვი“ ნომრების ოპოზიციამ“ ტფილისს მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა, შეიყვანა რა პირველივე კატეგორიაში ბევრი ჩამოსული უცხოელემენტი. ამიტომ მეორე კატეგორიის ამომრჩევლებს, ბ-ნ **იოანნისიანის** რეკომენდაციით, უცხოებისთვის უნდა გაეტეხათ სახელი. ხოლო უცხოები იყვნენ ქართველები, ყარაბახელები და სხვები.

ამგვარი ხელმძღვანელობით და პაროლით, მმართველობის აშკარა მონაწილეობით და დახმარებით, მეორე კატეგორიის ხმოსნებმა უკლებლივ ყველა გააშავეს, ქართველებიც და ყარაბახელებიც, უცხოთაგან ამჯერად არჩეული იყო 2-3 კაცი, რომელთა აურჩევლობა შეუძლებელი იყო.

შემდგომი ამბები საყოველთაოდ არის ცნობილი. ქართველები, ყარაბახელები, რუსები, გერმანელები, მაჰმადიანები და ყველა „უცხო“, აღშფოთებულნი ასეთი გამონაკლისით, გააცამტვერეს არჩევნებზე მმართველობის მესამე კატეგორიის ყველა კანდიდატი, ძირძველი ტფილისლების კეთილი ნაწილის დახმარებით.

მმართველობა თავისი ახალი მოკავშირის აზრების ერთგულებით ზღვარს გადასცდა. მან ახლად არჩეული მესამე კატეგორიის ხმოსნები თვითმმართველობისგან დათხოვნილად გამოაცხადა, მათთან შეხვედრაზე უარი განაცხადა და სხვა ხმოსნებთან არათანაბარუფლებიანად აღიარა. აქედან დაიწყო „სამკვდრო-სასიცოცხლო ომი“, რის დასრულებას მე და შენ, ჩემო მკითხველო, ვერ მოვესწრებით.

ამ უაზრო გადაწყვეტილების დასაწყისში მისი ავტორები თავისიანებმა თითქმის გენიოს პოლიტიკოსებად ჩათვალეს. ეს ადამიანები საკუთარი ცხვირის იქით ვერ იხედებიან, უკვირდათ ის „მოხერხებულობა“, რომლითაც მეორე ხარისხის ამომრჩეველთა უმრავლესობა, ამასთან ახალი მმართველობის უმეტესი ხმოსნებიც გაერთიანდნენ ძველი სათათბიროს მხარდასაჭერად. მაგრამ რამდენიმე კვირაც არ იყო გასული, რომ გამოჩნდა ამ საქმის პირველი მეტად მწარე შედეგი, ძველი მმართველობა ამან ვერ დაიცვა ვერც დაშლისგან, ვერც მორალური დისკრედიტაციისგან, ხოლო მისი ახალი „პარტია“ იზოლირებული და დაგმობილი აღმოჩნდა. ასეთია ჩვეულებრივ უაზრო ხელმძღვანელობის შედეგები.

თითქოს ამ უბედური კომპანიის ავტორები უნდა გამოეფხიზლებინა შრომისა და შემოქმედების გარკვეულ გამოცდილებას, რაც 12 წელი გრძელდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მათ ვერაფერი ისწავლეს, ყველაფერი დაივიწყეს. ახლა, საარჩევნო აგიტაციის გაჩაღების წინ, ისინი უწინდელი „სიმსუბუქით“ სხდებიან გამოცდილ რაშზე და დაკბილული მუყაოს ფარით კრებენ თავიანთ ჯარებს, ბოლო წლებში ბევრჯერ წაგებით რომ დაუსრუ-

ლებიან ბრძოლები და მოუწოდებენ გამარჯვებისკენ... იგივე ქართველებს და ყარაბახელებს.

ყოველივე ამის დაჯერება ძნელია: მაგრამ ეს ფაქტი ეჭვს არ იწვევს. ნაიკითხეთ ბაქოში გამომავალი გაზეთ „კასპის“ ოცდამეჩვიდმეტე ნომერში თარგმნილი სტატია „ქუთაისი და შუშა“, რომელიც გამოქვეყნდა 1893 წლის „არძაგანკის“ („Ардаганка“) მეთექვსმეტე ნომერში. ნახავთ, რომ ჩვენი ძველი მმართველობის პარტიის მეთაურები მომავალი არჩევნების წინ უწინდელი ზიზლით არიან შეპყრობილები.

„არძაგანკის“ სტატიაში ჩვეულებრივი ბანალური და დაღეჭილი ამბების შემდეგ, სამასჯერ მაინც მოიხსენება ადგილობრივ პრესაში შედარება და პარალელი შუშასა და ქუთაისს შორის.

„ორივე ქალაქში, – ამტკიცებს „არძაგანკი“, – ძლიერ გავრცელებულია ტფილისში საშოვარზე სიარული ბედნიერებისა და ფულისთვის“.

„ორივე ქალაქში ტფილისი ითვლება სულელების და ცხვრების საუფლოდ, მათ მხოლოდ ზარმაცები ვერ ნველიან. ეს აზრი ტფილისზე გავრცელდა მას შემდეგ, რაც შუშელები და ქუთაისელები თავიანთ ბაზრებზე (ე. ი. შუშასა და ქუთაისში) 20 კაპიკზე მეტს ვერ იგებდნენ და თამაშობდნენ მონინავეების როლს“.

„ბოლო პერიოდამდე ტფილისელებს ეს ქალაქები მიაჩნდათ თავზეხელაღებული ადამიანებით დასახლებულად. მაგრამ ბოლო არჩევნებმა ეს აზრი გაუქარწყლათ: მიხეილის სახელობის სათავადაზნაურო ბანკში (ქუთაისში) არჩევნების ფინალში შუშის ეპარქიის წარჩინებული დელეგატის არჩევამ სრულიად დაამშვიდა ტფილისელები“.

ბი. მათი მიხვედრილობა (??) ძველებურად ყარაბახის ცნობილი წარმომადგენლის არჩამორჩენა იყო“...

წერა-კითხვის მცოდნემ იცის, ვის ბოსტანშია ნასროლი ეს ქვები, საითკენ მიემართება ეს ისრები. „არძაგანკი“ მიზნად ისახავს განაქიქოს ტფილისელების ცნობილი ნაწილის შეზღუდული თავმოყვარეობა. ჩვენი კომენტარების გარეშეც მიხვდება ყველა, რომ ამ ტფილისელებზე ძალზე დაბალი წარმოდგენა უნდა გვექონდეს, „არძაგანკის“ აზრი რომ გამოვიყენოთ, ისინი მართლაც სულელებად და ბატკნებად უნდა ჩავთვალოთ.

მე ზოგჯერ მსაყვედურობენ არათანმიმდევრულობის გამო, რომ ერთ დროს ძველ მმართველობას მხარს ვუჭერდი, როდესაც ის საქმეს აკეთებდა, არ უპირისპირებდა ერთმანეთს მოქალაქეებს, ხოლო შემდეგ ზურგი შევაქციე ამ სათათბიროს. ამასთან არავინ ერკვევა იმაში, თუ ვინ შეიცვალა, ვინ დარჩა საქმის ერთგული?! ნება მომეცით, მოვიტანო დოკუმენტი, რომელიც ნათლად წარმოაჩენს ჩემს და სხვის პოზიციას. ნახავთ, რომ ეს დოკუმენტი ნათელს მოჰფენს ამ სტატიის არსს.

გადაშალეთ 1875 წლის №108 „ტიფლისკი ვესტნიკი“, რომელსაც გამოსცემდა თავადი **კ. ა. ბებუთოვი** („არძაგანკის“ ახლანდელი თანამშრომელი), წაიკითხეთ ამ გაზეთში ჩემს მიერ დაწერილი სარედაქციო სტატია და თავად ბებუთოვისგან კონტრმესწორებული შემდეგი სტრიქონები:

„ჩვენ ყოველთვის ზნეობრივ მოვალეობად მიგვაჩნდა ჩაგვექოლა და გვემხილა ადამიანები, ვინც ჩვენს მხარეში აჩალებდა ადგილობრივ მოსახლეობაში თემობრივ ზიზლს... ადამიანებმა, ვინც არ გამოირჩეოდნენ არც ტალანტით, არც ცოდნით, არც ენერგიით, იოლი გზა

გამონახეს თავიანთი ეგოისტური მიზნების მისაღწევად, ჩამოიცივეს რა მათგან ერთგულეების ნილაბი ამათუ იმ ნაციონალური ჯგუფისადმი, რათა მოეპოვებინათ სიმპათია და თანადგომა იმათი, რომელთა ეროვნულ გრძნობებს ეხებიან თავიანთი ჭუჭყიანი ხელებით... უნდა ჩამოვხსნათ ამ საცოდავთ მათი ყალბი პატრიოტული ნილაბი, ამოვიცნოთ ამ ბატონების ნამდვილი უსუფთაო მიდრეკილებანი, ყველას წინაშე გავშიფროთ ამ ადამიანთა პიროვნული თვისებები, რომლებიც სარგებლობენ ჩვენი მხარის მშვიდობიანი განვითარებით, რათა უმნიშვნელო ფულადი თანხა მიიღონ, რაც ჩვენ ყოველთვის მიგვაჩნდა და მომავალშიც მივიჩნევთ ჩვენს წმინდათანმინდა მოვალეობად“.

აი, რას ვწერდით მე და თავადი ბებუთოვი და ვბეჭდავდით 1875 წლის 16 ოქტომბერს ქ. ტფილისში. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ჩვენს გასაჭირზე ეს სტრიქონები მე მხოლოდ გუშინ ხომ არ დამინწერია? ეს ჩვიდმეტი წლის წინ იყო თავად კ. ა. ბებუთოვთან ერთად საერთო საფიცარი. „ჩვენ მუდამ ვთვლიდით, რომ ჩვენ ყოველთვის მივიჩნევდით...“ ვინ უღალატა ამ ფიცს, ვინ დარჩა მისი ერთგული? საბედნიეროდ, მე არ ვწამლავ ტფილისელს შუშელების წინააღმდეგ, ორივეს – ქუთაისელების წინააღმდეგ, ხოლო ყველას ერთად – ამიერკავკასიელების წინააღმდეგ და ა. შ. მუდმივობა საქმის ერთგულებაში გამოიხატება და არა პიროვნებების დამონებაში.

„ტიფლისკი ვესტნიკში“ გამოქვეყნებული ამ დავიწყებული სტრიქონების გადმობეჭდვით, მე ვჩქარობ ნათელი მოვფინო ჭეშმარიტების გარკვევას, რომ ძველი მმართველობის პარტიის ხელმძღვანელების და „არძა-

განკის“ თანამშრომლების საქმიანობა შესწორებას საჭიროებს. ეს ბატონები არც მცირე და არც საკუთარ მოგებას არ ითხოვენ, არც ხელები აქვთ უსუფთაო. მე შემოდია დავუშვა, რომ მათი უმთავრესი ხელმძღვანელები შთაგონებულნი არიან საუკეთესო მისწრაფებებით. მაგრამ მათი არჩეული გზა ამ კუთხის მშვიდობიან განვითარებას ხელს ვერ შეუწყობს. ბოლოს და ბოლოს დაწინავერება მიაღწევს ეშმაკებამდე: მოუწევთ კვარტალი კვარტალის წინააღმდეგ დარაზმონ, ან მოდგმა მოდგმას დაუპირისპირონ იმის ნაცვლად, რომ ჭკვიანური საზოგადოებრივი ბრძოლის სერიოზული იდეური პლატფორმა შეემუშავებინათ, აი, მაშინ კი ჭუჭყიანი ხელები და ჭუჭყიანი მიზნები გარდუვალი იქნებოდა.

სინამდვილეში, აქვს კი ამგვარ ბრძოლას აზრი, რომ ამომრჩევლები დაიყოს ქალაქელებად და აბორიგენებად? უწინარესად, აქ სრულებით არ არის წვეთიც კი სიმართლე და გულწრფელობა. ვითომ მ. ი. თამამშევი, მაგალითად, რატომ არ არის ტფილისის ძირძველი აბორიგენი? ის ჩვენი ქალაქის ძალიან, ძალიან ძველი გვარის წარმომადგენელია. ამის მიუხედავად „არძაგანკი“ ცდილობს არად ჩააგდოს ეს. არჩევნებზე თქვენ ნახავთ, რომ იგივე „არძაგანკი“ თავს გამოიდებს ძველი მმართველობის პარტიის მეთაურებისთვის, რომლებიც სრულებით არ არიან უფრო მეტი „ტფილისელები“, ვიდრე თავადი მიქელაძე ან ბატ. მელიქ-კარაკოზოვი. მაგალითად, კ. მ. ალიხანოვი გორიდანაა, პ. ა. იზმაილოვი – იზმაილიდან, ა. ა. იოანისიანი – უფრო შორეთიდან. სინამდვილეში ამ გზას თუ მივმართავთ, მაშინ ტფილისში არ დარჩება არც ერთი ამომრჩეველი, არათუ ხმოსანი. მაშინ თვით გრუზინსკეებიც კი, რომლებსაც აქვთ სრული უფლება ძირძველ

ტფილისელებად ითვლებოდნენ, ძველ საბუთებს თუ გადავქექავთ, მცხეთიდან, ან იერუსალიმიდან თუ ხანაანის მინებიდან ჩამოსახლებულნი აღმოჩნდებიან.

დამიჯერეთ, „არდაგანკის“ მიერ გაშლილი დროშა ამ ლაშქარს გამარჯვებისკენ ვერ წაიყვანს, მოსახლეობისათვის რაც უნდა სასარგებლო იყოს. ეს ძალიან დამსახურებული დროშაა, მაგრამ არქეოლოგიური კუთხით: ეს დროშა უნდა დაიცვა, პატივი სცე როგორც წმინდა ჭალარა წარსულის ნაშთი. თვითეულ ჩვენს ოჯახში შეიძლება ინახებოდეს სანუკვარი ჯავშანი, მახვილი, საბრძოლო იარაღი. ყოველივე ეს კი სხვა არაფერია, თუ არა „le sabre, le sabre, le sabre de mon pere“. ჯერ ერთი, ვინ გამოდის ასე სერიოზულ ომში? მეორეც, ეს სიკეთე ყველას ბევრი აქვს... რატომღა უნდა ავაშრილოთ საუკუნეთა საპატიო მტვერი, რომელიც არა ვილაცის განსაკუთრებული კუთვნილებაა, არამედ... ისტორიის საკუთრებაა.

ამ საერთო შენიშვნებიდან გადავდივარ დროის მოთხოვნაზე – სამოქმედო დროშაზე, რომელმაც თავის გარშემო უნდა შემოიკრიბოს ტფილისელი ამომრჩევლები – ყველას, ვისთვისაც სულერთი არ არის ჩვენი თვითმმართველობის განვითარება და ქალაქის კეთილდღეობა, ვურჩევ, ცეცხლივით ეშინოდეთ ყოველგვარი გამონაკლისის. ამომრჩევლებმა ცვალებად დევიზებს და სიტყვებს კი არ უნდა მიაქციონ ყურადღება, არამედ წარსულ მოღვაწეებს, ვინც მათი ნდობა და იმედი დაიმსახურა. ასარჩევად უნდა წამოაყენონ ის, ვინც ცდილობდა და ახლაც ცდილობს ჩვენი მოსახლეობის გონების, კეთილშობილების და ეკონომიკური ძალების მშვიდობიან განვითარებას ეროვნულობისა და აღმსარებლო-

ბის მიუხედავად, ეს ამოცანა არის განსახორციელებელი და საპატიოც, რაც ამ მხარის განვითარების მორიგი საქმეა... ყოველი გამონაკლისი, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს და რა მიზანსაც უნდა ემსახურებოდეს, უდაოდ, ვნებს ასეთ განვითარებას იმიტომაც, რომ ჩვენში არ არის ისეთი ძლიერი ჯგუფი, რომელიც განსაკუთრებულ მდგომარეობას შექმნიდა და არ გაისრისებოდა განსხვავებული ინტერესებისგან. აი, ჩვენს მიერ ერთ დროს დასმული დევიზი „ტიფლისკი ვესტნიკში“: ამ მხარის ყველა მეგობრის მშვიდობიანი განვითარების ერთიანობა, ეროვნებათა განსხვავების მიუხედავად, ყოველგვარი შუღლის დანერგვის და გამორჩეულობის გარეშე აგრძელებს არსებობას და საუკუნეების მანძილზე დარჩება ჩვენს მხარეში პატიოსანი და იდეური ბრძოლის გონივრულ პლატფორმად.

III. სათათბიროს საქმიეები და საქმოსნობა

ჩვენ საუკეთესო პერიოდამდე მოვალნიეთ. სხვადასხვა ბუნდოვანი და გარდამავალი ეპოქების გარემოში, რომლებიც ცნობილია გაუგებარი თუ სათანადოდ გამოუკვლეველი „ცხოვრების ბედნიერი ხანით“, გრძნობათა წმინდა ეპიდემიური განვითარებით – ხან თვითმკვლელობის, ხან თვითმწივრის, ხან თავის დაწვის სურვილებით. ეხლა ჩვენ ვემორჩილებით თვითმეზღუდვის საზიზღარ ძალას. არადა, ამ ოინით გატაცებულები, უცებ ვინ იცის რატომ, საკუთარ უფლებებსა და პრეროგატივებს ხელს დააფარებენ. ყველაზე უცნაური კი ის არის, რომ მათ არ აქვთ ის შედეგი, რითაც თავს იმართლებენ მათი

პროტოტიპები. ჩვენში შეზღუდულად ძალიან გულმოდგინედ თავს იწონებენ ის ადამიანები, ვინც დაინტერესებული არიან, მაგრამ არც უფლებები და არც პრეროგატივები არ გააჩნიათ. ყველაფერი ეს კი ხდება მავანისთვის ყოველგვარი საჭიროების გარეშე და საქმის საზიანოდ, რაც ეპიდემიის მეტი არაფერია.

საოცარია, რომ ეს მიდრეკილება მჟღავნდება არა ყმანვილებში, რომელთა მისწრაფებანი მათი გამოუცდელიობით შეიძლება აიხსნას, არამედ იმ თანამდებობის მქონე კაცები, რომლებსაც ზუსტი წარმოდგენა აქვთ თავისი და სხვისი უფლებების და მოვალეობების ნორმებსა და საზღვრებზე. ასეთი სურათი დაგვიხატა ტფილისის სათათბიროს უკანასკნელ სხდომაზე ჩვენმა საპატიო ხმოსანმა ა. ს. მატინოვმა¹ (*in partibus infidelium*). თურმე მთელი სამი ოთხნლედის მანძილზე საქალაქო თვითმმართველობის სათავეში ყოფნა საკმარისი როდია ნათლად გაარკვიო ამ მექანიზმის ცალკეული ნაწილების ფუნქციები, რასაც ხელმძღვანელობ. ასე მეარღნესაც შეუძლია მთელი ცხოვრება ატრიალოს თავისი „არღნის“ სახელური და სასიამოვნო ხმები მოჰფინოს არემარეს ისე, რომ არც იცოდეს საიდან გამოსცემს ამ ხმებს არღანი, რომელიც მსმენელებს ატკბობს... ასეთია თანამედროვე მექანიკის საოცრებანი!

ა. ს. მატინოვმა წინა ორშაბათს განსაკუთრებული პათოსით გააჟღერა ახალი პრინციპი, როგორც გარდაუვალი კანონი. ასტრახანში მან უნდა გამოიტყუოს

¹ მას შემდეგ, რაც 1891 წლის სათათბიროს შემადგენლობამ აიძულა **ა. ს. მატინოვი**, დაეტოვებინა ტფილისის ქალაქისთავობა, ადგილობრივმა პლუტოკრატამ იგი დანიშნა კასპიის თევზის მრეწველობის გემების წარმოების უფროსად.

მმართველობის სრული უკონტროლობის პრინციპი. მისი აზრით, ხმოსანმა რომ მოითხოვოს სათათბიროს განმარტების ანგარიში, მან რაღაც საგანგებო უფლებები უნდა მოიპოვოს. ბ-ნ მატინოვს დაავიწყდა იმის დასახელება, თუ ვინ იძლევა ამ უფლებებს, რა ფორმით, რა სანქციით, როგორი გამოთქმებით, რომელ პერგამენტზე დაწერილს? მას დაავიწყდა აგრეთვე განემარტა, ვინ და როდის გააუქმა ხმოსანთა უფლებები, რაც მიენიჭა „საქალაქო მმართველობით“ – ამოირჩიოს, მიმართულება მისცეს და შეამონწმოს მმართველობა? ბ-ნ მატინოვისთვის საკმარისია იმის წარმოდგენა, რომ ის დგას სათათბიროს მომავალი შემადგენლობის წინ და თავის ოქროს საყვირით ბრძანებლობს, ხოლო გემზე მყოფნი უსიტყვოდ ასრულებენ მის ყველა ბრძანებას. ეს ხომ სოლოლაკელი ადმირალის მირაჟია და მეტი არაფერი!

მეორე მხრივ, ჩვენს მეგობარ ხმოსანს თავისი მოვალეობის კეთილსინდისიერ შესრულებაში დიდად ვნებს ჩვენი მეტისმეტი პუნქტუალობა. ჩვენ წარმოვიდგინეთ, რომ საკრებულოში კი არ ვართ და სერიოზულად და საქმიანად ვწყვეტთ ქალაქის მოსახლეობის სამეურნეო საქმეებს, არამედ ვართ გოგოლისეული მანდილოსნის სალონში, სადაც ყველაფერი სასიამოვნოა, ხოლო ჩვენ არ ვართ ხმოსნები, ვაჭრები, ჩინოვნიკები, ჟურნალისტები, ბანკირები, ჯარისკაცები, არამედ ვართ ინსტიტუტული ქალბატონები, სკამის მცირეოდენ ქრიალზე რომ წამდაუნწმ ყაყაჩოსავით წითლდებიან. მანერულები ვართ ჩვენ, საშიშად მანერულები. ჩვენ შოკში ვვარდებით, როგორც კი გავიგონებთ საშინელ სიტყვას „კრიტიკა“. თუ რომელიმე ხმოსანს წამოსცდება, რომ ჩვენ შევცდით, რომ ჩვენ არასწორად მოვიქეციით, მაშინ ჩვენ

ეპილეფსია გვჭირს. არა, რა სისულელეა! ჩვენ ხომ შევცდით! ჩვენ არასწორად მოვიქეციით! ჩვენ ხომ ისეთი უცოდველნი ვართ, ისეთი შეუბღალავნი, რომ რომის პაპიც კი ვერ შეგვედრება. ამაშია ჩვენი უკეთურობა! ჩვენ ვფიქრობთ, დარწმუნებულნი ვართ, რომ კი არ შევცდით, არამედ შეცდომის მითითებაში დავაშავეთ. თორემ სინამდვილეში ჩვენ ისეთი გულუბრყვილონი როდი ვართ, რომ არ გვესმოდეს, ხშირად რომ ვცდებით, ხშირად ვაშავებთ, ხშირად ვუშვებთ უზუსტობებს. არა, ჩვენ ეს ყოველივე ვიცით და გვესმის. ბრმანი როდი ვართ, რომ ვერ ვხედავდეთ, ჩვენ ყოველწლიურად თითებიდან როგორ გვისხლტება მილიონ მანეთამდე მოსახლეობისთვის საჭირო თანხა, ხოლო ჩვენი მმართველობის ქვეშ არსებული ქალაქის სავაჭრო და ეკონომიკური მნიშვნელობა სულ ეცემა და ეცემა... დიახ, ეს ყველაფერი ჩვენ ვიცით, ისიც, რომ შორს ვართ დანაშაულებამდე, რომ საქალაქო ცხოვრების სწორ კალაპოტში მიყვანის იდეალამდე ბევრი გვაკლია, რომ ბევრი მარცხი და უზუსტობა გვაქვს. მაგრამ ჩვენ მაინც გვჯერა, რომ ეს ყოველივე მიუღწეველი საიდუმლოა სათათბიროსა და საზოგადოებისთვის, რასაც ხალხი ვერ ხედავს და ვერ გრძნობს, და ეს წყეული ოპოზიცია რომ არ ყოფილიყო, არავინ, არასდროს, არაფერს შეიტყობდა...

ამრიგად, ერთის მხრივ, თვითშეზღუდვის ეპიდემია, მეორეს მხრივ, პრანჭვა-გრეხვის სიფაქიზე სათათბიროში უმოკლეს დროში იქამდე მიგვიყვანენ, რომ ხმოსნებს ხმის ამოდების უფლება არ ექნებათ. ისინი მოითხოვენ სიტყვას მხოლოდ იმისთვის, რომ მმართველობას უმღერონ: „რა მშვენიერი ხარ!“ თქვენ ნახავთ, რომ სათათბი-

რო მაშინაც იპოვის საბაბს ჩივილისთვის, რადგანაც ხმოსნებმა გული შეუწუხეს.

ყოველივე ეს კი მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ჩვენი განათლება, ჩვენი ცივილიზაცია ხშირად მოუწესრიგებელია. სხვა შემთხვევაში ჩვენი სათათბიროს წევრები თავის უფლებებს შეადარებდნენ იტალიელი, ავსტრიელი, ან ფრანგი მინისტრების როლს და დაინახავდნენ, რას ნიშნავს თვითმმართველობის ლოჟის მნიშვნელობა. იქ სინამდვილეში ერთმანეთს აკონტროლებენ, არ ხუმრობენ, და არც ტკბილეულით უმასპინძლებიან, არამედ საქმიანი კამათით ურთიერთობენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ იქაურმა მინისტრებმა, ალბათ, თავიანთი წარსულით, თავიანთი ტალანტით და ცოდნით დაიმსახურეს არანაკლები უფლებები და ნდობა, ვიდრე ბატონებმა ხოსროევმა, ივანენკომ, ან იზმაილოვმა. ვინც გამოირჩევა მეტისმეტი წესიერებით, ვისაც კრიტიკა და მხილება გონს აკარგვინებს, ის ნუ ჩაებმება საზოგადოებრივ საქმეში, ნუ დაიკავებს საპასუხისმგებლო თანამდებობებს, რადგანაც სატვირთო მანქანის ტვირთად იქცევა.

ვიმეორებ, მალე ჩვენს ხმოსანს, ყველაფრის ატანის გარდა და მეტი მოთმინების გამო, არ შეეძლება სათათბიროში ხმის ამოღება. ამიტომ დროდადრო მე მაქვს უფლება შევასრულო ხმოსნის ამოცანა იმ ფორმით, რაც თვით ა. ს. მატინოვსაც არ მოსვლია თავში: პრესას კრიტიკის უფლება აქვს. მოდით, ვაკრიტიკოთ თვითმმართველობის საქმეები ჟურნალ-გაზეთებში.

ცნობილია, რომ ჩვენი ქალაქის სამედიცინო მომსახურებაზე დიდი ხანია იხარჯება ყოველწლიურად დაახლოებით 50.000 მანეთი. ამ დიდი თანხის მიუხედავად,

როდესაც „შავი ჭირის“ ეპიდემიის საშიშროება შეიქმნა, ქალაქი იმ დღეში აღმოჩნდა, რომ მას არც სამედიცინო და არც სანიტარული სახსარი არ გააჩნდა ეპიდემიასთან საბრძოლველად. ყველაფრის ექსპრომტად მოწყობა იყო საჭირო, ასე თუ ისე, სასწრაფოდ, საქალაქო სალაროდან უდიდესი დანახარჯებით, და ბინის მეპატრონეების უდიდესი შემოწირულობებით. თქვენ იცით, რომ მარტო საქალაქო სალარომ სამ-ოთხ თვეში ამ საქმეზე დახარჯა დაახლოებით 60.000 მანეთამდე. როდესაც ეპიდემიის დასრულების შემდეგ სამმართველომ სათათბიროს მსჯელობისთვის წარუდგინა ეპიდემიამდე შედგენილი სანიტარული ექიმების სრულიად ცარიელი „ინსტრუქცია“, მე ვურჩიე სათათბიროს, ეს საქმე გვერდზე გადაედო და დაენყო სამედიცინო-სანიტარული ძალების და ქალაქის ხარჯის სერიოზული გაერთიანება ქალაქის ასეთი სისტემატური და მუდმივი გაჯანსაღების მიზნით. ყოველწლიურად 50.000 მანეთი რომ დაიხარჯებოდა და შარშანდელივით ეპიდემიის დროს არ ჩავვარდებოდით კოლაფსში და არ დავხარჯავდით უზომოდ დიდ თანხას, რომელიც შეიძლება არც აღმოგვჩენოდა, მაგრამ სათათბირომ (სათათბიროს თავმჯდომარის გარდა, რომელიც მხარს უჭერდა ამ წინადადებას) სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა ამ წინადადებას, რაც უაზრო და უმიზნოც იყო. ეს ის სათათბირო იყო, რომელმაც თავისი შორსმჭვრეტელობა ხოლერის დროს იმით გამოხატა, რომ 4600 მანეთად მოისურვა ეპიდემიასთან ბრძოლა, ხოლო ახლა ასაბუთებდა, რომ არავითარი სამედიცინო-სანიტარული ძალებისა და დაწესებულებათა გაერთიანება საჭირო არ არის, არავითარი ჰიგიენისტი არ სჭირდება ქალაქს და ა. შ. და ა. შ. ამ უბრალო საკითხის გადა-

სანყვეტად, სამმართველოს სიჯიუტის გამო, სათათბიროს თითქმის სამი თვე დასჭირდა ამ პრობლემის მოსაგვარებლად. სათათბირომ დასძლია წინააღმდეგობა და შეიმუშავა „დებულება“, თუმც საკმაოდ შეცვლილი სახით, ჰიგიენისტის თანამდებობის გარეშე, მაგრამ ქალაქის სანიტარული საქმის მონესრიგებით.

მე და თქვენ, ჩემო მკითხველო, რომ გქონოდა იმის ბედნიერება, რომ სამმართველოს განმკარგავი ვყოფილიყავით, მაშინ ჩვენ არასდროს მოგვივიდოდა თავში, უარი გვეთქვა იმ წინადადებისთვის, რომლის მიზანიც იქნებოდა კომპეტენტური თანაშემნის დანიშნვა სამედიცინო-სანიტარულ საქმეში. სამმართველო არა მხოლოდ იმას ამტკიცებდა, რომ ამ საქმეში ჩვენ ყოველთვის ყველაფერი კარგად გვექონდა და კარგად გვაქვს, არამედ უფრო შორს გაუტია. მან ბრძოლის მთელი სისტემა ჩამოაყალიბა არა განსახილველი საკითხისადმი, არამედ სათათბიროს მიერ შედგენილი „დებულებისადმი“. მან გაზეთებში გამოქვეყნებული იმ გვარების გამოძახება დაიწყო, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი დაეკავებინათ სამედიცინო-სანიტარული ინსპექტორის თანამდებობა, რასაც მარტო ბ-ნი **პრეობრაჟენსკი** გამოეხმაურა. შემდეგ მმართველობამ სათათბიროს შესთავაზა – მას მოეხდინა სათათბიროს ექიმების შერჩევა. ჩვენ რომ მის ადგილას ვყოფილიყავით, სათათბიროს კარგი ანაზღაურების საფუძველზე, ქალაქში მომუშავე ექიმებიდან, რომლებიც სამედიცინო-სანიტარულ საბჭოში იყვნენ, ქალაქისთვის ახალგაზრდა, ენერგიულ და თავის მაღალ დანიშნულებაში დარწმუნებულ მცოდნე ექიმებს დავნიშნავდით და ა. შ. არადა, მხოლოდ ასეთ ექიმებს, რომლებიც ცხოვრებას ჯერ არ გაუთახსირებია, შეუძლიათ დილიდან საღამომდე იმუშაონ

1.200 მანეთად იმ ქალაქში, სადაც მმართველობის ნევრები მშვიდ და უსაფრთხო კაბინეტურ სამსახურში იღებენ 3.000 მანეთს და მეტსაც... მე და თქვენ არ დაველოდებოდით ადგილების მძებნელთა თხოვნებს, არამედ თვითონ მოვძებნიდით ტალანტით და მონდომებით სავსე სპეციალისტებს, რომ დაგვეინტერესებია, მოგვეზიდა ისინი ქალაქში სამუშაოდ და ა. შ. ხოლო მმართველობა ამ საქმეს სრულიად სხვაგვარად მიუდგა.

– თქვენ ცდილობთ შეზღუდოთ მმართველობა, სთავაზობთ, ექიმები შეარჩიოს სანიტარულ კომისიასთან შეთანხმებით! აი, ეს ამისთვის! აი, სანიტარულ კომისიასთან შეთანხმებით შერჩეული ექიმებიც!

მართლაც, დიდი სიფიცხის და გაჯავრების ფონზე, რომელშიც იმყოფება უსაზღვროდ უძლური და მეტად თავმოყვარე ადამიანი, ვინც განცხადებით მმართველობას მიმართა, შეიძლება გაეკეთებინათ დასკვნა, თუმცა როგორ უნდა წარედგინათ განცხადება, არავის გაუმხელია მათთვის პუბლიკაციებითაც კი. ლოგიკით ორიდან ერთი უნდა შესრულებულიყო – ან უნდა დანიშნულიყო განცხადების საფუძველზე შეხვედრის დრო და პირობები, ამის შემდეგ გამართულიყო კონკურსი მსურველებს შორის, ან თვითმმართველობას უნდა მოეძებნა შესაფერისი ექიმები, თვითონ მოეწვია ისინი, დაეთანხმებია და ა. შ. მაგრამ პუბლიკაციების გარეშე ამის გაკეთება ფრიად უცნაურია.

შემდეგ კონკურენტებს შორისაც კი შეიძლებოდა არჩევანი გამართულიყო. წინასწარმეტყველობა არ სჭირდება იმას, რომ მმართველობის არჩევნები ადვილი არ არის. მალე უნდა გაიმართოს ქალაქის „სანიტარულ-სამედიცინო ნაწილის დებულების“ საბჭოს სხდომები.

ნახავთ, როგორი შრომებით, როგორი წინადადებებით გამოიჩინენ თავს მმართველობის მიერ წარმოდგენილი ექიმები. თითქოს საგანგებოდ განდევნილნი არიან ის ადამიანები, ვინც ხოლერის დროს მუშაობდნენ, ან მანამდეც, აქვთ კარგი ცოდნა, ენერგია, მაგრამ უპირატესობა ეკუთვნით იმ პირებს, ვინც მედიცინაში იმდენი იციან, როგორც მე და შენ, ჩემო მკითხველო. არადა, ყველა ექიმი ექიმია?! ჩვენ ისეთი ექიმებიც გვყავს, რომლებიც მაშინ სწავლობდნენ, როდესაც მეცნიერება არა თუ **პასტერის** თეორიებს არ იცნობდა, არამედ სამოციანნი წლების მეცნიერთა ჰიპოთეზებსაც კი. არიან ექიმები, რომელთათვის ეს ატომის თეორიები სხვა არაფერია, თუ არა უცხო ხმები. მათთვის არაფრის მთქმელია **ვირხოვის, ლიბიხის** სახელები. მმართველობამ თავის სამუშაო შტატში ასეთებიც შეიყვანა.

მმართველობა ცდილობს თავისი პასუხისმგებლობა გადაიტანოს სანიტარულ კომისიაზე. მესმის, რომ ამ გაუგებრობას სათათბიროში ა. ს. **მატინოვი** აფლერებს. ის თეორეტიკოსი კი არა, პრაქტიკოსია. მაგრამ ბ-ნი **იზმაილოვი**, რომელიც მრავალჯერ ცდილობდა გამხდარიყო წარმომადგენლობითი დაწესებულებების ფუნქციების და პროცედურების აზრის განმარტების მთავარი სპეციალისტი, პროტესტის გარეშე უშვებს ასეთი სისულელეების რომვას და მძიმე წუთებში თვითონ ეჭიდება მათ. ყოველგვარი კომისიის აზრი სხვა არაფერია, თუ არა მოსამზადებელი ინსტრუმენტი გადაწყვეტილებათა მისაღებად, რაც მხოლოდ გადამწყვეტ ინსტანციებს შეუძლიათ. ასეთი დაწესებულებები კი მხოლოდ ორია: თვითმმართველობა და სათათბირო. კომისიები სწავლობენ მოუმზადებელ საქმეებს, გადამწყვეტ ინსტანციებში წა-

რადგენენ ამა თუ იმ დასკვნას, რომელსაც ან მიიღებს, ან უარყოფს კომისია. თვითმმართველობისა და სათათბიროსთვის კომისიები სამელნის ფუნქციისა, საიდანაც იღებენ მელანს გადანყვეტილებათა დასაწერად. ისე, როგორც პასუხისმგებლობა ჩემი ფელეტონის გამო არ შემოიძლია დავაბრალო ჩემს სამელნეს, ასევე მმართველობას არ შეუძლია ექიმების არჩევის დაბრალება სანიტარული კომისიისთვის, რომლის დასკვნები არავისთვის არ იყო აუცილებელი. აი, სახელმწიფო სამართლის კანონით რატომ ითვლება კომისიები პასუხისმგებლობის არმქონედ. ამას უარყოფს ბ-ნი იზმაილოვი?

ასეა თუ ისე, ქალაქი, რომელიც ამჟამად ხარჯავს უკვე 55 ათას მანეთს სანიტარულ-სამედიცინო ნაწილზე, სამმართველოს მიერ სრულებითაც არ არის ექიმების იმ შემადგენლობით დაკომპლექტებული, რომელზეც ოცნებობდა სათათბირო, როდესაც ახალ ნაწილში ახალი ორგანიზაციის დანერგვას ცდილობდა.

ყოველთვის ასეთი შედეგია, როდესაც სათათბიროს ახალი საქმის შემსრულებელი არის თვითმმართველობა, რომელსაც სრულიად განსხვავებული, ხშირად წვრილმანი მისწრაფებები გააჩნია. თვითმმართველობას იმის დამტკიცება სურდა, რომ ახალი ორგანიზაცია ისეთივე მოუქნელი იქნებოდა, როგორც ძველი. ეს კარგად ჩანს რადგან ორგანიზაცია დიდად არის დამოკიდებული პირად შემადგენლობაზე. ცნობილია, რომ თვით მეარლნესაც კი შეუძლია არღნის გაფუჭება, თუ სახელურს არასწორად შემოაბრუნებს. შევთანხმდეთ, ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთი შურისძიების მოხდენა შეიძლებოდა... საკუთარი ვნებანი უნდა დაიყვანო წმინდა მხეცურ დაძაბულობამდე, რომ დაივიწყო ოპოზიციის მიერ მიყენებუ-

ლი ის წყენა, რაც იმ ღარიბებს მიადგათ, ვინც მმართველობის სამედიცინო დახმარებას ითხოვდა. და, რა საშინელებაა, მოსახლეობისთვის ცოცხალი სამუშაოს ნაცვლად გვიხდება ვხარჯოთ ენერგია მმართველობის ამ უაზრო წინააღმდეგობის დასაძლევად. უკვე ორნახევარ წელზე მეტია ვამტკიცებთ, რომ იმ დროიდან, როდესაც ა. ს. **მატინოვი** იძულებული გახდა დავეტოვებინეთ და ის შეცვლილიყო პ. ა. **იზმაილოვით**, მოსახლეობის ბედი და ცხოვრება წამიერად გაქვავდა ჩვენი დანაშაულის გამოსყიდვამდე, ან მეორედ მოსვლამდე. ალბათ, ძალიან, ძალიან პანანკინტელა უნდა იყო, რომ ასეთ გაუგონარ სიბრმავემდე მიხვიდე!

მაპატიოს თავადმა კ. ა. ბებუთოვმა, რომ ამდენხანს ვერ შევძელი პასუხი გამეცა მისთვის. ამ დღეებში ვეცდები გამოვისყიდო ჩემი დანაშაული.

IV. პИTOMO Mკვლარი¹

როგორც იუნყებიან, მე ცილი დავნამე გაზეთ „არ-დაგანკს“ და მის თანამშრომელს თავად კ. ა. ბებუთოვს. ისინი, როგორც ამბობენ, მხოლოდ ხუმრობდნენ, თანაც უწყინარად ხუმრობდნენ, რასაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა დღიურ ჭირ-ვარამთან. ისინი სასაცილო პარალელს ავლებდნენ ბაქოსა და ტფილისს შორის, შუშასა და ქუთაისს შორის ყოველგვარი მიზნის გარეშე ისევე, როგორც ავტორი სტატიისა „ვინ არის დამნაშავე“ აღწერდა ერთ დროს მახვილგონივრულ შედარებებს მოს-

¹ „ნოვოე ობოზრენიე“, 1893 წ., 12 მარტი, №3167

კოვსა და პეტერბურგს შორის. მე კი, სხვათა შორის, სერიოზულად მივუდექი ამ არატენდენციურ ფელეტონუმიკებს, ჭეშმარიტად უმნიშვნელოებს, ავტებზე განგაში რომელიღაც წარმოსახულ დევნაზე, ფიცის გატეხვაზე და ა. შ. მაგრამ განა თავად **კ. ა. ბებუთოვს**, ან „**არძაგანკს**“ შეუძლიათ მონამლონ, ან რამე შეუსაბამო ჩაიდინონ? - დაგვიფაროს უფალმა! ყოველივე კი ნათელია „**ნოვოე ობოზრენიეს**“ მკითხველებისადმი წარდგენილ განმარტებიდან, რაც არავის სხვას, არამედ **კ. ა. ბებუთოვს** ეკუთვნის; იგი ცდილობს საზოგადოება დაარწმუნოს, რომ მე სხვას კი არ ვგულისხმობდი, არამედ **თავად ბებუთოვს** ვამხელდი. **თავად ბებუთოვს** მტრედისებური უცოდველობის დასამტკიცებლად მოჰყავს თავისი ორივე პარალელის სრული ტექსტი.

ჩვენს მკითხველ საზოგადოებას ნამდვილად უნდა მივანეროთ დაბალი კლასის ინსტიტუტების გულუბრყვილობა, რომ ვირწმუნოთ ამგვარი დაცვის სერიოზული წარმატება. ინსტიტუტებმაც ხომ იციან დღეს, თუ რას ნიშნავს ხუმრობა და გადაკრული სიტყვა... ყველას თვალში, ვინც ცოტად თუ ბევრად გაეცნო ჩვენს საზოგადო საქმეებს, ახლადწარმოქმნილი პლუტარქეს პარალელიდან მთელ კილომეტრზე ჩანს ყველაზე უცერემონიო ტენდენცია, ამასთან წმინდა საარჩევნო ხასიათისა. მე შეურაცხყოფას არ მივაყენებ „ნოვოე ობოზრენიეს“ მკითხველებს ამ ჭეშმარიტების მტკიცებით. ჩემთვის საკმარისია დავასახელო თავად ბებუთოვის სტატია, რომელშიც მას თავისი ობიექტივიზმის წარმატებულ არგუმენტად, თბილ მარგალიტად მოჰყავს პარალელი ბაქოსა

და ტფილისს შორის, რომლის გამოც დაიწერა მთელი ეს პარალელი: „ტფილისი უძღურია კამერჰერებისადმი“¹.

თავადი ბებუთოვი შეურაცხყოფს თავის თავს ისევე, როგორც შეურაცხყოფს მოსკოვსა და პეტერბურგს შორის პარალელის გავლების ავტორის ხსოვნას. სიტყვამ მოიტანა და, ამ ბოლო პარალელის გამოკვეთილი და ცხვირშიმიხლილი ტენდენციების უკანასკნელი პარალელი, ამასთან ძალიან, ძალიან სერიოზული სიტყვათა უმიზნო თამაშით – მახვილგონივრულობა მახვილგონივრულობისთვის, უსამართლოა... ვიმეორებ, თავ. ბებუთოვი თავის თავს ცილს სწამებს არაფრის მკეთებელი უმიზნო კალამბურისტის მსგავსად... მთელი მისი წარსული ლიტერატურული საქმიანობა ცხადჰყოფს, რომ მას ჯერ არც ერთი სტრიქონი არ დაუწერია გარკვეული მიზნის, გარკვეული ტენდენციის გარეშე. წლების შემდეგ მისი ეს მიზნები და ტენდენციები უკანასკნელ ხანს თითქმის მიკროსკოპიულები რომ გახდნენ, იგი მაინც არ დაეცა, – და იმედია, არასდროს დაეცემა იმ სიმდაბლემდე, რომ უაზრო დაცინვის გათამაშებით უმიზნო პიროვნებების დატკბობა მოინდომოს... ამისთვის ჩვენ ასობით მოკეთე გვყავს, რომელთაც არავინ არასდროს სერიოზულად არ აღიქვამს და რომლებსაც სრულიად მცდარად ადარებს თავის თავს თავ. ბებუთოვი.

ამასთან სრულიად უსამართლოდ ჭეშმარიტებისგან დიამეტრალურად სანინაალმდეგოს წერს თავის თავზე თავ. ბებუთოვი. ის ირწმუნება, რომ „მოიპოვა სრული სიმშვიდე“. რომელი? უკვე რამდენიმე წელია მუდმივად

¹ ზოგიერთ სამეფო კარზე დიდგვაროვანთა ერთ-ერთი წოდება (დ. ჩ.)

მონაწილეობს გაზეთ „არძაგანკის“ რედაქციის მუშაობაში და ეს მონაწილეობა ხდება ადგილობრივი ცხოვრების ყველა ძირითად საკითხზე. ამას ეწოდება „სიმშვიდის მოპოვება“? ამ აზრზე თუ შეთანხმდებით, მაშინ თვით მ. ნ. კატკოვიც ამ პოზიციაში აღმოჩნდება თავისი გაცხარებული პუბლიცისტური მოღვაწეობის მანძილზე. ნუ-თუ, ყველა ჟურნალისტი, ვინც პრესაში თავის მონაწილეობას არ აიგივებს ქალაქის საკრედიტო საზოგადოების სამეთვალყურეო კომიტეტის თავმჯდომარის, ან სხვა ბანკირის თანამდებობასთან, უნდა ითვლებოდეს „სიმშვიდის მოპოვების“ გზაზე და, შესაბამისად, სენატორის მიუდგომლობით უნდა სარგებლობდეს? წმინდად თავის დანებება თავად ბებუთოვს შეეძლო, მხოლოდ მაშინ, თუ გადაჭრით თავს დაანებებდა თავისი საზოგადოებრივი საქმეებისა და საზოგადოებრივი აზრის შექმნაში ჩარევას, თუ არ მიიღებდა აქტიურ და ფიცხელ მონაწილეობას მის ყოველგვარ საქმეებსა და საქმიანობაში... მაგრამ ეს მონაწილეობა დროთა განმავლობაში სულ უფრო იზღუდება და ცალმხრივი ხდება, სულ უფრო მცირე და მცირე წარმატება აქვს, ასე რომ როცა მისი ფორმა სასაცილო ხდება და „არძაგანკის“ ფელეტონის განყოფილებაში ვლინდება, არაფრით არ შეიძლება გამოიტანო „სიმშვიდის მოპოვების“ დასკვნა. ასეთ დასკვნაზე მხოლოდ დაცინვით შეიძლება ილაპარაკო, ისიც იმ ხალხთან, ვინც სრულიად არ იცის, თუ რა ხდება ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სინამდვილეში თავადი ბებუთოვი ცდილობს ჩვენი ცხოვრების ყველა საკითხს გამოეხმაუროს. ჩვენ არ გვსურს აქ მოვიტანოთ ამ კითხვების გრძელი ამონარიდები, რაც თანამედროვე რეპერტუარის ჩამოთვლა იქნე-

ბოდა. თუ ჩვენ ვცდებით, მაშინ თავადმა ბებუთოვმა თვითონ გვითხრას, ადგილობრივი საკითხებიდან რომელი დატოვა უპასუხოდ „არძაგანკში“.

„შეცდომაა“ თავად ბებუთოვის განაცხადი, თითქოს მას არ მიუღია არავითარი მონაწილეობა წარსულ არჩევნებში. მართალია, ის თვითონ ასარჩევთა სიაში არ ყოფილა, მაგრამ განა მარტო ამაში ვლინდება მონაწილეობა? თავ. ბებუთოვს გასულ არჩევნებზე არჩევის უარყოფის, ან ცენზის დაკარგვის შემთხვევაში ა. ა. იოანნისიანთან ბრძოლა ხელს არ უშლიდა მიეღო აქტიური მონაწილეობა მასში. ყველა არჩევნების წინ მეორე და მესამე თანრიგის ხმოსნებს, ვისაც სამმართველოში ყოფნა უწევდა, ახსოვს, როგორი საქმიანი და მუდმივი მრჩევლები, მუდმივი ბინადარნი იყვნენ ორივენი ა. ს. მატინოვის კაბინეტში და როგორ დამაჯერებლად, უდრტვინველად მიყვებოდნენ მათ, როგორც დასაკლავი ცხვრები, სრულიად დაბნეული და შეუცნობელი ბ-ნები მატინოვი და იზმაილოვი... მადლობა ღმერთს, მარტო მე არ ვიყავი ამ დაუვიწყარი და ყველასთვის ნაცნობი სურათის მნახველი.

სწორედ ასეთივე „შეცდომაა“ ის განაცხადება, თითქოს თავ. ბებუთოვი არავითარ მონაწილეობას არ მიიღებს მომავალ არჩევნებში. მან სხვებზე ადრე უკვე მიიღო მონაწილეობა. ამის საუკეთესო დასტურია ბაქოსა და ტფილისის შორის მისი პარალელი. უნდა გულუბრყვილოზე გულუბრყვილო იყო, რომ ვერ დაინახო, რომ ეს პარალელი დაიწერა ერთადერთი არსებითი მიზნით, – გაემასხარავენინათ კამერჰერობისადმი ტფილისელების სისუსტე. ამის ვითომ ლიბერალური არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ბ-ის მატინოვის და იზმაილოვის მეგობრებს

სურდათ ტფილისელ ამომრჩევლებში გაევრცელებინათ, თითქოს თავ. ნ. ვ. არგუტინსკი-დოლგორუკოვი ხმოსნად აირჩევა იმიტომ, რომ კამერჰერიყო. ეს გამონაგონი იყო, არის და იქნება ძირითად პაროლად ძველი მმართველი პარტიისა. პრესაში ამის გამოქვეყნებით თავ. ბებუთოვი ფიქრობს, რომ ჩვენ უდიდესი რეტროგრადები ვართ. საერთოდ, „ახალ ელემენტს“, რომელიც ჩვენს სათათბიროში 1890 წლის მესამე თანრიგის არჩევით ძველი მმართველობის პარტიის მეშვეობით „რეტროგრადიული ელემენტისთვის“ მოხვდა და თავად ბებუთოვს, გამოდიოდა რა „არძაგანკში“ ამ პარტიის მოწინავე დამსეტყვავად, არ შეეძლო, ბუნებრივია, არ აეტეხა ეს ხმაური. ქვემოთ, როდესაც ავხსნით ამ საქმის არსს, მე ვაჩვენებ, რამდენი სიმართლე და გულწრფელობაა ამგვარ გავრცელებულ სიცრუეში. ახლა კი ამ საქმეს სულ სხვა მხრივ შევხები, რაც ამტკიცებს, რომ თავ. ბებუთოვი კი არ ხუმრობს, არამედ კარგად გააზრებულ და ძალიან სისტემატურ საარჩევნო ბრძოლას ეწევა და შეგნებულად თამაშობს ძველი მმართველობის პარტიის თამაშს. შეამჩნევდით, მე არავის ვუკრძალავ ამგვარ ბრძოლას იმიტომ, რომ თვითონ სრულიად გააზრებულად და სისტემატურად ვებრძვი ოპოზიციას. მთელი განსხვავება ჩემსა და მოწინააღმდეგეს შორის ის არის, რომ მე არ ვიმალები, არ ვთვლი, რომ მხოლოდ წმინდა ლიტერატურული კრიტიკით ვარ დაკავებული, არ ვმალავ არც მიზნებს, არც იარაღს, არც დარტყმებს. მე მოწინააღმდეგეთა ხერხების გამეორება არ მჭირდება, იმიტომ, რომ ჩემი საქმე მართალია, არ მეშინია დღის სინათლის, არც გამყლავნების, საერთო საქმის სიკეთე მამოძრავებს. ამიტომ მე არაფრად მჭირდება შეთქმულთა იარაღისთვის მიბაძვა და, კუთხიდან ფარუ-

ლი დამიზნება, მაცდური ღიმილი და ზურგში ხანჯლის ჩარტყმა... ჩვენი საქმე საზოგადოებრივი განვითარებისა სამართლიანია, ჩვენ ვიბრძვით იმ ღია ხერხებით, რომლისა-ც არ ეშინიათ სიმართლისთვის მებრძოლთ, რომლითაც მიიღწევა მუდმივი და სასახლო გამარჯვებები იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც დიდი ძალა უპირისპირდება მას. ამიტომ ჩვენ არ ვიცნობთ მიზანთან მედიის მსგავს მიპარვის მანერას, მისსავე მსგავს თვისებას – მატყუარა უზნეო ადამიანს, და არა მონადირეს, მკვდრად რომ იკატუნებს თავს გამომყვანებისთანავე, ან როგორც კი მის დამწყვდეvas შეეცდებიან.

სრულიად შეუსაბამოა თავ. ბებუთოვის ფიქრი, თითქოს ჩემი სტატია „მალბრუგი სალაშქროდ მიეშურება“ ოდნავ მაინც მას ეხებოდეს. მკითხველებმა იცინან, რომ ამ სტატიას უფრო დიდი მიზანი ჰქონდა, ვიდრე ძველმმართველი პარტიის ამათუ იმ ხელმძღვანელის დამუნათება. მე თავ. ბებუთოვი გავიხსენე იმიტომ კი არა, რომ ეჭვი შემეპარა, რომ პარალელების ავტორი იყო, არამედ 1875 წლის ჩვენი საერთო პროგრამის გამო, იმ პროგრამისა, რომელმაც ადგილობრივ საზოგადოებებზე განვითარებას ბევრი საინტერესო და საჭირო ნარმატი-ბული ნაბიჯი გადაადგმევინა, მაგრამ ახლა ნაფლეთება-დაა დაგლეჯილი ძირითადად „არძაგანკის“ მცდელობით, რომელშიც მონაწილეობს თავ. ბებუთოვი. ეს პროგრამა თუ გავიხსენე, თუ მივუთითე, რომ „არძაგანკმა“ ის და-არღვია, იმ პანანა მიზნით კი არ გამიკეთებია, რომ თავ. ბებუთოვი დამემცირებინა – რაში მჭირდებოდა მისი დამ-ცირება? – გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ ჩვენი მოწინააღმდეგეების ამ თავისებურებას. რაც არ უნდა კონ-კრეტული ცილისწამება წაგვეყენებინა მათთვის, რაც არ

უნდა საერთო სარგებლობის ამოცანები მიგვეთითებინა, ჩვენი კამათი რაც უნდა გაცხარებული ყოფილიყო, ერთადერთი იმათი პასუხი იყო, არა პირდაპირი, არამედ ირიბად ნათქვამი, წვრილმანი, მიკროსკოპიულად უღიმღამო და გამოგონილი. ეს რას ნიშნავს? ნუთუ, ჩვენი მოწინააღმდეგენი, მართლაც, ისე წვრილმანები არიან, რომ არ ხედავენ და არ ესმით ჩვენი შთაგონების მოტივები, და მზად არიან ირწმუნონ სხვისი უმდაბლესი მიზნები? შეუძლებელია, შეუძლებელია, რომ ისინი ასეთი მენწვრილმანენი გამხდარიყვნენ. ისინი მხოლოდ გულუბრყვილონი არიან: მათ ჰგონიათ, რომ ასეთ წვრილმან მიზნებს თუ მოგვანერენ, რათა ახსნან ჩვენი თავდასხმები მათ სისტემაზე, ისინი იპოვიან გზას თავისი პუბლიკის გამოსაფხიზლებლად. მე დარწმუნებული ვარ, რომ ისინი ცდებიან ამ პუბლიკის შეფასებაში. დიახ, ის კიდეც ასეთი მდაბალი რომ აღმოჩენილიყო, როგორც წარმოუდგენიათ, ხომ არ შეიძლება, დროთა განმავლობაში არ ახელოდათ თვალეზი... მაშინ რა...

არადა, რა ჩემი საქმეა, სად მიჰყავს თავისი საზოგადოება ჩვენს მოწინააღმდეგეებს? არსებითად, რაც უფრო ბუნებრივია, რაც უფრო დაბალია მათი ბრძოლის ხერხები, ჩვენთვის მით უფრო უკეთესია: სინამდვილეში მათ არა აქვთ არც პრინციპული, არც იდეური, არც არსებითი განმარტებანი და პლატფორმა, ისინი იძულებულნი იქნებიან იმ პარტიის ხელმძღვანელნი იყვნენ, რომელიც შედგება მხოლოდ იმ ადამიანებისგან, ვისი შეგნებაც ვინრო გონებრივი მადით და ეჭვებით არის დაავადებული. არადა, თუ ასეთი დაჯგუფება ჩამოყალიბდება, მასთან ადვილი იქნება ანგარიშის გასწორება. მე იმიტომ წამოვიწყე ამაზე საუბარი, რომ საერთოდ

დამესრულებინა ჩვენი მონინააღმდეგეების დახასიათება, თავ. ბებუთოვისა განსაკუთრებით. საქმის გარეგნული მხარის მხილების შემდეგ, გადავიდეთ არსებითზე.

ჩვენი კამათის არსებითი მხარე, როგორც ცნობილია, ასეთია: მე ვამტკიცებ, რომ ტფილისის საქალაქო თვითმმართველობის ხელმძღვანელებად დანიშნულნი ბ-ნები მატინოვი და იზმაილოვი, რომელთაც შეინარჩუნეს ეს თანამდებობები, ძირითადად 1875 წლის პლატფორმის სოლიდარობის გამო, ჩვენში ერთადერთი სიცოცხლის უნარით გამოირჩევიან, მათი მიზანი იყო საზოგადოებრივი საქმეების მთელი სერიის განხორციელება, რაც პრესაში გამოქვეყნდა, განსაკუთრებით კი 1875 წლის „ტიფლისკი ვესტნიკში“, ანუ იმ დღეებში, როცა ბ-ნი იზმაილოვი ტფილისშიც არ იმყოფებოდა, ხოლო ბ-ნი მატინოვი მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწე იყო; თანდათან მათ თავი საერთოდ დაანებეს, ხოლო ბოლოს სულ მიატოვეს პროგრამის განხორციელება, არადა, ჩვენ ხომ ამისთვის წამოვაცენეთ. დავიმონმებ ბ-ნ ევანგულოვს და ბ-ნ იოანნისიანს. ისინიც არ უარყოფენ ჩემს სიტყვებს. ნუთუ მართალი არ არის, რომ მე და ბ-ნმა იზმაილოვმა დავინუნეთ ყველასთვის ნაცნობი გზით ა. ს. ყორღანოვის კანდიდატურა, რომელიც სათათბირომ აირჩია, ყველაზე მეტი შანსი თავმჯდომარეობისა ჰქონდა პატივცემულ გ. გ. ევანგულოვს. რატომ არ აირჩიეს იგი? ა. ს. მატინოვზე უფრო ჭკვიანი და შეუდარებლად უდრეკი გ. გ. ევანგულოვის ნაცვლად ა. ს. მატინოვზე შევჩერდით. მე ვამტკიცებ, ვეყრდნობი რა ბევრ გამორჩეულ სიტყვას გ. გ. ევანგულოვის დასწრებით წარმოთქმულთ, იგი შეგნებულად და გულწრფელად ემსახურებოდა სათათბიროს: 1. ადგილობრივი პლუტოკრატიის

დამოუკიდებლობა და 2. ყოველგვარი გამონაკლისის დაუშვებლობა. ამასთან ა. ს. მატინოვმა, მასთან ერთად პ. ა. იზმაილოვმაც თანდათან და შეუმჩნეველად გათელილი გზით სიარული დაიწყეს. მოგიყვებით, თუ რა საბედისწერო ძალა იზიდავდა მათ, თითქოს თავისი ნების საწინააღმდეგოდ, რათა დაეთმოთ ის გზა, რომელმაც შეუქმნა მათ სახელიც, მდგომარეობაც, დამსახურებული წარმატებაც. აქვე საჭიროა ვიცოდეთ, რომ ბოლოსდაბოლოს ჩვენ ორივე ვნახეთ: არათუ მხოლოდ იმ ნების უსიტყვო შემსრულებლები რომ იყვნენ, არამედ იმ პლუტოკრატიის ჭირვეულობების გამზიარებლებიც აღმოჩნდნენ, რომელთა ძალადობისგანაც უნდა დაეცვათ მოქალაქეთა მასების ინტერესები. პლუტოკრატიის მოთხოვნათა დამორჩილების გვირგვინი აღმოჩნდა – თუ სერიოზულ საქმეებს არ შევხებით – თეატრის დასრულების მოთხოვნაც, ბ-ნ იზმაილოვის მოწოდებით 25 ათასი ნელინადში უნდა გამოყოფილიყო ობივაცტელების სახსრებიდან, არა იმიტომ, რომ ეს ჩვენი კრედიტორების კაპრიზი იყო, არამედ იმიტომ, რომ მაღალ სფეროებში არ უნდა დაგვეშვა მესამე სესხი, ასეთი დათმობით როგორ გავანებივრებდით ხაზინას?

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ხაზინა არ აღმოჩნდა ისეთი მენჯრილმანე, როგორსაც არაერთხელ ხატავდა ბ-ნი იზმაილოვი ყოველი ახალი გამოსვლის დროს. მესამე სესხი გააუქმა ხაზინამ თეატრის დასრულებისათვის. მაგრამ ამაში არ არის საქმე, არამედ ბოლოსდაბოლოს ჩვენი მმართველობა დაეთანხმა ადგილობრივ

პლუტოკრატია¹, რის შედეგადაც 1890 წლის საარჩევნო ბრძოლის ძირითადი მოტივი ამ ბრძოლის მთავარი ინიციატორების განზრახვაც იყო, რაც უფრო გულმხურვალე იქნება ამ უკანასკნელთა ბრძოლის მეთოდები, ჩვენთვის მით უკეთესია: მათ ხომ არ გააჩნიათ არც პრინციპები, არც იდეური, არც არსებითი გაცხადებული პლატფორმა, ისინი იძულებულნი იქნებიან პარტიის ხელმძღვანელებად ჩაითვალონ მხოლოდ იმ ადამიანებისგან, რომელთა მსოფლშეგნება ამოინურება ვინრო-უაზრო მადით და ეჭვებით. ხოლო, თუ ასეთი დაჯგუფება შეიქმნება, მასთან გასწორება არ იქნება ძნელი. მე საქმის ამ მხარეს იმიტომ შევეხე, რომ დამესრულებინა ჩვენი მონინაალმდეგების საქმიანობის დახასიათება საერთოდ, ხოლო თავ. ბებუთოვისა განსაკუთრებით. ახლა კი საკითხის გარეგნული მხარის დასრულების შემდეგ, გადავიდეთ მის არსებით მხარეზე.

ჩვენი კამათი ძირითადად შემდეგშია: მე ვამტკიცებ, რომ ბ-ნი მატინოვი და ბ-ნი იზმაილოვი ტფილისის საქალაქო თვითმმართველობის სათავეში რომ არიან და ინარჩუნებენ პოსტებს, ძირითადად 1875 წლის პლატფორმის – ჩვენში ერთადერთი ცხოველმყოფელი სოლიდარობის გამოა, რომელსაც მიზნად ჰქონდა მთელი რიგი საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტა, რაც პრესაში, განსაკუთრებით „ტიფლისკი ვესტნიკში“ 1875 წელს იბეჭდებოდა, ანუ როცა ბ-ნი იზმაილოვი ტფილისში არ

¹ დამახინჯებული გააზრების თავიდან ასაცილებლად, საჭიროდ მიმაჩნია განმარტება, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებაში პლუტოკრატია ენოდება სხვა არაფერს, თუ არა მდიდრების მმართველობას, ან საქმეების ისეთ წარმოებას, რომელთა სათავეშიც მდიდრები დგანან. იხ. ჩემი სტატია 1881 წ. „იურიდიჩესკოე ობოზრენიეში“ სათაურით „პლუტოკრატის შედეგები“.

იმყოფებოდა, ხოლო ბ-ნი მატინოვი მხოლოდ მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწე იყო. ისინი თანდათან ჩამოშორდნენ, ბოლოს სრულიად შეწყვიტეს პროგრამასთან ურთიერთობა, რის გამოც ჩვენ ისინი წამოვაყენეთ, და დაიკავეს ეს პოსტები. ვიმედოვნებ, ბ-ნები ევანგულოვი და იოანნისიანი არ უარყოფენ ჩემს სიტყვებს. განა სიმართლე არ არის, რომ მას შემდეგ, რაც მე და ბ-მა იზმაილოვმა დავამარცხეთ ა. ს. ყორღანოვის კანდიდატურა, რომელიც სათათბიროს მიერ იყო არჩეული, ყველაზე მეტი შანსი ჰქონდა პატივცემულ გ. გ. ევანგულოვს. რატომ არ იქნა იგი არჩეული? რატომ მას უფრო ჭკვიანს და უნარიანს, ვიდრე ა. ს. მატინოვია, არ ხვდა არჩევის პატივი?... ჩვენ გვინდოდა ბ-ნები მატინოვი და იზმაილოვი გაგვეძლიერებინა იმ ხმოსნებით, რომლებიც არ აღმოჩნდებოდნენ პლუტოკრატიის გავლენის ქვეშ. მაგრამ ბ-ნებმა მატინოვმა და იზმაილოვმა თურმე დიდი ხანია დაკარგეს ყნოსვა, ხედვის უნარი, საით წაიყვანონ საქმე და რა გზას დაადგნენ. პირველივე წინააღმდეგობისთანავე ბ-ნ იოანნისიანს ჩაეხუტნენ. ცნობილია მის მიერ შემუშავებული და მმართველობის მიერ მიღებული გეგმა. საბრძოლო ძახილად მეორე ხარისხის ამომრჩეველთა მასების ყუთებთან თავმოსაყრელად გაუშვეს ცილისნამება, რომ პირველი ხარისხის ამომრჩეველში ბევრი გადამთიელი (უცხო) ელემენტია არჩეული – ვინ? ქართველები. ეს იყო საბაბი, ხოლო მიზანი იყო დაესაჯათ ყარაბახელები (შუშა, ყოფილი ყარაბახის სახანოს დედაქალაქი) იმიტომ, რომ ზოგიერთი მათთაგანი ნახევარი წელი ცდილობდა ბ-ნ იოანნისიანის ურთიერთკრედიტის საზოგადოებაში გადაენაცვლებინა იმიტომ, რომ დაეცვა მმართველობა „დვორცოვი“ ნომრების“ ოპოზი-

ციისაგან. ბ-ნმა იოანნესიანმა მოასწრო შეეყარა მეორე ხარისხის მდაბიო ხალხი, როგორც ქართველები, ისე ყარაბახელები.

ეს ფაქტია, თუ გამონაგონი? თავ. ბებუთოვმა, ან „არძაგანკმა“ გააპროტესტონ ეს და მე იმ წამსვე წარმოვადგენ მეორე თანრიგის არჩევნების ციფრებს. დანარჩენი ცნობილია. მმართველობა, თავისი მორიგი ამოცანების ნაცვლად, განთავისუფლდება პლუტოკრატიისაგან – მეორე ხარისხის არჩევნების ცალმხრივობის გამო. მან თავი დაანება უწინდელ დემოკრატიულ გზას, ძველი პროგრამით, და დაადგა გამონაკლისის ახალ გზას, ეგონა, რომ ეს ყველაზე ადვილია, რომ ყველაზე ბუნებრივად მისცემს ხმას სათათბიროში უმრავლესობას. მაგრამ რა მოიპოვა? – მხოლოდ მექანიკური, უიდეო, უპროგრამო, უსიცოცხლო უმრავლესობა იმიტომ, რომ არავითარი სხვა უმრავლესობა არ შეუძლია დაბადოს დედამინის ზურგზე ჩვენში რაც არ უნდა იყოს იმ გამონაკლისმა, თუნდაც არქიიდეურმა, არქი-უანგარომ... ყოველგვარ გამონაკლისს, საიდანაც უნდა მოდიოდეს, სამწუხაროდ, მივყავართ კავკასიელი მოსახლეობის თემობრივი შემადგენლობის შემცირებისა და უმოქმედობისკენ, ბუნების ჩვეულებრივი კანონის ძალით ფიზიკაში ცნობილი რომ არის ძალების პარალელოგრამის კანონის სახელით. უმეცარზე მეტი, ან სრულიად უვიცი უნდა იყო, რომ იოცნებო, თითქოს გამოქეცილობა აჯობებს ამგვარ კანონებს.

როდესაც ძველი მმართველობა დაადგა წმინდა მექანიკური გაერთიანების ქარაფშუტულ გზას, როდესაც ბ-ნმა იზმაილოვმა გაშალა წინასწარმეტყველის მწვანე დროშა, იმ მიზეზით, რომ სამშობლო საფრთხეშია იმიტომ, რომ სათათბირომ, რომელიც 72 ხმოსნისგან შედგება, მათ

შორის 40 სომეხია, 20 ქართველი, თავის ახალ პლატფორმად წამოაყენა ქართველების წინააღმდეგ გაერთიანება, ამიტომ უმრავლესობის შესაქმნელად მას მოუხდა პლუტოკრატიასთან შერწყმა, რომელიც მთელი ახლადშექმნილი უმრავლესობის კონტინგენტის ორი მესამედი იყო. იმდროინდელი თვითმმართველობა ღიად და საბოლოოდ დაუკავშირდა ადგილობრივ პლუტოკრატიას დაურღვეველი კვანძებით. ერთი და იგივე დარტყმით მან შეიქმნა მექანიკური უმეტესობაც და შეურიგებელი მონინააღმდეგენი ყველა იმ ხმოსნების სახით, რომელთაც უცერემონიოდ განაცხადეს, რომ მათთან, როგორც ქართველებთან, საუბარიც არ სურთ. „ჩვენ უთქვენოდაც ბევრნი ვართ!“

აი, რას ემყარებოდა თავ. ნ. ვ. არგუტინსკი-დოლოგორუკის კანდიდატურის წარმატება. ან არ უნდა გესმოდეს საქმე, ან სხვისი შეცდომაში შეყვანა გინდოდეს და ამბობდე, რომ კამერჰერობაა მთავარი. ნ.ვ. არგუტინსკი-დოლოგორუკი აირჩიეს იმიტომ კი არა, რომ ტფილისელები „გულგრილნი არ არიან კამერჰერებისადმი“, არამედ ყველასათვის ცნობილია, რომ იგი ადგილობრივი პლუტოკრატის დამოუკიდებლობას ცნობს და ასევე კარგად გასაგებია ყველასთვის, რომ მას არ აქვს რაიმე გამონაკლისის ჩადენის სურვილი. მასხარაობა ისეთ სერიოზულ მოტივებზე, როგორიცაა მუნდირები და კამერჰერობა, ნიშნავს შენი წარმატება დააფუძნო ადამიანთა ყველაზე არამყარ, ყველაზე საცოდავ სისულელეზე.

მოუხერხებლობით, არაკეთილსინდისიერებით, მიკიბ-მოკიბვით, სოფიზმით შორს ვერ წახვალ. ამ გზით მოპოვებული წარმატებები არა მხოლოდ წუთიერია, არამედ მწარე განხიბლვასაც იწვევს. მხოლოდ ბრმები შეიძლება შეიყვანო შეცდომაში: მხოლოდ ისინი ვერ ხედავენ

ფრაზების უკან საქმის არსს, ხოლო მარტო ბრმებზე დაყრდნობით, არავის მიუღწევია ხანგრძლივი წარმატებისათვის. თვალხილულები კარგად ხედავენ, რაშია საქმე. მათ იციან, რა მოჰყვება ტკბილ ფრაზებს და მოხერხებულობას; ისინი ითხოვენ არა ფრაზებს, არა შეთითხნილ დაპირებებს, არამედ საქმიან გარანტიებს. ჩვენ ყველა დიდი ხანია გამოვედით ბავშვობის ასაკიდან, რომ დავტკბეთ თავ. ბებუთოვის ახლანდელი მეგობრების სასიამოვნო სიმღერებით. სიმღერა ჩვენც შეგვიძლია, მაგრამ ვგალობთ შეცდომის გარეშე, გულწრფელად, შემდეგი მოტივით: „მე უკვე არ მჯერა დაპირებების, არც სიყვარულის, ვერ მივინდობი ერთხელ მოტყუებულ ზმანებებს!“

ამ თემაზე ჩვენ კიდევ არაერთხელ დავწერთ. ახლა კი შევწყვეტ ამ საინტერესო და არსებით სიუჟეტს იმ დოკუმენტის დამონშებით, რომელიც სრულად გამოხატავს ჩემი სტატიის „მალბრუგი მიეშურება...“ არსს. მე ზემოთ ჩემი სიტყვა შევწყვიტე შემდეგი შეკითხვით, თუ მე არ ვარ მართალი, რეალურად რაშია ჩვენი მონინააღმდეგეების სიმართლე ე. წ. გადამთიელი ელემენტების შესახებ? სად არის სამართლიანი, პროპორციული გავლენის დოზა, რაც მათ ამ ელემენტებს გამოუყვეს? რას ნიშნავს ფიცი და დარწმუნებები, როცა საქმით ეს ელემენტები ყველგან უარყოფილნი არიან? დოკუმენტური დადასტურება გნებავთ? როცა თავ. ბებუთოვი იმ დროს „ნოვოე ობოზრენიეს“ მკითხველების წინაშე მღეროდა თავის ტკბილხმოვან სიმღერას, მოტივზე ოპერიდან „მგელი ცხვრებში“, მისი „არძაგანკი“ თავის მკითხველებს დიამეტრალურად სხვაგვარ, არქი-განსხვავებულ აზრებს უნერავდა. გადაშალეთ 1893 წლის 28 თებერ-

ვლის №25 „არძაგანკი“, იმავე დღეს გამოსული, როცა გამოქვეყნდა ჩემი სტატიაც – „მაღბრუგი სალაშქროდ მიეშურება“. აქ მოწინავეში დაიბეჭდა სომხურ საქველმოქმედო საზოგადოებაზე, რომელშიც ცოტა ხნის წინ ერთხმად დაგმეს „არძაგანკის“ მიმართულება. აი, როგორ უცნაურად გამონაკლისია ამ გაზეთის ენა. როგორც ცნობილია, ამ გაზეთში გამოქვეყნებული მასალა ჯერ არ გაუპროტესტებია თავ. ბებუთოვს...

უნდა შევნიშნო, რომ აქ საუბარია არა საქალაქო საქმეებზე, რომელთა შესახებ, მართალია, კანონის საწინააღმდეგოდ და უსამართლოდ, მაგრამ მაინც შეიძლება დაუშვა მსჯელობა უხუცესების პირველობაზე, მაგრამ აქ საუბარია ყველა იმ საზოგადოებაზე, რომელთა საქმიანობა მოიცავს ყველა ქალაქსა და დასახლებულ ადგილს, სადაც ჩვენში სომხები ცხოვრობენ. სინამდვილეში „სომხური საქველმოქმედო საზოგადოება კავკასიაში“ გავრცელებულია სხვადასხვა ქალაქში მრავალრიცხოვანი განყოფილებებით. სომხური საგამომცემლო საზოგადოება ბეჭდავს წიგნებს, ალბათ არა მარტო ტფილისელებისთვის. აი, ასეთ დასენებულებებში „არძაგანკის“ თეორიით სიტყვა მხოლოდ ეკუთვნის ტფილისის ძველისძველ მოსახლეებს – თამამშევის, ამატუნის და სხვათა გამოკლებით, რადგან ამ გვარებიდან გამოდიან სწავლული მეცნიერები. ხოლო ყველა ერივანი, კარაბახი, აკულისი, ქუთაისი და ა.შ. ყალიბდებიან უსახო პიროვნებებად, რომელთა ფასი 20 კაპიკზე მეტი არ არის.

აი, „არძაგანკის“ დოქტრინა, არა ძველი, უკვე უკუგდებული, არამედ ამჟამინდელი ცხადად მხარდაჭერილი ამ გაზეთის მიერ. დოქტრინა უბრალო ხმა არ არის, არამედ პრაქტიკული საქმიანობის ნაღდი პროგრა-

მაა, რაც დადასტურებულია 1890 წლის მეორე ხარისხის არჩევნების შედეგებით, აგრეთვე ყველა იმ არჩევნების შედეგებით, უმეტესობა „არძაგანკს“ და მასთან შერწყმულ ძველი მმართველობის პარტიას რომ ეკუთვნის. ამის უახლეს დასტურად გამოდგება თუნდაც სათათბიროს უბნის ექიმების არჩევნები, რაც, საკვირველია, არა მხოლოდ თავის წარუმატებლობით, არამედ უმწეო განაკლისობითაც. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ეს დოქტრინა და ეს პრაქტიკა არ მოუტანს სიკეთეს თვითეული ჩვენგანის ინტერესებს, ადგილობრივი საზოგადოებისა და ამ მხარის მშვიდობიანი განვითარების ინტერესებს, მაშინ გულწრფელად უნდა მიატოვოთ ისინი, არა მხოლოდ სიტყვებით და საქმით დაამტკიცოთ თქვენი სოლიდარობა 1975 წლის პროგრამასთან, რომელმაც აჩვენა თავისი სიცოცხლისუნარიანობა და სიკეთე კონკრეტული და საინტერესო წარმატებების ფონზე, რასაც ხედავს ყველა. ვნახოთ, ამიერიდან რა ნაყოფს და წარმატებებს მოგვითქვანს გამონაკლისობა, რაც 1890 წლიდან დამკვიდრდა საქალაქო თვითმმართველობაში ბ-ნების მატინოვის, იზმაილოვის არქინყალობით ბ-ნ იოანისიანის გამო, ამის დასტურად ზოგიერთისთვის, ახლომხედველებისათვისაც კი ბ-ნ იზმაილოვის 1891-1893 წლების შემოქმედება გამოდგება, რაც ნულს უტოლდება. ვიცოცხლოთ და უფრო არსებითი მტკიცებულებები გამოჩინდება.

V. „ღვმრცოვი“ ნომრების“ სათათბირო¹

კანდიდატების სია, რომელიც გამოაქვეყნა ტფილისის საქალაქო სამმართველომ, სერიოზული ყურადღებით შესასწავლია იმათ მიერ, ვისთვისაც ძვირფასია ქალაქის თვითმმართველობის და ადგილობრივი საზოგადოებრივი განვითარების ინტერესები. შევეცდებით, გავარკვიოთ, უპირველეს ყოვლისა, ხმოსანთა კანდიდატების თანმიმდევრობა იმ სიისა, რაც მმართველობამ წარმოადგინა, რომელშიც ანბანის მიხედვით კი არ არიან ჩანერილები, არამედ წარმოდგენილი უმრავლესობის მიხედვით. მმართველობამ ზედმეტად ჩათვალა კანდიდატების სიაში აღენიშნა ამომრჩეველთა მიერ წარდგენილი ყველა სიის საერთო რაოდენობა, აგრეთვე იმ ამომრჩეველთა ბილეთების და ხმების რიცხვი, რომელიც 30 აპრილის ჩათვლით იყო გაცხადებული. კერძო ცნობით, სულ არჩეული იყო 845 ბილეთი და ტუმბოში 753 ჩაიყარა. როგორც ცნობილია, ყველაზე მეტი, 712 ამომრჩევლის ხმა მიიღო ახლანდელმა ქალაქის თავმა თავ. ნ. ვ. არგუტინსკი-დოლოგორუკოვმა. თუ კანდიდატებს ჩანერის სიმრავლით დავაჯგუფებთ, შემდეგ სურათს მივიღებთ (80 კანდიდატის სია გამოვიყენე):

თუ ასარჩევი ბურთულების რაოდენობა, რომელსაც კანდიდატები 16 მაისს, არჩევნების დღეს, მიიღებენ, დაახლოებით მაინც შეესაბამება ამჟამად აღიარებული ჩანანერების რიცხვს, – რაშიც ეჭვის არშეტანა შეუძლებელია, მაშინ ზემოთმოყვანილი სია, სამი სახელის გამოკლებით (ნ. დ. ზუბალოვი, ნ. ი. ნიკოლაძე და ი. ს. ალი-

¹ „ნოვოე ობოზრენიე“, 1893 წ., 6 მაისი, №3218.

ხანოვი) იქნებოდა მომავალი სათათბიროს ხმოსანთა სია. ეს, რასაკვირველია, თუ 1000-1200 ამომრჩეველი მივა ურნებთან. თუმც ჩვენს მიერ მოყვანილი ცხრილიც კი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. თუ ის მომავალი სათათბიროს ზუსტი ასლი არ იქნება, ის მაინც განსახიერებს იმ სათათბიროს, რისი შექმნაც ენდომებოდა ჩვენი ქალაქისთვის ძველი მმართველობის პარტიას, იმ სათათბიროს, რაც ამ პარტიამ გულდასმით შეაგროვა და მონდომებით წაიყვანა არჩევნებზე. ეს არ არის შემთხვევითი შერჩევა, უცვებ რომ გამოხტება ბრბოს შეუგნებელი არჩევნებისას, არამედ ხანგრძლივი გაანგარიშების და დიდი გამოცდილების მამების ძალისხმევით, რომელთაც იციან, რას და რატომ აკეთებენ.

უნდა სიმართლე ითქვას, მათ შეძლეს შეედგინათ ის სია, ძირითადად რომ შეესაბამებოდა მათ მისწრაფებას – შექმნეს თავისი სათათბირო, ყოველგვარი ოპოზიციური ელემენტის დანამატის გარეშე. ამ საქმის შესახებ მე ქვემოთ მოგახსენებთ. ახლა უნდა გამოიკვეთოს ჩანაწერების ციფრებიდან გამორჩეული გაკვეთილები.

გაკვეთილებიდან უმთავრესია იმ ჭეშმარიტების დამტკიცება, რომ დიდ, უმოქმედო ბრბოს ძალიან ადვილად შეუძლია მისცეს შეფერილობა და მიმართულება ყოველგვარმა ორგანიზებულმა ჯგუფმა, რაც გინდ პატარა და უმნიშვნელო იყოს ის. საყოველთაო ინერციის ფონზე ასეთი ჯგუფი ქმნის მიმდინარეობას, რომელსაც უნებლიედ ერწყმის მეტ-ნაკლებად შეუგნებლად ბრბოს მნიშვნელოვანი უმრავლესობა, რაც შეინიშნება ყველა არჩევნების დროს. პატარა ჯგუფი ადამიანებისა, ვისაც რაღაც გარკვეული მიზანი ამოძრავებს, ვინც შეემზადა და დაისახა საგანი, მიდის თავისი გზით, მას უნებლიედ

უერთდება ნაბიჯ-ნაბიჯ ადამიანი, რომელიც თანდათან ზრდის ამ რიცხვს და მნიშვნელობას იმ პიროვნებებისას, ვისაც არ გააჩნია ძალა, მიზანი, მიმართულება, მისწრაფება. ეს ჩვეულებრივი ამბავია. ამას ეყრდნობა მსოფლიო, რადგან ეს მიზიდულობის კანონია.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენს წინაა პატარა ჯგუფი „დგორცოვი“ ნომრებისა“, რომელიც შეზღუდულ, მაგრამ სრულიად გარკვეულ მიზანს ისახავს – ფერფლიდან აღადგინოს ძველი მმართველობის სრული უფლებები და უკონტროლობა. როგორც ჩანანერების რიცხვიდან ჩანს, მხოლოდ ის ჯგუფი უჭერს მხარს მათ, 400-ზე მეტი ხმა რომ არ გააჩნიათ, მაგრამ იციან, როგორ გამოიყენონ ეს ხმები, რაც იმაზე ნაკლები როდია, რომ შეუძლიათ ბრძოლაში ჩაბმა. ეს ჯგუფი არ ლოლიაობს, არ იბრძვის პრიზისათვის, არ ეშინია ცალმხრივობის. მან იცის, ტყვეს თუ ჭრიან, ნაფოტები ცვივა, თუ ბრძოლაა, უნდა ვაჟკაცურად დაიცვა შენი მხარე და სხვის მხარეს ეომო, ერთია იყო მებრძოლი, სხვაა იყო მოსამართლე და ა. შ. გაუგებარია, ასევე, კარგად იცის თუ არა მან, რომ ომსაც აქვს „სამართლიანი ბრძოლის კანონები“, რაც ყველა მეომარმა უნდა იცოდეს, მაგრამ ამჟამად ეს არ არის მთავარი. მთავარია, მიზანმიმართულად გამოიყენო ეს 400 ხმა, რაც თავისთავად იმ ამომრჩეველთა თითქმის მესამედია, ვინც 16 მაისს ურნებთან უნდა გამოცხადდეს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ძველმმართველი პარტია საფარიდან სრულიად გამარჯვებული გამოვა.

ძველმმართველი პარტიის წინააღმდეგ გამოსული ჯგუფები, რომლებსაც არ გააჩნიათ საქმეში მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული ინტერესები, როგორც ძველ პარტიას, ბრძოლაზე მეტად „ობიექტივიზმით“ და „სამარ-

თლიანობით“ იყვნენ დაკავებულნი. ამ ჯგუფებს თავიანთი კანდიდატების წამოყენების დროს არ მიაჩნდათ საჭიროდ მომავალ სათათბიროში ძველი პარტიის წარმომადგენლების და მომხრეების მონაწილეობის შეზღუდვა. ამასთან „დვორცოვი“ ნომრების“ ჯგუფი, რომელიც გაცილებით უფრო პრაქტიკული იყო, თავის მოვალეობად თვლიდა, ჩამოეცილებინა სათათბიროდან ყველა მოწინააღმდეგე. თუ შეუძლიათ საკუთარი ძალებით შევიდნენ სათათბიროში, ჩვენ სულელები ხომ არ ვართ, რომ დავეხმაროთ! ასეთი განსხვავებული მიდგომის გამო ძველი პარტიის კანდიდატები სიაში 500-600-ზე მეტი ხმით შევიდნენ მაშინ, როცა ნ. დ. ზუბალოვმა მიიღო 228, პ. ს. ვასილიევმა – 160, თავადმა ილია ჭავჭავაძემ – 157, ა. ა. კალანტაროვმა – 97, ა. ი. ტერ-გრიგორიანცმა – 129 ხმა და ა. შ. ეს ძველი, მაგრამ მუდამ ახალი ისტორიაა, თავის დროზე ბელინსკის გულისწყრომას რომ იწვევდა. გახსოვთ, როგორ ცხარედ წერდა ცნობილ წერილში ა. ი. გერცენს პატიოსანი ადამიანების წარუმატებლობის მუდმივ მიზეზებზე? „ჩვენ, – წერდა ბელინსკი, – დიპლომატებს (რბილად ვიხსენებთ კრიტიკოსის მწვავე ეპითეტს) ვეპყრობით, როგორც პატიოსან ადამიანებს, ისინი კი ისე გვექცევიან, თითქოს ჩვენ არამზადები ვიყოთ. ამიტომაც ყოველთვის გვჯაბნიან“.

მოკლედ, საკანდიდატო სია, განეული ანალიზით, წარმოადგენს ძველი მმართველობის ჯგუფის უძლურების რეალურ დასტურს. ნათელია, მათი კანდიდატების უმრავლესობა სხვა არაფერია, თუ არა მოწინააღმდეგეების გულუბრყვილობა, ან გამოუცდელიობა. იმედია, ნამდვილი არჩევნების დღეს ეს მოწინააღმდეგენი ისწავლიან ჭკუას „დვორცოვი“ ნომრების“ პარტიის ხელ-

მძღვანელებისგან ისე, რომ ყველასთვის ნათელი იქნება, იმათთვისაც კი, ვინც არ ეძებს მათ წარმატებას.

მეორე გაკვეთილი, რაც ჩანაწერების რიცხვის ანალიზიდან გამომდინარეობს, არის ძველი მმართველობის პარტიის ყველა მონინაალმდეგის გაერთიანება, ერთად ყოფნა, ეს პარტია მოღვაწეებს კი არ ეძებს, არამედ დამჯერ სათათბიროზე ოცნებობს, რაც ნათლად ჩანს უსახური სახეებით, ვისაც მან რეკომენდაცია გაუწია ხმოსნებად საზოგადოების წინაშე. თუ მომავალი სათათბირო ნამდვილად „დვორცოვი“ ნომრების“ გააზრებით შეიქმნება, მაშინ ტფილისმა ბ-ნ მატინოვის ეს ახალი ნაწარმოები შეიძლება მინის სახურავით გადახუროს, სპირტში შეინახოს შორეული შთამომავლობისთვის, როგორც სათათბიროს იშვიათი მაგალითი. იმის სანაცვლოდ, რომ სათათბიროში არ ყოფილიყვნენ ორატორები, მოლაყბები, მყვირალეებიც კი. არა, ესენი არიან საჭირო რაოდენობით, კიდევ გასწევენ ორატორობას, ისაუბრებენ, წამოიყვირებენ, მაგრამ უფრო იმიტომ, რომ წინ და უკან იარონ. სინამდვილეში კი – არავითარი ბრძოლა, არავითარი შეპასუხება. სათათბირო იქნება ისეთივე კეთილშობილი სალონი, როგორიც არის ხოლმე ყოველთვის საქალაქო საკრედიტო საზოგადოების საერთო კრებები. როგორც ცნობილია, იქაც მსახურობენ იურისტები, მოსამართლეები, “საქორწინო გენერლები”¹,

¹ გადამდგარი გენერლები, რომელთაც რუსეთის იმპერიაში მდიდარი ვაჭრები გარკვეულ თანხას უხდიდნენ და ინვესტდნენ, რომ მათ პერსონას მნიშვნელობა მიენიჭებინა და საპარადო განწყობილება შეექმნა ვაჭართა ქორწილებისათვის; გადატანითი მნიშვნელობით – პიროვნება, რომელსაც მხოლოდ “სახელი” აქვს და არავითარ როლს არ ასრულებს კონკრეტულ საქმეში. (დ. ჩ.)

ნამგლეჯები. არ არიან მხოლოდ დამოუკიდებელი ადამიანები, რომლებსაც შეეძლოთ ნილაბი ჩამოეხსნათ და შეცდომები ემხილათ... ამასთან ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, „დვორცოვი“ ნომრების“ ჯგუფი რეკომენდაციას უწევს ტფილისის მოსახლეობას, ხმოსნებად აირჩიონ ნახევარ „დუჟინზე“ მეტი კრედიტის განვრთნილი სპილო. ეს განვრთნილი სპილოები კანდიდატების სიაში მიიღებენ თითოეული ექვსასამდე ჩანანერს, მაშინ როცა ხალხი, ვინც პლუტოკრატის არ ეკარება, და რომელთა ცხოვრებამაც ჩაიარა სიმართლისა და ხალხის კეთილსინდისიერ სამსახურში, მიიღებენ ნ.დ. ზუბალოვის მსგავსად, მხოლოდ მესამედს ამ რიცხვისას. რას იტყოდა, ან რას იფიქრებდა პ. ა. იზმაილოვი, 20 წლის წინ ვინმეს რომ ეწინასწარმეტყველა ასეთი შემადგენლობა, ან ასეთი კომპრომისები?

მიღებული სიებიდან საერთო შთაბეჭდილება ეს არის ხმოსნებად იმ ადამიანების არჩევა, ვინც ასე თუ ისე – სიმდიდრე დააგროვა. ინტელიგენციას, ქვეყნის უმაღლესი ინტერესების მსახურ პირებს სიებში ადგილი თითქმის არ უჭირავთ. მოსწავლეებს, მწერლებს, მშობლებს, ჩვენი საზოგადოების „დვორცოვი“ ნომრების“ საუკეთესო წარმომადგენლებს, არათუ არ იცნობენ, არც შეუძლიათ იცნონ, არც შეუძლიათ არ ერიდებოდნენ. ეს გასაგებია: ბ-ნ მატინოვისა და მისი მეგობრების მიერ არჩეული კომიტეტი უმეტესად შედგებოდა გამდიდრებულთაგან. ხმოსნებად ის რეკომენდაციას გაუწევდა, ალბათ, მხოლოდ იმ კლასის წარმომადგენელს, რომელსაც ეკუთვნოდა თვითონ.

გადავდივართ რა სიების თავისებურებათა შესახებ მსჯელობაზე, ვნახავთ, რომ ეროვნულობანი მასში წარ-

მოდგენილია არაჩვეულებრივი სიყვარულით, სიებიდან სამ კანდიდატს თუ გამოვაკლებთ, რომლებმაც ვერ მიიღეს ხმების უმრავლესობა, ვნახავთ, რომ 77 წარმატებული კანდიდატიდან მხოლოდ 10 კაცია რუსი, 7 – ქართველი და 2 გერმანელი. როგორც ხედავთ, პროპორცია არაფრით არ შეესაბამება ტფილისის მოსახლეობის რეალურ შემადგენლობას, ამ შერჩევასას საყურადღებოა არა რიცხვი, არამედ წარმომადგენელთა ხასიათი, წარმომადგენლებად არჩეულნი არიან არა ის ავტორიტეტული ადამიანები, ვინც მოსახლეობის გასაჭირი იცის, არამედ ვინც არავითარ მონაწილეობას არ იღებს და მდუმარენი არიან... ქართველებში წარმოდგენილია 541 ჩანაწერიდან პატივცემული დ. ზ. სარაჯიევი, რომელიც ძალზე იშვიათად იმყოფება ტფილისში, ხოლო თავადი ი. გ. ჭავჭავაძე არ არის დაშვებული „დვორცოვი“ ნომრების“ სიაში და ფიგურირებს 157-ე სიის საკანდიდატოში. ასევეა რუსული გვარების ირგვლივ, ჩვენ ვხედავთ ისეთ გვარებს, რომლებსაც საზოგადოება არ იცნობს. აქ უმეტესობა “საქორწინო გენერლები” არიან, რომლებიც თავს არიდებენ სხდომებს, კამათს. ამ წრის საქმიან წარმომადგენლებს, რასაკვირველია, 100-ზე ნაკლები ჩანაწერი აღმოაჩნდათ.

ვერასდროს დავასრულებდი სათქმელს, თუ მოვინდომებდი აქ ჩამომეთვალა „დვორცოვი“ ნომრების“ მიზნის და სიის მეორეხარისხოვანი ნაკლი. იმას, რაზეც გავამახვილე მკითხველების ყურადღება, ის მიზანი ჰქონდა: რომ ჩამენერგა ზიზლის გრძნობა ძველი მმართველობის წესებისა და პლუტოკრატიის ზეიმისადმი. ერთი ნუთითაც არ მინდა დავუშვა, რომ ეს ამოცანა წარმატებით დაგვირგვინდება და ქალაქის მმართველობაში მთა-

ვარი როლი მიენიჭება არა ინტელიგენციას, არა საზოგადოებრივი განვითარების მეგობრებს და მსახურებს, არამედ მომხვეჭელობის გმირებს და პლუტოკრატიის მსახურებს.

მთავარი, რაც უნდა ვურჩიო ოპოზიციის მომხრეებს, მოსახლეობის რომელ ფენასაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი, ეს არის მათი ძალისხმევისა და ხმების შერწყმა არა მხოლოდ უარყოფითი მხრივ – ძველი მმართველობის პარტიის კანდიდატების წინააღმდეგ, არამედ ოპოზიციის კანდიდატების დადებითობისთვისაც. ბ-ნ მატინოვის მომხრეების გაშავება ძნელი არ არის, მაგრამ ეს ცოტაა, სათათბიროდანაც უნდა გამოხშირონ შემადგენლობა. ამისთვის აუცილებელია ყველა ოპოზიციონერის ერთსულოვნება... სხვაგვარად ყველა პარტიის და მიმართულების წარმომადგენელთა ბრძოლა შეიძლება ურთიერთგაშავებით დასრულდეს. მაშინ მოსახლეობის ერთადერთი ასარჩევი ადამიანები იქნებიან არა ჩვენი ქალაქის საზოგადოების საამაყო პირები, არამედ უსახური, უნიჭო პიროვნებები, რომელთაც არ შეეძლება ბ-ნი მატინოვის მეგობრების თავისებური ქმედებისათვის არავითარი პასუხის გაცემა. როგორც ცნობილია, ასეთი უსახურები ყოველთვის და ყველგან წარმოადგენენ საიმედო მასალას იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ცდილობენ მოიპოვონ უკონტროლობა და უფრო მაღალი მდგომარეობა, ვიდრე შეუძლია მისცეს მათ საკუთარმა ძალამ, ცოდნამ და ხასიათმა. აი, ასეთი უსახურების, ყოველთვის შირმის როლს რომ ასრულებენ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების სიცრუის და სიშიშვლის დასაფარად, მათ წინააღმდეგ უნდა მიიმართოს ჩვენი განვითარების ყველა მეგობარი გაერთიანება, ყველა, ვისთვის

საც ძვირფასია ჩვენი თვითმმართველობის ღირსება, რაც ემსახურება ჩვენი მხარის კეთილდღეობას. თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა შეიგნოს, რომ ბ-ნი მატინოვი ხელმძღვანელობს ერთადერთი სურვილით: ანგარიში გაასწოროს 1890 წლის დამარცხების გამო, დასაჯოს ამ წარუმატებლობის ავტორები და აღადგინოს უწინდელი წესრიგი. ყოველივე ამის განხორციელებას შეძლებს უსახურ პიროვნებებზე ან პლუტოკრატიის ელემენტებზე დაყრდნობით: ინტელიგენცია ყოველთვის შორს იქნება შურისძიებისა და რეგრესიისაგან, პირადი სურვილების აღსრულებისგან. აი, რატომ არ მწამს ზეიმის – სერიოზული და მყარი ზეიმის – ასეთი ვიწრო შეხედულებით კარტივით რომ დაანგრიო ეს ეშმაკური გაერთიანება, საკმარისია, მოსახლეობამ გამჭოლი მზერით ჩახედოს თვალეში სათათბიროს უმრავლესობის პირად შემადგენლობას, „დვორცოვი“ ნომრები“ რომ გვიმზადებენ. ბ-ნი მატინოვისა და მისი მეგობრების მიერ რეკომენდებულ ხმოსანთა უმეტეს ნაწილს ძალზე ბევრი პირადი და კერძო ინტერესი აქვს, რათა სერიოზულად შეძლონ საზოგადო საქმეებით დაკავდნენ.

VI. განახლებული სათათბიროს ამოცანები¹

უწინარესად, დროა ყურადღება მივაქციოთ შემდეგ უცნაურობას. უკვე ორწელინაღნახევარია, რაც ჩვენი სათათბიროს ოპოზიცია დაუღლეად ასაჯაროებს თავის აზრებს, შენიშვნებს, გეგმებს, მოსაზრებებს; სიტყვე-

¹ „ნოვოე ობოზრენიე“, 1893 წ., 13 მაისი, №3224

ბი, მოხსენებები, შენიშვნები და სტატიები ყველას ხელთ აქვს. ქალაქის საქმით ყველა დაინტერესებულმა იცის, თუ რა არ მოსწონთ, რას ითხოვენ, რისკენ მოუწოდებენ მ. ნ. თამამშევს, ნ. დ. ზუბალოვს, ნ. ზ. ცხვედაძეს და ა.შ., რას ნიშნავს ქალაქის მეურნეობის კეთილმოწყობის მათი იდეალი, მაგრამ ძველი მმართველობის პარტიის წევრები, პ. ა. იზმაილოვიდან დაწყებული, თითქოს პირში წყალი დაიგუბესო, მდუმარედ არიან, შენიშვნას შენიშვნაზე ყლაპავენ, მხილებას მხილებაზე არ პასუხობენ. ასეთი მდუმარება რომ აიხსნებოდეს მოწინააღმდეგის ძალისა და გავლენის აბუჩად აგდებით, მაშინ ეს ბ-ნი იზმაილოვის სულიერების ამალღებად გამოდგებოდა. საუბედუროდ, ასეთი განმარტება დაუშვებელია. გადაათვალიერეთ 1884-1890 წლების „ტფილისის საქალაქო მმართველობის უწყებები“, აგრეთვე 1876-1890 წლების ტფილისში გამომავალი პრესა და დარწმუნდებით, რომ ამ ხანგრძლივ პერიოდში ბ-ნი იზმაილოვი უპასუხოდ და უარყოფის გარეშე არ ტოვებდა სამმართველოს მიმართ გამოთქმულ არც ერთ შენიშვნას, როგორც არ უნდა ყოფილიყო იგი. ვინც იცნობს ბ-ნ იზმაილოვის „ორშაბათობებს“ ან „წერილებს რედაქტორთან“, ყველაზე ერთი ციციქნა მოურიდებლობის გამო ს. პ. ალადატოვის ან თავ. ბებუთოვის მიერ დაწერილს, კარგად ახსოვს, რომ ბ-ნი იზმაილოვი უკანასკნელ დრომდე ქვემეხიდან ესროდა ყუმბარებს საკრებულოს მაძაგებელთ. შესაბამისად, ამჟამინდელი მისი დუმილი უნდა სულ სხვაგვარად აიხსნას და არა მისი სულგრძელობით...

თავისთავად, სულგრძელობა სულაც არ არის ის, როგორც ძველი მმართველობის პარტია ებრძვის ოპოზიციას. უგულვებელყოფა თუ არის, სრული უგულვე-

ბელყოფა უნდა იყოს: თუ სახალხოდ არ პასუხობ, ნუ ეპარები ჩუმად, დახლართული გზით, იმედი იქონიე საკუთარი სიმართლის, ებრძოლე მონინაალმდეგის ორგანულ უძღურებას და არაკეთილგონიერებას. მაგრამ ძველი მმართველობის საზოგადოება ასე არ იქცევა. იმის ნაცვლად, რომ ებრძოლონ ოპოზიციას თავისი სუფთა იარაღით, იმის ნაცვლად, რომ სახალხოდ წინ აღუდგნენ მონინაალმდეგეთ შეხედულებებს და გეგმებს ქალაქის კეთილმონყოების ირგვლივ, იმის ნაცვლად რომ თავისუფლად დაგმონ ოპოზიციის შეცდომები, გაუაზრებლობა, არაკეთილსინდისიერება, ძველი მმართველობის პარტია ორწელნახევარი მხოლოდ ჭორებით, ინსინუაციებით იყო და არის დაკავებული. ისინი საიდუმლოდ უჩურჩულებდნენ ყველას, ვინც ჯერ ვერ მოასწრო მათი ჭკუაგონების ანონ-დანონვა, თითქოს ოპოზიციას შავი და მოძველებული მიზნები ამოძრავებს, ამიტომ მათ საერთოდ ყური არ უნდა დაუგდოთო. დაუფიქრდით, თუ საზოგადო მოღვაწე დაეცემა ბრძოლის ასეთ მიუღებელ უნარამდე, მაშინ მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება, მთელი ბრძოლა საზოგადოების სრულყოფისათვის ერთი საუკუნით დაიგვიანებს. ღია არენის ნაცვლად, იდეების პატიოსანი შეჭიდების ნაცვლად, რაც ჭეშმარიტებას წარმოშობს – მახეზღარობა, ეჭვიანობა და სხვის სულში ჩაძრომა გამოვა, მოკლედ, მოქალაქეობის ყველა ნათელი მიღწევის გაუქმება და მათი შეცვლა იეზუიტიზმით, ყველა მისი შედეგით, რაც ასე კარგად იწინასწარმეტყველა და აღწერა ჯერ კიდევ პასკალმა. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ასეთი მიდგომით შეიძლება წინ აღუდგე ყოველგვარ სიმართლეს, თვით გამრავლების ტაბულასაც კი.

– არ გჯერათ, ორჯერ ორი რომ ოთხია, რადგან ამ წესის წარმომთქმელი ხმლით არის შეიარაღებული და შუძლია ნაწლავები გადმოგაყრევინოთ...

ამგვარი მიდგომა, უწინარეს ყოვლისა, მათი ავტორების სუსტ მომზადებაზე მეტყველებს. ამასთან, ეს მომხრეების ჭაბუკობასაც ნიშნავს... სინამდვილეში ჭკვიანი სრულწლოვანები ამგვარი შეგონებების მოსმენისას მალევე მოახერხებდნენ მკვახე პასუხის გაცემას:

– აპირებენ თუ არა ჩვენს გამოშიგვნას, გამრავლების ტაბულა კარგად უნდა ვიცოდეთ; და რამდენადაც რეალურია მოსალოდნელი საშიშროება, მით უფრო ნაკლებად საშიშია ჩვენთვის ამ ტაბულის უვიცობის დამცველები.

ასეთია ვითარება. ძველი მმართველობის პარტიამ „დვორცოვი“ ნომრებში“, როგორც ცნობილია, მხოლოდ თავისი მომხრეები შეყარა. გულდასმით და მოხერხებულად ააცდინა მათ შეხვედრა ყველა მოწინააღმდეგესთან, რომლებიც ხელალებით იყვნენ ჩამოშორებული ეკლესიის ყველა დოგმას და წესებს პასკალის იეზუიტობამდე. შეიკრიბნენ, ითათბირეს, შეთანხმდნენ, შეიმუშავეს ხმოსნების კანდიდატთა საერთო სია. მაგრამ სად არის მათი დროშა, მათი პროგრამები, რით განსხვავდებიან სხვისგან? რატომ შეიცვალა ზოგიერთი კანდიდატი სხვა კანდიდატებით? რას გააკეთებენ, რისთვის იბრძობენ მათი არჩეულები, ქალაქს რას შემატებენ? მათ მიერ შედგენილი სია, როგორც ცნობილია, იყოფა ორ არათანაბარ ნაწილად. მასში შეტანილია 20-25 აღიარებული მოღვაწე, რომლებიც არ საჭიროებენ არჩევისათვის არავის რეკომენდაციას. ეს სახელები სასახლის სიაში გამოირჩევა, როგორც ნათელი ნეიტრალური დროშა,

რომელიც სამხედრო კონტრაბანდას იცავს. ეს უკანასკნელი შედეგება არა ჩამოყალიბებული პიროვნებებისაგან, არამედ მეტნაკლებად ჩვენში არსებული პლუტოკრატიისგან, ან ისეთებისგან, „ზედმეტად“ რომ თვლიან სერიოზულ ბრძოლას. ასე რომ, თუ კანდიდატთა სიიდან ამოვიღებთ ცნობილ სახელებს, რომლებიც შეყვანილნი არიან საგანგებოდ, მაშინ როგორ გამოისახება დანარჩენი უმრავლესობის, სამი მეოთხედი კანდიდატების ფერი, მიმართულება, პროგრამა? მათი ერთადერთი საერთო და დამახასიათებელი თვისებაა სრული გულგრილობა საზოგადო საქმისადმი, რაც გარკვეული თვალსაზრისის და ღრმა რწმენის არქონის შედეგია.

ამრიგად, ძველი მმართველობის პარტია, ერთის მხრივ, დადებით პროგრამას სრული გაუგებრობით შეხვდა, მეორეს მხრივ, – იმ დროშის ქვეშ მოწოდება გამოხატა ძირითადად იმ ადამიანებისა, რომელთაც ერთმანეთთან არავითარი საერთო არ აქვთ, გარდა სიკეთისადმი ერთნაირი გულგრილობისა. ერთადერთი პროგრამა, ერთადერთი ლოზუნგი ამ პარტიისა არის მოთხოვნა, რომ არავინ გაბედოს 1891 წლამდე არჩეული მმართველობის საქმიანობის კრიტიკა და მხილება, რომ არავინ ეცადოს იმ წესების დარღვევა, რაც იმ დროს სუფევდა და არავინ შეძლოს ამ შემადგენლობის მოღვაწეთა შეცვლაზე ფიქრიც კი.

ჩვენი მთავარი უბედურება ის არის, რომ ყველა ჩვენი საზოგადო საქმე, წამოწყება და დაწესებულებაც არა მხოლოდ მასების თვალში, ინტელიგენციის უმეტეს ნაწილშიც კი, თანდათან შემოსავლიან სტატიებად და

მომსახურეთა სინეკურად იქცა¹ ... თითქმის არავის არ აინტერესებს კითხვა: როგორია შემდეგი საქმიანობა ამა თუ იმ ადგილზე: ვინ შეასრულებდა ამ საქმეს ყველაზე წარმატებულად, ვისი უკეთესია, ვისი შესაძლებლობა და ცოდნა უფრო შეეფერება წარმოშობილ ამოცანებს და სამუშაოს ხასიათს? ღმერთო ჩემო, როგორ შორს ვართ ჩვენ კულტურული საზოგადოებების მიერ ასეთი გათვლებისაგან. ჩვენ მსახურების მსგავსად გვინტერესებს და ვხელმძღვანელობთ სრულიად სხვა მოსაზრებებით: სად მივაფუჩჩოთ ბ-ნი ზ? ის ღარიბია, დაოჯახებულია, მისთვის ცოტაა ათასი, ათასხუთასი მანეთი, რომელსაც იგი ადვოკატობით გამოიმუშავებს. არ შეიძლება გააშავო ბ-ნი უ, რადგან ის ისე მიეჩვია თავის თანამდებობას, ისე შეეთვისა მას... არაფერი სხვა არ შეუძლია... თანდათან, ყველა საზოგადოებრივი თანამდებობიდან და დაწესებულებებიდან ჩვენ საზოგადოებრივი სიკეთე კი არ შევქმენით, როგორც კანონმდებელს უნდოდა და ხალხი ელოდა, არამედ ღვთისმოსავი დაწესებულებები ღარიბებისა და ხეიბრების დასათრგუნად... ეს მხოლოდ ტფილისის საკრებულოში კი არა, ყველგან, სადაც არჩევნები ჩვენზეა დამოკიდებული და ხელფასს უკავშირდება – ყველა თვითმმართველობაში, ბანკში, სკოლასა და ა.შ. ჩვენ ჯერ ვერსად მივალწიეთ, რომ ხალხს ჩვენი მოვალეობები არჩევნების პერიოდში შეეგნო. ჩვენ ვხედავთ არჩევნების დროს არა ასარჩევ ხალხს, მსახურებს, არამედ არჩეულებს. ჩვენ მათ სიკეთეზე, მათ ინტერესებზე

¹ სინეკურა – საპატიო თანამდებობა შუასაუკუნეების კათოლიკურ ეკლესიაში; გადატანითი მნიშვნელობით – ისეთი შემოსავლიანი თანამდებობა, რომელიც განსაკუთრებულ შრომას არ მოითხოვს. (დ. ჩ.)

ვზრუნავთ. ხალხისმიერი ჯერ მიუღწეველია ჩვენი გონებისთვის.

თუ კი ჩვენი საზოგადოებრივი განვითარება გაიზრდებოდა ქალაქისა და ხალხისადმი ჩვენი მოვალეობის შეგნებით, განა ვინმე ძველი მმართველობის პარტიას მისცემდა იმის საშუალებას, რომ ესაუბრა მათი მოღვაწეების უკონტროლოობის და შეუცვლელიობის შესახებ? განა ვინმე მიემხრობოდა უცოდინარ და უპროგრამო ადამიანებს, და რა დროს მოხდებოდა ეს? მაშინ, როცა ჩვენი ქალაქი ყოველდღიურად სულ უფრო და უფრო კარგავს თავის ადმინისტრაციულ, ცენტრალურ, კომერციულ და ეკონომიკურ მნიშვნელობას, როცა ქალაქი დღიურად კი არა, საათობრივად იღუპება, როცა ბრმეებიც ხედავენ, რომ ბაქოსა და ბათუმს შორის გაჩხერილი, ძველი დიდების უმცირესი ნარჩენებით ცხოვრობს და შეუგნებლად ფლანგავს ძველი მემკვიდრეობის უკანასკნელ გროშებს, არ ფიქრობს არც საკუთარ, არც შთამომავალთა არსებობის არავითარ სახსარზე.

რომ გადავარჩინოთ ჩვენი ქალაქი და შევაჩეროთ მისი დაღმასვლა, გაძლირებული სიჩქარით რომ მიექანება 1883 წლიდან – მეფისნაცვლობის და ტრანზიტის გაუქმების დროიდან, მას საქალაქო თვითმმართველობის სათავეში მექრთამე ფორმალისტები კი არ უნდა ჩავუყენოთ, არამედ ახალი ადამიანები, რომელთაც ექნებათ უნარი ენერგიულად აამაღლონ ქალაქის შემოქმედებითი ეკონომიკური როლი. ამ ქალაქს ბევრი საერთო აქვს ოდესასთან. გავიხსენოთ, რა სიბნელე, მიგდებული, სავაჭრო-ეკონომიკური სიდუხჭირე სუფევდა ამ ცოტა ხნის წინათ ჰერცოგ რიშელიესა და გრაფ ვორონცოვის საყვარელ ოდესაში; გავიხსენოთ, ბ-ნ ნოვოსელსკის შე-

მოქმედებითი ჭკუის რა მარტივი კომბინაციებით ათიოდე წელიწადში როგორ მოხერხდა ამ ქალაქის კეთილმოწყობა და ეკონომიკური მდგომარეობის აყვანა საოცარ თავბრუდამხვევ სიმაღლემდე. ტფილისს უფრო ადვილად, უფრო მარტივად შეუძლია მოიპოვოს წარმატება ამ გზაზე, და არ გაიმეოროს ოდესის „ალორძინების“ შეცდომები და ნაკლოვანებანი, თუ ჩვენი სათათბირო ბოლოსდაბოლოს დარწმუნდება, რომ არ შეიძლება წელიწადში 80000 მან. ხარჯავდეს მხოლოდ მიმდინარე საქმის წარმოებაზე, ანუ ყველა საქალაქო ხარჯის აღრიცხვის ხელოვნებაზე, მხოლოდ ყოველდღიური დავიდარაბის აღნუსხვის მიზნით. ნათელია, რომ ახალი სისტემები, ახალი გეგმები, ახალი ჰორიზონტები ამ სათათბიროს წინაშე ძველმა მმართველობამ კი არ უნდა წარადგინოს, რომელიც აღფრთოვანებულია თავისი გმირობით – წყალგაყვანილობა რომ შეძლო, თუ დავუშვებთ, რომ ეს წყალგაყვანილობა იდეალური და საუკეთესო ნაგებობაა, დროა, შევიმეცნოთ, რომ ის ძველი ისტორიის კუთვნილებაა: ეხლა ახალი ამოცანები და ახალი საქმეებია ჩვენს წინაშე, რომელთა შესასრულებლად სრულიად შეუფერებელია ყოველგვარი თვითგაღმერთება, მით უფრო, რომ გაღმერთების საფუძველი არც არსებობს.

ჩვენ ვცხოვრობთ ისე, რომ არ გვესმის არც ჩვენი დაცემის სიღრმე, არც ამ მოვლენის მიზეზები, არც ჩვენი მეზობლების აღმასვლის საფუძველი. რაც არ უნდა დავბრმავდეთ, შეუძლებელია არ შევნიშნოთ, რომ ჩვენი ალებ-მიცემობა დაეცა, ჩვენი ვაჭრები კოტრდებიან, ან ძლივს არსებობენ... მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია მათი შველა გასაჭირში, არც მათი საქმეების მოგვარება იმი-

ტომ, რომ ჩვენი თვითმმართველობის სათავეში მდგომმა პირებმა არა მარტო ეს დარგი არ იციან, არამედ საკუთარი მოვალეობაც არ ესმით. თუ არადა, განა არ ეცოდინებოდათ, რომ საქმე გვაქვს კანონზომიერ მოვლენასთან? ვაჭრობა შეფერხდა. დიახ, ის დაეცა იმ პოლიტიკურ-ეკონომიკური კანონის ძალით, რომლითაც ვაჭრობის წინსვლა არ ხდება მრეწველობის განვითარებასთან ერთად შეხმატკბილებულად, ე. ი. წარმოება და ნედლეულის გადამუშავება ერთად. ამასთან, წარმოებისა და გადამუშავების რომელ განვითარებას აქვს აზრი იმ ქვეყანაში, სადაც პლუტოკრატია მოახერხა მის მიერ მითვისებულ ბანკებში მთელი მხარის ფულადი დანაზოგის ცენტრალიზება და სადაც თვითონ (პლუტოკრატია – დ. ჩ.) სარგებლობს ამ თანხებით არა მრეწველობისა და ვაჭრობის, ან წარმოების ხელშეწყობისათვის, არამედ პირადი სპეკულაციისა და აჟიოტაჟისათვის ბაქოში, სალიანებში, ვოლგაზე, საზღვარგარეთ? ალბათ, იტყვიან – ეს კაპიტალისტების კერძო საქმეაო, მართალია, მაგრამ ამ მხარის საერთო კაპიტალის ცალმხრივი მიმართულების მიუწვდომობის ფონზე, განა ჩვენი თვითმმართველობის სათავეში მყოფი პიროვნებები არა მხოლოდ სავალდებულო კრედიტის გაცემაზე უნდა ზრუნავდნენ, არამედ მთელი მრეწველებისა და ვაჭრების უსაფრთხო არსებობაზეც... მათი სამწუხარო დასასრული განა არ იგულისხმება? მათთან, ან მათ წინააღმდეგ, მათი დახმარებით, ან მათი უარყოფით უნდა მოქმედებდნენ მოქალაქეებისათვის ჩვენი ქალაქის ხელმძღვანელები.

მარტო ის თვითმმართველობა იქნება ღირსეული ტფილისში, რომელიც მიზნად დაისახავს და მოუპოვებს კიდევ ტფილისს ურყევ ეკონომიკურ მნიშვნელობას.

დიდხანს ვცხოვრობდით ჩვენ ძველი დედაქალაქის ცენტრალური და სამხედრო პირობების ფონზე. უკვე აღარავის აქვს სურვილი შეინახოს ეს ქალაქი. დროა მოიკრიფოს ძალები და შექმნას საკუთარი კეთილდღეობის წყაროები. მას ყველა პირობა აქვს, რომ გახდეს საუკეთესო და დიდებული ქალაქი მთელს იმპერიაში. ტფილისის ძვირფასი მინერალური წყლები – ერთადერთი გოგირდის შემცველი წყლებია ევროპაში, რომლით სარგებლობა მთელი წლის მანძილზე შეიძლება – რაც ქალაქს მოუტანს სიკეთეს, ორჯერ მეტი მცხოვრებელს რომ ჰყავდეს, თუ ამ წყაროების შემოგარენი კეთილმოწყობილ ბალნეოლოგიურ კურორტად იქცევა. აქამდე ქალაქის ეკონომიკური განვითარება სიძნელეებით იყო სავსე, რადგან ფაბრიკების და ქარხნებისთვის საწვავი ძალიან ძვირი იყო. მაგრამ მარსელ დეპრეს, კორნელი ჰერცის და სხვათა აღმოჩენების საფუძველზე მტკვარი ელექტროენერჯის მისაღებად შეიძლება გამოვიყენოთ უფრო მეტად, ვიდრე ბაქოს ნავთობის ნარჩენები. მაგრამ ინიციატივაა გამქრალი, არ არის საერთო გეგმა, არც საერთო ხელმძღვანელები. მხოლოდ მაშინ, როცა ჩვენი მმართველობა მოხუცი ჩინოვნიკების თავშესაფარიდან გადაიქცევა მომქმედ ხელმძღვანელ ძალად, თამამად რომ წარუძღვება მოქალაქეების კერძო ინიციატივას და შეუმსუბუქებს მას საქმიანობას... ჩვენ გვეყოლება სათათბიროც, თვითმმართველობაც, და მშვიდობაც დაისადგურებს მოსახლეობაში. მანამდე კი ჩვენ ყველანი, ვისაც შეგვწევს ძალა ავმალღდეთ თანამედროვეობის საერთო მოვლენების გააზრებამდე, ყველა ჩვენ – ძველი მმართველობის წარმომადგენლები თუ ოპოზიციონერები, ძალიან ვგავართ ჩვენს შორეულ წინაპრებს – ბიზან-

ტიელებს. მათ მსგავსად ჩვენ ვხოცავთ ერთმანეთს არაფრისთვის, ფიქციისთვის: ერთმანეთს ვუპირისპირდებით, ვიყოფთ ქიმერებსა და ილუზიებს, თანაც არა ჩვენს კარებთან, რომელიც არ გაგვანჩია, არამედ ეკონომიკურად გალატაკებულ სხვის სახლებსა და ეზოებში. ვნახოთ, ამ საერთო მტრისგან როგორ დაიცავენ ჩვენს ქალაქს პლუტოკრატიის მოციქულები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან დიდხანს გაგრძელდეს არსებული ეკონომიკური მდგომარეობა იმიტომ, რომ ძალიან ადვილად და მოხერხებულად იჭერენ თევზს მღვრიე წყალში.

VII. უკანასკნელი მანევრი¹

ძველი მმართველობის პარტიის მეთაურები, რომლებიც ბედის ამარა მიტოვებულები ტფილისის ბეჭდვითი სიტყვის სერიოზული ორგანოებისა და ინტელიგენციის ყველა წარმომადგენლის მიერ, ქალაქის მცხოვრებთა ყველა ფენის მიერ, წყალში დამხრჩვალისებრ ხავსს ეჭიდებიან. ერთადერთი „ძალა“, რაც მათ განკარგულებაშია, გამოგონებისა და ჭორის თავისუფალი ძალაა – ყოველგვარი სისაძაგლე ქალაქში რომ ვრცელდება ოპოზიციისაზე, ჩვენ რომ არ გვექონდეს ძველი მმართველობის ხელმძღვანელების დამადანაშაულებრივი მასალები, მაშინ მათ დასადანაშაულებლად საკმარისი იქნებოდა ერთიდაიგივე მოტივი, რომ მთელი მათი პროპაგანდა, მთელი მათი პოლემიკა, მთელი მათი „აზროვნება“ გამოხატულია მხოლოდ ერთადერთ ჭორების გამოგონებაში.

¹ „ნოვოე ობოზრენიე“, 1893 წ., 15 მაისი, №3230

კულტურულ ქვეყნებში, მორალურად დახვეწილ საზოგადოებას საკმარისია დაენახა, რომ ამათუიმ საზოგადო მოღვაწეს არ გააჩნია სხვა არაფერი, გარდა გაქუცული წვერისა და გუდაპერჩის ნეკნებისა, მაშინვე სამუდამოდ დაშორდებოდა ასეთ საზოგადოებას. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენთანაც, მოსახლეობის ყველა ჯანსაღ ფენაში, ეროვნული კუთვნილების მიუხედავად, ასეთი კომპრომისი და მისგან გამოსული უღირსი საქციელი საფუძვლად დაედება ძველი მმართველობის პარტიის უფრო სწრაფ გახრწნას.

მთელი ნდობით მივმართავ ყველა მებრძოლი პარტიის და მიმართულების სინდისიერ ადამიანებს შემდეგი კითხვით: შეიძლება თუ არა ქალაქის თვითმმართველობის სათავეში აიტანო პარტია, რომლის „აზროვნება“ ან „პროგრამა“ ოპოზიციის სანინაალმდეგოდ გამონაგონი ისეთი ჭორია, თითქოს ნ. დ. ზუბალოვი და ე. ს. ბაბოვი აიარალებენ ავლაბრელ მალაკნებს მთელი სომხების წინააღმდეგ გამონაკლისის გარეშე. უნდა გაუნყოთ, პირველი – ექიმი ბაბოვი, როგორც ცნობილია, წარმოშობით სომეხია და არანაირი სურვილი არა აქვს შეაიარალოს მალაკნები თავისი შთამომავლების წინააღმდეგ, შესაბამისად, თავისი თავის წინააღმდეგაც. მეორეც – ექიმი ბაბოვი სულ არ არის იმ ფრაქციის წევრი საკრებულოში, რომელშიც საქმიანობს ნ. დ. ზუბალოვი, მათი ერთად ყოფნა და სოლიდარობა არავის შეუნიშნავს დღევანდლამდე, მესამე – მალაკნების ასეთ დამუხტვას „მთელი სომხების“ წინააღმდეგ არა აქვს აზრი არავისთვის. თუ გულდინჯად ავწონ-დავწონით ამ ყოველივეს, ავივსებით უსაზღვრო სიცოცხლით იმ ადამიანთა აზ-

რების სილატაკისადმი, ვინც ასეთი სამწუხარო გამონაგონებით შეიძლება ერთობოდეს.

ახლა სხვა მაგალითი. იგივენი წინ და უკან დარბიან სომხების ბაზრის ბნელ რიგებში ფიცის მტკიცებით, თითქოს თქვენმა მორჩილმა მსახურმა შეკრიბა რამდენიმე მალაკანი და მათ წინაშე წარმოთქვა მხურვალე სიტყვა, რომლის დასაწყისს სიტყვასიტყვით მოვიტანთ: „ძმებო, ჩვენ ქართველები და თქვენ მალაკნები – ყველანი მართლმადიდებლები ვართ, ამიტომ მოდით ერთობლივად ვიომოთ „მთელი სომხების“ წინააღმდეგ. შეიგნეთ, რომ მალაკნები მართლმადიდებლები კი არა, სექტანტები არიან, რომ მალაკნებს, თუ გადაწყვეტ მის დაჭერას, ამ ანკესით ვერ დაიჭერ! მესამე მაგალითიც. ძველი მმართველობის პარტია ყველგან ამტკიცებს, რომ ვითომ მე მთელ სომეხ ნაციას ამოწყვეტით ვემუქრები, თუ კვირას 16 მაისს ტფილისის ამომრჩევლები არ აირჩევენ ყველა ქართველ ხმოსანს!..

თუ აქ ვწერ ამ უღირს მანევრებზე, რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ თავი დავიმცირო მათი პასუხის მოსმენით, არამედ იმიტომ, რომ ვაჩვენო იმ პარტიის ნამდვილი სახე და ნამდვილი მორალური ძალა, რომელსაც არ ეთაკილება მსგავსი ილეთები და პროპაგანდა. დაიმახსოვრეთ, ჩვენს მოწინააღმდეგეებს რომ ჰქონდეთ სულ პანანუნა საფუძველი ჩვენი გამოჭერისა იმ საშინელ სიბინძურეში, რასაც გვაბრალებენ ბატონების – ზუბალოვის და ბაბოვის მიმართ, მაშინ ბატონები ძველი მმართველობიდან – რომლებმაც აჩვენეს, თუ როგორ არ უწევინ ანგარიშს მოწინააღმდეგეებს, არ შეიკავებდნენ თავს საჯაროდ ვემხილებინეთ დანაშაულებრივ საქმიანობაში, რაც ისჯება არა მხოლოდ „საზოგადოებ-

რივი სინდისით“, არამედ „სასჯელთა დებულების“ გამოყენებით. სინამდვილეში კი, როგორც ცნობილია არც კანონი, არც ხელისუფლება თავზე ხელს არ გადაუსვამენ იმ პირებს, ვინც ერთმანეთს უპირისპირებს სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს, ან ხმოსნების არჩევას სიკვდილით დასჯისა და ცემა-ტყეპის მუქარით ახორციელებს. მაგრამ ის მდგომარეობა, რომ ძველი მმართველობის წარმომადგენლები ჩვენ სახალხოდ არ გვამხელენ და არ მიგვათრევენ სასამართლოში, არამედ გვანებებენ ნებისმიერ სისაძაგლეს, ყველაზე კარგად ნიშნავს, რომ მათ შეუძლიათ ხალხში გაავრცელონ ნებისმიერი ჭორი.

ამრიგად, მივმართავ რა ყველა პარტიის საზოგადოებრივ სინდისს, კვლავ ვსვამ კითხვას: ნუთუ, ჩვენი ქალაქი არ არის იმის ღირსი, რომ სათავეში თავისი თვითმმართველობა ჰყავდეს, განათლებული, ნიჭიერი ადამიანებით, რომლებსაც შეეძლებათ ოპოზიციისაგან თავის დაცვა უფრო სუფთა, უფრო სერიოზული იარაღით, ვიდრე არსებული ჭორებია? ნუთუ ამ პარტიამ, რომელიც ასეთი „მომხრეებით“ სუნთქავს, დაუყოვნებლივ არ უნდა გაათავისუფლოს ქალაქის მმართველობა და შეიცვალოს უფრო ნიჭიერი, უფრო მომზადებული მოღვაწეებით უფრო „სოლიდური“ პარტიებიდან?

არჩევნების გადამწყვეტი დღის წინ ჩვენ მშვიდად და მტკიცედ ვიმეორებთ იმას, რაც მთელი ცხოვრება შეუცვლელად ჩვენი საქმიანობის საფუძველი იყო: მთელი ჩვენი მიზანი, მთელი ჩვენი პატივმოყვარეობა, მთელი ჩვენი იდეალი – არის ამ მხარის მშვიდობიანი განვითარებისთვის ყველა მეგობრის გაერთიანება, რასისა და რწმენის განურჩევლად, მთელი კავკასიის მოსახლეობის

გონებრივი, სულიერი და მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის. ჩვენ არასდროს არ ვყოფილვართ და არასდროს ვიქნებით რაიმე გამონაკლისის მონები. ჩვენ მტკიცედ გვჯერა, ახლა კი უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, რომ განსაკუთრებულობას ებლაუჭებიან ძალის არმქონე მოღვაწეები, რომლებსაც არ შეუძლიათ თავის საზოგადოებას ემსახურონ რწმენით და სიმართლით, რომ განსაკუთრებულობა – არის წვრილმანი ეგოიზმისა და ანგარების დროშა, რომ ის ყოველთვის ფარავს სულმდაბლობას და არა ეროვნულ მისწრაფებებს. სწორედ ეს არის ჩვენი მუდმივი უარყოფა განსაკუთრებულობისა, საიდანაც არ უნდა დაწყებულიყო იგი და რა აქტიური ფრაზებით არ უნდა გამჟღავნებულიყო, ამან მოგვიწოდდა ჩვენ უარი გვეთქვა ძველი მმართველებისათვის და ბრძოლა გამოგვეცხადებია მათთვის.

იმის მტკიცება, თითქოს ძველი მმართველები მთელ სომხებს განასახიერებენ, სხვა არაფერია, თუ არა ძველი მმართველების მიერ გამონაგონი, რითაც სურთ საკუთარი სიშიშვლის დაფარვა. იმის მტკიცება, თითქოს ჩვენ მთელი სომეხი ეროვნების წინააღმდეგ ვიბრძვით, არ არის მართალი. ჩვენ არ ვიცით, და ვერც ვერავინ გვეტყვის, ბ-ნები მატინოვი და იზმაილოვი როდის იცავდნენ ამ ერის უმაღლეს მორალურ ინტერესებს, რომელთა გულწრფელი დამცველები ჩვენზე მეტად არიან და ინტერესებულნი ძველი მმართველების ახალი მოღვაწეებით შეცვლით. კვირის არჩევნები ნათელყოფენ, რომ ჩვენ მთელ ოპოზიციასთან ერთად წინააღმდეგნი ვართ არა ერის, არა რწმენის, ან ძველი მმართველობის წარმოშობის, არამედ მათი მართვის და ბრძოლის წესებისა, ჩვენ პატივს მივაგებთ იმ სომეხი კანდიდატების არჩე-

ვას, – ისინი ბევრნი არიან, – რომლებიც ჩვენს მსგავსად, ემსახურებიან თავიანთი საზოგადოების უმაღლეს ინტერესებს, და არა ხალხის გაყვლეფის და ექსპლოატაციის გმირებს.

სომხური საზოგადოების საუკეთესო ნაწილთან ერთად ჩვენ მივმართავთ ტფილისის ამომრჩეველთა ყველა ეროვნების წარმომადგენლებს – საერთო სიკეთისათვის გულმხურვალე სიყვარულით შეგვძლებოდეს ქალაქის მოსახლეობის მორალური და ეკონომიკური ყოფის ამაღლება. ამ მიზნის მიღწევა შეიძლება ყველა ეროვნების საუკეთესო ძალების ერთგული მსახურებით, რომელთა შორის საკრებულოა; ამასთან, ცხოვრებაშიც უნდა სუფევდეს მხოლოდ კეთილშობილური შეჯიბრი და არა განსაკუთრებულობისკენ მისწრაფება და აქედან გამომდინარე გაღიზიანება. უნდა იყო ძალიან გონებაშეზღუდული, ან სამაგიეროს გადახდის ძლიერი სურვილით დამუხტული, რომ ვერ ხედავდე, ეს განსაკუთრებულობა და ეს გაღიზიანება არავის მოუტანს სიკეთეს, გარდა ადგილობრივი განვითარების მტრებისა და მღვრიე წყალში თევზის დაჭერის მოყვარულებისა.

მადლობა ღმერთს, ოპოზიციას არ დაუკარგავს გონება, რომ არ ესმოდეს ასეთი მარტივი ამბები. მას სურს, მიაღწიოს არა განსაკუთრებულობას, არამედ თანასწორობას, ამისათვის ბრძოლა შეუძლია არა ეროვნებას, არამედ მხოლოდ პარტიას.

VIII. ისტორიული ცნობა¹

ძველი მმართველობის პარტიის მეთაურები განუწყვეტლივ ამუნათებენ ოპოზიციას იმის გამო, თითქოს მე ერთ დროს ძალიან მაღალი აზრისა ვიყავი ბ-ნებზე მატინოვსა და იზმაილოვზე და ა.შ. მიმაჩნია ჩემს ვალდებულებად, რომ მოვიტანო დოკუმენტური დადასტურება იმისი, რომ ამ შემთხვევაშიც, ისე როგორც ყველგან, შეცდომაში შეჰყავთ უბედური თანამოქალაქენი.

1881 წელს ახლადდაარსებულმა ნაფიცმა მსაჯულმა ა. ვ. სტეფანოვმა „იურიდიჩესკოე ობოზრენიეში“ (№№10 და 13) მძიმე თავდასხმა მოახდინა ტფილისის თვითმართველობასა და სათათბიროზე. ისეთი ავტორიტეტული პიროვნებები ესხმოდნენ თავს, როგორც თვით ა. ნ. სტეპანოვი და ი. ი. რაშეტი იყვნენ. თავდასხმის ხასიათის გასარკვევად საკმარისია გავიცნოთ ყველაზე ნათელი ადგილები რაშეტის სტატიიდან:

„თუ ისინი საზოგადო საქმეს აკეთებენ, იმდენს, რამდენიც მათ საკუთარ ჯიბეს სჭირდება და ამისთვის ითხოვენ საზოგადოებისგან შექებას, ესეც ცოტაა და საზოგადოებრივი ინტერესების დარღვევისათვის – ბევრი. ჩვენი ხელმძღვანელი თუ არ ითხოვს განსაკუთრებულ ჯილდოს, ვერ იტანს შენიშვნებს და საქმისადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას. მაგრამ საიდან მომდინარეობს ისეთი წესი, რომ ჩვენი მმართველები, გამორჩეული ადამიანები, რომლებსაც ყველაზე მეტად უნდა დაეცვათ საზოგადოებრივი აზრი, აფურთხებენ მას და ნაკლებად აქცევენ ყურადღებას, ვიდრე სამთავრობო აგენტები და

¹ „ნოვოე ობოზრენიე“, 1893 წ., 27 მაისი, №3237

ჩინოვნიკები, რომლებიც საზოგადოებას კი არა, ხელმძღვანელობას ემორჩილებიან?“

შემდეგ რაშეტი უფრო ნათლად აყალიბებს თავის აზრს:

„ხმოსნებიც და მმართველობის წევრებიც წლიდან წლამდე იგივე პირები არიან, არა იმიტომ, რომ სხვანი არ არსებობენ, ან ესენი სინამდვილეში ყველაზე საუკეთესონი არიან, არამედ იმიტომ, რომ ისინი ქალაქის უფროსები არიან, ისინი თვითონ ირჩევენ თავის თავს და თავის სათათბიროში როგორც სახლში, დაცულ ციხესიმაგრეში, ისე არიან. დაიმახსოვრეთ, ისინი გაიცინებენ, სისხლის სამართლის დანაშაულამდე არ მივლენ, სხვაზე ყურადღებას არ შეაჩერებენ, რომ არ გაიფუჭონ მადა“.

დასასრულს ი. ი. რაშეტი ძალზე სერიოზულად ბრძანებდა, რომ „ეს კართაგენი უნდა დაინგრეს“.

„იურიდიჩესკოე ობოზრენიეს“ ამ თავდასხმებზე მე იქვე (№19, გვ. 736-747) შემდეგს ვწერდი:

„ ... ამასთან, მე პირადად ბევრჯერ დავესხი თავს საკმაოდ მწარედ ჩვენი საქალაქო მმართველობის საქმიანობას, ამას თქვენც აღნიშნავთ („იურ. ობოზ.“ №13, გვ. 549):

„ქალაქის მმართველობის ცნობილ შეტაკებისას ადმინისტრაციასთან პურის საკითხზე, ბ-ნი ნიკოლაძე იყო ნამდვილი წინააღმდეგი ქალაქის სათათბიროსი და ქალაქის მმართველობისა. ყველაზე ბრწყინვალე სტატიები „საზოგადოებრივი განვითარება“, ქალაქის საქმეებზე, სწორედ ამ ეპოქას ეხება. განთქმული განხეთქილების დასაწყისში მისი მშვენიერი შენიშვნები გაზეთ „ობოზორში“, საფუძველი გახდა საყოველთაო მსვლელობისა ქალაქის წინააღმდეგ პურის ვაჭრობის საკითხზე. შემდეგ

კი ბ-ნი ნიკოლაძე ქალაქის წარმომადგენელთა მხარეს გადავიდა, მაგრამ აქაც იგი სამმართველოს საქმიანობის დამცველი კი არ იყო, არამედ საქალაქო თვითმმართველობის საერთო პრინციპის რაობის დამცველი გახლდათ“.

სავსებით ვეთანხმები თქვენს ამ სტრიქონებს, შემიძლია მათ დავამატო მხოლოდ, რომ ჩემს შემდგომ მოღვაწეობაში თქვენ არა ერთხელ და ორჯერ ნახავთ, რომ ვარ ნამდვილი, გამოკვეთილი მოწინააღმდეგე როგორც სათათბიროსი, ისე სამმართველოსი, რომელთა შეხედულებებსა და საქმიანობას ყოველთვის როდი ვეთანხმები (სოლიდარული არ ვარ), მაგრამ არ მესმის, – როგორ შეგიძლიათ დამაბრალოთ ან ქალაქის წარმომადგენელთა საქმიანობის სისტემატური სოლიდარობა, ან სისტემატური წინააღმდეგობა ყველა მათი ქმედებისა? ვამხელდი და კვლავაც ვამხელ ყველა იმ საქციელს, რაც არ შეესაბამებოდა და არ შეესაბამება ჩემს შეხედულებებს და მიმართულებას. ხოლო რაც ჩემს შეხედულებებს ეთანხმება, მიმაჩნია ჩემს წმინდა ვალად, მხარი დავუჭირო საკრებულოსაც და თვითმმართველობასაც. ნუთუ თქვენც ხედავთ ამაში რაიმე წინააღმდეგობას? გასაგებია, გაუნათლებელი საზოგადოების რთული საკითხების უცოდინარ ადამიანებს არ შეუძლიათ შეიმეცნონ ორი სხვადასხვა დონის საკითხი. მათ აუცილებელია რომელიმე მოღვაწის წინაშე ქედი მოიხარონ და აბსოლუტურ სრულყოფილებად წარმოსახონ ეს მოღვაწე, ან ტალახით ამოსვარონ და ადამიანური სახეც კი დაუნუნონ. თქვენ არ შეგეფერებათ ინსტიტუტის ასეთი დამცირება: უსაფუძვლოდ „დაფასება“, ან უფრო ხელაღებით „უარყოფა“ ადამიანებისა. მიმაჩნია, რომ თქვენი

დამოკიდებულება ჩემდამი არანაირ მცირედ წინააღმდეგობასაც არ შეიცავს, მიუხედავად მოჩვენებითი და გარეგნული უცნაურობისა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტისა, თქვენ პირველი სიტყვა მომანიჭეთ ახლადშექმნილ თქვენს გამოცემაში, ხოლო ორი თვის შემდეგ ძალზე ენერგიულად დამესხით თავს თქვენი ჟურნალის მეცამეტე ნომერში. ზუსტად ისე, როგორც თქვენში არ არის მცირედი წინააღმდეგობაც კი, ისე როგორც ერთ სფეროში და ერთ საქმეში, თქვენ შეგიძლიათ გაიზიაროთ ჩემი აზრები და რწმუნებანი, და შესაბამისად, ვალდებული ხართ მხარი დაუჭიროთ და დაიცვათ ისინი, ხოლო სხვა – შეგიძლიათ არ გაიზიაროთ, რის გამოც შეგიძლიათ უარყოფითად მოეკიდოთ მათ ისევე, როგორც ჩემს დამოკიდებულებას საკრებულოსა და თვითმმართველობისადმი, რომლებთანაც არის საკითხები, სადაც ჩვენ ვართ სოლიდარულები, და მე ვთვლი ჩემს მოვალეობად, დავიცვა ჩვენი თვითმმართველობა, მისი მოღვაწენი და სხვებიც, რომლებსაც არ ვეთანხმები და თავს ვესხმი.

მე აუცილებლად მიმაჩნდა დამყარებულიყო ასეთი ურთიერთობა ჩვენი თვითმმართველობის წარმომადგენლებს შორის, რათა, ძირითადად, დამერწმუნებინეთ თქვენ და თქვენი მკითხველები, რომ თქვენ ამიერიდან საქმე გაქვთ ჩვენი საკრებულოს თვითმმართველობის არა ნაფიც მსაჯულებთან, არც „მტკიცედ შეკრული ქალაქის აფერისტების კორპორაციასთან“, არამედ სრულიად დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ადამიანთან, ადამიანთან, რომელიც ქალაქის მმართველობის ხელმძღვანელებთან ხშირმა შეხლა-შემოხლამ ისე კი არ დააბრმავა, რომ მათ საქმიანობაში არ დაენახა, რაც მხარ-

დასაჭერი და წასახალისებელია. როგორც არაერთხელ აღვნიშნე საკრებულოსა და პრესაში, ჩვენი საკრებულოსა და თვითმმართველობის წევრები არ არიან ჩემი არც მეგობრები და არც ახლობლები, ჩვენი თვითმმართველობის მოღვაწეებს შორის მე იზოლირებული მდგომარეობა მაქვს: ჩემი წინადადებებისა და რჩევების უმეტესობა თითქმის ყოვლთვის საკრებულოს მიერ „იბლოკება“. მე გამოვდიოდი დამცველად – არა პერსონების, არამედ თვითმმართველობის პრინციპებისა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მოღვაწეების მხილებისას თვითმმართველობის მონინააღმდეგენი ცდილობდნენ დაწესებულების პრინციპების დისკრედიტაციას. ცნობილი „პურის საკითხების“ დროს მე ყველაფერში როდი ვეთანხმებოდი ჩვენი მმართველობის წევრების საქმიანობას და განცხადებებს. შარშან, 14 ივლისის სხდომაზე ჩემი გამოსვლის დროს, მე არ შევხებოვარ ამ საკითხს, არ დამიცავს მმართველობის საქმიანობა და აზრები. მე მეგონა – ახლაც მგონია, რომ ეს ყველაფერი საკმაოდ ნათლად გადმოცემულია მმართველობის „მოხსენებაში“, რომელიც არა მხოლოდ სათათბირომ უნდა განიხილოს, არამედ ქალაქის გუბერნიის საქმეთა მმართველობამ და თვით სენატმაც კი.

მაშინ მე ქალაქის მოღვაწეთა ლიდერი რომ ვყოფილიყავი, სხვა გზით შევძლებდი ქალაქის თვითმმართველობის უფლებების ხელშეუხებლობის შეთანხმებას მოსახლეობის ინტერესებთან, რომელსაც ხორბლის მარცვლის ყიდვა სურდა რკინისგზის სადგურში. მაშინ საქმე ამაში კი არ იყო, არამედ თვითმმართველობის მონინააღმდეგეებს სურდათ ესარგებლათ ამ „შესაფერისი შემთხვევით“ და ჯერ დისკრედიტაცია გაენიათ და შემ-

დეგ გაენადგურებიათ კიდევ ჩვენი ქალაქის თვითმმართველობის დანესებულება. შემოძლია დაგარწმუნოთ, რომ 14 ივლისის სხდომის დაწყებამდე საქმე ისე აეწყო, რომ ჩვენი საკრებულოს არსებობა ბენვზე ეკიდა. გასაგებია, რომ საქმის ასეთი მდგომარეობის გამო, ჩვენი სამმართველოს წევრების დიდი თუ პატარა საფუძვლიანი სიტყვები ან ქმედებანი უნდა გადასულიყო სხვა მხარეს. ამიტომ, როგორც ჩემს სიტყვაში, ისე ჩემს სტატიებში („ობზორში“ რომ ქვეყნდებოდა), წამოვჭერი საკითხი უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე წვრილმანი კამათი იმის შესახებ, იყოს თუ არა ბაზარი სადგურში, და აქვს თუ არა უფლება ადმინისტრაციას ჩაერიოს ამ კამათის მოგვარებაში? მე შევეხე საქალაქო ადმინისტრაციის ურთიერთობას საერთოდ მოსახლეობასთან, ვცდილობდი დამემტკიცებინა, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლები ვერ შეძლებენ საქალაქო საქმეებს წარუძღვნენ თვითმმართველობის წარმომადგენლებზე უფრო უკეთ და შეგნებით. ნაიკითხეთ „გოლოსში“ სათათბიროზე ჩემი წარმოთქმული სიტყვის შემოკლებული რეზიუმე, ან „ობზორში“ 17 ივლისს დაბეჭდილი ჩემი სტატია – „კავკაზი“ თვითმმართველობის შესახებ“, და დარწმუნდებით, რომ საქმე ისე მიდიოდა, როგორც აქ გიამბობთ:

„იმედი მაქვს, თქვენ ადვილად მიხვდებით, რომ მე არ მივეკუთვნები ისეთ ადამიანთა რიცხვს, ვინც დარწმუნებულია, რომ საქალაქო, ან სასოფლო თვითმმართველობის შემოღებით ჩვენში სამოთხე დამყარდება, და ჩვენი საზოგადოებრივი წყლული მორჩება. 1864 წელს რუსეთში სასოფლო დანესებულებები რომ შეიქმნა, პრესაში ძალიან ბევრი წყლის გადასხმა დამჭირდა იმ ენთუზიასტებზე, რომლებიც თვლიდნენ, რომ ყველა ჩვენს

უბედურებას და უწესრიგობას მოელო ბოლო. როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, ბრბო და ინტელიგენციის დიდი ნაწილი ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდებიან, რასაკვირველია, ამათუ იმ ძირითადი და გააზრებული პირველი შთაბეჭდილების საფუძველზე.

ის პიროვნებები, რომლებსაც 1865 წელს ასეთი დიდი იმედები ჰქონდათ ერობისა და საქალაქო თვითმმართველობისა, ახლა ძალიან დიდად კიცხავენ მათ, მაშინ როცა პირველი ნაბიჯები იდგმებოდა ამ თვითმმართველობისა, რომელმაც ვერ შექმნა ჩვენში ედემი, ხოლო ყველასთვის კი – სრული ბედნიერება. ეტყობა, არავის სურს ეს თვითმმართველობა დაინახოს როგორც სკოლა, რომელშიც თანდათან უნდა გამოვლენილიყო ხალხის თვითშემოქმედება. უნდა ძალიან მიამიტი იყო, რომ იფიქრო, თითქოს რომელიმე ხალხს შეუძლია შეუმცდარად მართოს თავისი საქმე, მის დაწესებულებებში ყველაფერი აწყობილი იქნება, შეცდომების, გადაცდომებისა და ჩავარდნების გარეშე. მხოლოდ ასეთი შეცდომების გრძელი რიგის შემდეგ, რომელთა გამოსწორებაც პრესაში პატიოსანი გამოქვეყნებით უნდა მომხდარიყო, ხალხმა შეიძლება მიაღწიოს თავისი საქმეების სამართლიან და სწორ ხელმძღვანელობას. ჩვენში კი თვითმმართველობაზე უდიდესი იმედის დამყარების გამო უსაფუძვლოდ განიხიბლნენ...”

„არსებობს დიდი სხვაობა ნებისმიერი საკითხის თეორიულ მსჯელობასა და პრაქტიკულ მიდგომას შორის. საქმეში და ცხოვრებაში ჩვენ ყველას მოთმინებით გვინევს ცოტ-ცოტა შესამჩნევი წარმატების მიღწევა ჩვენს სასიკეთო საქმეებში, მთელი წლები უნდა დავხარჯოთ იმ შედეგების მისაღწევად, რასაც თეორიაში ყოველგვა-

რი სიძნელის გარეშე უცებ აღმოვაჩინეთ, ერთი გააზრებით. თუ ვინმე ჩვენ ქალაქის კეთილმოწყობის საქმეების რომელიმე პროექტის ქალაქში გამოსახვას დაგვაავალღებს, უეჭველად, ჩვენ შევიმუშავებთ ძალიან კარგ და საყურადღებო პროგრამას, უფრო ადვილად შესასრულებელს და ყველასთვის დამაკმაყოფილებელს. მაგრამ პრაქტიკულად საზოგადოებრივი საქმეების გაძღოლის ძალზე რთული ამოცანაა ძალიან ბევრ შეფერხებას აწყდება, რაც სათავეს იღებს მოსახლეობის უმეტესი ნაწილის ინერტულობისა და აპათიურობიდან. საზოგადოდ, ზოგიერთი ფიქრობს, რომ საკმარისია საქმის აზრიანობა და უმთავრესობა წარმოაჩინო და თავი ქუდში გაქვს, საქმე გაკეთდება. ხშირად ფიქრობენ, უშაბაშო და ენერგიული წინააღმდეგობის მიუხედავად ყველა იმ პირისგან, ვის ინტერესებსაც პირდაპირ თუ ირიბად ეხება ჩვენი წინადადება, ეს წინადადება ჩაფლავდება, გაუგებარი, უხეში აპათიის მქონე ადამიანებისგან, რომლებსაც არ შეუძლიათ გაიგონ, ან რატომ უნდა ეძებონ ახალი ყლორტები, როცა ძველი მამაპაპური ასე კარგი და დამაკმაყოფილებელია? არც სამხილებით, არც მჭერმეტყველებით, არც ცინცხალი აზრით ზემოქმედებას ვერ მოახდენთ მათზე: ისინი ყურს არ გიგდებენ, არც მოსმენა შეუძლიათ და მთელი არგუმენტები მათ გაქვავებულ შუბლზე ისეთ გავლენას ახდენს, რომ თამამად იტყვი – შეაყარე კედელს ცერცვიო. მთელი წლები, თაობათა ცვლილებაა საჭირო, რომ ავაცილოთ ჩვენს, და ნებისმიერ სხვა თვითმმართველობას ასეთი მუხრუჭი, სავსებით შეუმჩნეველი იმ სხვადასხვაგვარ სიძნელეებში, რომლებიც ხელს უშლიან მის განვითარებას და დახვეწას.

„ადრინდელ ტფილისის საკრებულოში (1875-1878) ასეთი მუხრუჭი პირველხარისხოვანი იყო. კარგად იცით, ყველა საზოგადოებაში კონსერვატორული ელემენტები ყოველთვის უმეტესობა იყო და იქნება, საზოგადოებრივი ურთიერთობის იშვიათ შემთხვევაში, როდესაც ხალხს ნებსით თუ უნებლიედ უხდება შეხვედრა გაუთვალისწინებელ წინააღმდეგობებთან, მოკლე ხნით შეიძლება გამოჩნდეს ურთიერთსაწინააღმდეგო ელემენტები კონსერვატორების ჩართულობით ან სიმბდალით... მაგრამ შეიძლება არ იცოდეთ, რომ არსად მსოფლიოში კონსერვატორული ელემენტები ასეთი ძალითა და სიცოხლისუნარიანობით არ გამოიჩინება, როგორც ტფილისში, განსაკუთრებით იქ, სადაც 1870 წლის 19 ივლისს „საქალაქო მმართველობა“ შეძლო შეექმნა ქალაქის წარმომადგენლობა. ამ წრის ზერელე ანალიზი ახლა ძალიან საჭიროა. „საქალაქო მმართველობა“ თითქმის ყველა უფლებას აძლევდა მსხვილ მესაკუთრეებსა და კაპიტალისტებს. რა პიროვნებისგან შედგებიან ქალაქის ეს მცხოვრებნი? კარგად მოგეხსენებათ, ამ პიროვნებების უმეტესობას არ მიუღია არავითარი განათლება და სიმდიდრე დააგროვეს ვაჭრობის, ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებით. თუ როგორი პატივით იცავს მათ ეს სიმდიდრე არა მხოლოდ ბნელ მასებში, არამედ მთელ ჩინოსნებში, იქედანაც ჩანს, რომ ეს პიროვნებები, საფუძველი რომ არ ჰქონიათ, მაინც გახდნენ გენიალურები. თითოეული დარწმუნებულია სერიოზულად, რომ არის ღრმად მოაზროვნე, ტაქტიანი, ჭკვიანი, ყველასთან დადებითი ურთიერთობის დამამკვიდრებელი, ყველა საქმის მომგვარებელი. მაგრამ თითოეულმა კარგად იცის, თუ მისმა ამხა-

ნაგმა როგორ შემთხვევით დააღწია თავი დაბალი ხალხის გარემოს და რა ხრიკებით დააგროვა სიმდიდრე.

ამიტომ, სჯერათ რა საკუთარი გენიალობა, თავისი მოძმის ჭკუასა და უნარს კაპიკად არ აფასებს არავინ. აი, ამიტომ ვხედავთ ინერტულ და გაქვავებულ ხმონებს, რომლებიც ღრმად არიან დარწმუნებულნი საკუთარ უდანაშაულობაში, მაგრამ უნდობლობით ეკიდებიან სხვა თავის მოძმეებს. რუსეთში ასეთი ბატონები ცოტა როდია: მაგრამ იქ მათთან ერთად სხვა მსხვილი მესაკუთრეებიც ბევრია, არსებობენ შთამომავლობითი არისტოკრატიც, რომლებიც უცხოელების მიბაძვას ცდილობენ. ჩვენ არაფერი ამის მაგვარი არ გვაქვს საკრებულოში, რომელშიც თვითნაბადი მდიდრები ათეულობით არიან. ისინი ერთმანეთს რომ ენდობოდნენ, შეეძლოთ ერთმანეთთან შეთანხმება სცოდნოდათ, საერთო დისციპლინის დამორჩილება და ერთი აღიარებულ ხელმძღვანელთან ერთად მტკიცე სიარული, – მაშინ მართლა დალუპულა ჩვენი თვითმმართველობა. მაშინ მთელი ათწლეულობით „ქალაქის მმართველობის“ ძირეულ გარდაქმნამდე, სწორი და სამართლიანი იქნებოდა ბ-ნ რაშეტის სიტყვები „ქალაქის აფერისტების მტკიცედ შეკრული კორპორაციის შესახებ, რომლებიც მხოლოდ საკუთარი მოგებისთვის იღწვიან“.

„1875-1878 წლების სათათბიროში იყო უმეტესობა, ყველგან რომ იმარჯვებს. 1879 წლის ახალ სათათბიროში ისინი ისე უმნიშვნელონი როდი იყვნენ, რომ ყოველწამს არ შეექმნათ თავიანთი უმრავლესობა და თავის ხელში არ მიეტაცათ ქალაქის მმართველობა. დამიჯერეთ, ყველაზე დიდი საშიშროება, რაც ჩვენი ქალაქის მოსახლეობას და მის თვითმმართველობას ემუქრება, ამ

პიროვნებების შეერთებაა, მაგრამ, ამგვარად, საბედნიეროდ, ისინი დაშლილები და ჩამოშორებულნი არიან ჩვენი სათათბიროსგან... ჩვენ რომ სათათბიროში შევედით, უმთავრესი და უპირველესი მიზანი იყო, პირველი – ამგვარი პიროვნებების დიდი რაოდენობის ხმოსნებად არჩევის შეზღუდვა, მეორე – ახალ მმართველობაზე მათი გავლენის შემცირება, მესამე – მათი როლის მთლიანი უგულვებელყოფა. თუ 1878 და 1879 წლების „ობზორს“ გადაათვალიერებთ, ნახავთ, როგორი სისტემატურობით და ტაქტით ვიხილავდით ჩვენ ახალი ხმოსნების და ახალი სათათბიროს სხდომების ოქმებს, რომ ამ მიზნისთვის მიგვეღწია. აქ ვხმარობ გამოთქმას „ჩვენ“, ამაში მხოლოდ მე არ ვიგულისხმები, ის მცირე ახალგაზრდა ხმოსნებიც, რომლებთან ერთად მაშინ პატივი მქონდა მემოქმედა საკრებულოსა და პრესაში. ბევრი სტატია და საარჩევნო წესები წარმოვაჩინეთ მაშინ იმიტომ, რომ ხელი შეგვეშალა „აფერისტების მტკიცედ შეკრული კორპორაციის“ წარმოშობისა და გამარჯვებისათვის, რომლის ჩამოსაყალიბებლად ჩვენს საკრებულოს ბევრი ელემენტი აქვს, ოღონდ, საბედნიეროდ, იგი ერთი წუთითაც არ ჩამოყალიბდა და არ შეიქმნა. რომ არ იფიქროთ, თითქოს მე და რამდენიმე ხმოსანი ვითვისებთ ამ კორპორაციის ქალაქის საქმეებიდან ჩამოშორების პატივს, მოვიყვან ზემოთ აღნიშულ განმარტებას – ურთიერთისადმი უნდობლობა, რაც ამ ბატონების დაყოფას უწყობს ხელს და შეერთებას და შეთანხმებას ხელს უშლის.

ჩვენ მხოლოდ ის შევძელით, რომ ამოვხსენით ეს მიზეზები, ისე შევაჯამეთ, რომ განვითარდა და გაძლიერდა მისი გამოვლინება... მიზანი, ვიმეორებ, იყო ისეთი მმართველობის შექმნა, რომელიც არ იქნებოდა დამოკი-

დებული ამ ელემენტებზე და დაეყრდნობოდა ძირითადად შექმნილ უმცირესობას. ჩვენ მივალწიეთ ამ მიზანს. მართალია, 1879 წელს საკრებულოს მიერ შექმნილი თვითმმართველობა იმ პირობებისგან არ შედგებოდა, რომელთა ხილვაც გვსურდა ქალაქის მმართველობის სათავეში. ჩვენი კანდიდატები, როგორც ცნობილია, იყვნენ ნ. დ. ზუბალოვი და თავ. კ. ა. ბებუთოვი („ტიფლ. ვესტიკის“ რედაქტორი), მაგრამ ჩვენ ბევრი ხმა დაგვაკლდა, რომ აგვერჩია პირველი და ერთი ხმა არ გვეყო, რომ აგვერჩია მეორე. ყველა სხვა კანდიდატებიდან, ვისაც შანსი ჰქონდა არჩეულიყო საქალაქო მთავრობაში, ჩვენ ა.ს. მატინოვს დაუჭირეთ მხარი და მისი კანდიდატურა ავირჩიეთ, რომელიც ჩვენვე წამოვაცენეთ, რომ არ დაგვეშვა საკრებულოს დაშლილი უმრავლესობის კანდიდატის გ. გ. ვვანგულოვის არჩევა. ამგვარად, შექმნილი მმართველობა პირველივე დღეებიდან განიცდიდა საკრებულოს უმრავლესობის წევრთა მხრიდან ენერგიულ თავდასხმებს.”

„არ შეიძლება ყურადღება არ მიაქციოთ იმ გარემოებას, თუ ჩვენი სათათბიროს რომელ ელემენტებს ეყრდნობა თვითმმართველობა და რომელი ელემენტები უჭერენ მას მხარს. ნ. დ. ზუბალოვის გარდა თითქმის არავინ სათათბიროს მემარცხენეებიდან მმართველობას სისტემურ ბრძოლას არ უცხადებდა და კრიტიკულ მომენტში უარით არ პასუხობდა. თვითმმართველობას მუდმივად ესხმოდნენ თავს მემარჯვენეები: ბატონები ალადატოვი, ტაიროვი, ეჯიბოვი და სხვ. თუ ამყამად თავდამსხმელთა რიცხვი მცირეა, იმიტომაც რომ მსხვილი კაპიტალისტების წრემ, დასაწყისში მემარჯვენეთა მხარეს რომ იყვნენ, დაკარგეს საკრებულოში წარმატე-

ბული საქმიანობის იმედი და აღარ ცხადდებოდნენ მის სხდომებზე. საკითხების უმეტესობა, რაც სათათბიროს უნდა განეხილა, წარმოქმნილი უმცირესობის მიერ წყდებოდა, მხოლოდ იმიტომ, რომ სხდომებს რეგულარულად მარტო უმცირესობა ესწრებოდა. მსხვილმა მესაკუთრეებმა, მემარჯვენეებმა, ან სულ ჩაიქნიეს ხელი სათათბიროს საქმიანობაზე, და არ ესწრებოდნენ მის სხდომებს, ან მხოლოდ მაშინ გამოჩნდებოდნენ, როდესაც განსახილველი საქმე მათ ჯიბეებს ეხებოდა – მაგალითად, თუ საქმე მათი მაღაზიების წინ მოედნების მშენებლობას, ან მათი სახლების წინ მეეზოვეების დაყენებას, ან მათი ნაგებობებისა და მიწების გასწვრივ ქუჩების გასუფთავებასა და რემონტს გულისხმობდა... მობრძანდით საკრებულოს სხდომაზე, რომელიც ამ საკითხის განხილვას მიეძღვნება, დაუკვირდით უმრავლესობის ფიზიონომიას, ყური დაუგდეთ მათ მოთხოვნებს და სიტყვებს და თქვენ მიხვდებით ჩვენს გრძნობებს, თქვენ გაამართლებთ ჩვენს ტაქტიკას და დარწმუნდებით, რომ ჩვენი მმართველობა არის საიქიოდან მოვლენილი პიროვნებებით „მტკიცედ შეკრული კორპორაცია!“ თქვენ დარწმუნდებით აგრეთვე, რომ თვითმმართველობა ყველა ასეთ შემთხვევაში უმცირესობაში რჩება, საკრებულოს მემარცხენე ფრთასთან ერთად და ყველაზე ანტისაზოგადოებრივი გადაწყვეტილებები მაშინ მიიღება საკრებულოს მნიშვნელოვანი უმრავლესობის მიერ.

გაიხსენეთ, თუნდაც ტფილისის ქუჩების დასუფთავებაზე გამოყოფილი თანხის ისტორია – ქუჩების განმენდა კანონით და სიმართლის მოთხოვნით, ბინათმფლობელების სახსრებით უნდა მომხდარიყო და არა საკრებულოს უმრავლესობის გადაწყვეტილებით საქალა-

ქო თანხის უკანასკნელი კაპიკების გამოყენებით! – თუ ამას გაითვალისწინებთ, ჩემს აზრს დაეთანხმებით.”

„საჭიროა ყოველივე ამის ცოდნა და არა მხოლოდ ფასადის, არამედ კულისებისაც, იმისთვის, რომ საფუძვლიანად მიმართო შენი დარტყმა იმ მხარეს, რომლის დაძლევაც სურს ქალაქის მოსახლეობას, უაზროდ და ფუჭად დახარჯული დარტყმები საქმეში ჩაუხედავად, ნიშნავს უაზრო იარაღად ყოფნას იმ ადამიანთა ხელში, რომლებთანაც არაფერი საერთო არც გაქვთ და არც უნდა გქონდეთ. ძალზე სამწუხაროა, რასაკვირველია, გაუგებრობის გამო თავს დაესხა იმ ადამიანებს, ვინც ღირსია მხარდაჭერის. მაგრამ არის უფრო სამწუხარო და უსიამოვნო საქმეც პრესის მუშაკისათვის, თავისი სიტყვითა და მნიშვნელობით რომ ინუგემებს თავს, ეს საქმის გაუგებრობისა და შეუცნობლობის ბრალია ანტისაზოგადოებრივი ელემენტების გათვალისწინებით, იმედს რომ აძლევდა და ანიჭებდა მათ დაკარგულ სითამამეს. ბ-ნ ზუბალოვის შეცდომაა ორი წლის მანძილზე რომ არ შემოუხედავს საკრებულოში და ამიტომ არ იცოდა საკრებულოს საქმეების არსებითი და კულისების მდგომარეობა. მან ფრთა შეასხა სათათბიროს მემარჯვენეთა მოურიდებლობას, იმედი ჩაუსახა და გააცოცხლა ისინი. ბ-ნ ზუბალოვისადმი გამოვლენილი უკეთურება, რაც თითქმის საკრებულოს ყველა მემარცხენემ გამოავლინა, ასევე აიხსნება სწორედ მისი ამ შეცდომით. დამერწმუნეთ, რომ აქ უფრო დიდი საქმეები იგულისხმება, ვიდრე რეპუტაცია, ან ახლანდელი ჩვენი მმართველობის ნევრების მდგომარეობა თუ მნიშვნელობაა. მათ გამო ვინ იქნებოდა ბ-ნ ზუბალოვის გვერდით. მაგრამ

სათათბიროს მემარცხენეების ყველა წევრს სურს, რომ ბ-ნმა ზუბალოვმა არ მოახერხოს მემარჯვენეთა შეკავშირება, რომელიც ერთხელ ხომ შეკავშირდა, ახლა არა მხოლოდ არსებულ სამმართველოს გააერთიანებს, არამედ თვითონ ბ-ნ ზუბალოვსაც, რომ თავის საკუთარ საქმეს მისცეს გასაქანი... ზუბალოვის ეს შეცდომა, ჩემი აზრით, მეორდება თქვენს მიერაც და ბ-ნ რაპპეტოსგანაც და მეორდება იმიტომ, რომ თქვენ არ იცნობთ ჩვენი ქალაქის თვითმმართველობის ნამდვილ საქმიანობას.”

„ვფიქრობ, ამ შეცდომის თავიდან აცილება შეუძლებოდა, თუ რამდენიმე კითხვას გავისივრებდით. მაგალითად: ვინ ესხმის თავს თვითმმართველობას? რა იარაღს ხმარობენ ისინი და სხვები? და ა. შ. როცა დავრწმუნდი, რომ ჩვენს მმართველობას ჩამოყალიბებისთანავე მუდმივად თავს ესხმიან ერთი და იგივე ბატონები ალადატოვები, ტაიროვები, ბონდოევი, ეჯიბოვები, იზმიროვები და ა. შ. და ა. შ., მეორე მხრივ, მას მუდმივად იცავენ ისეთი ხმოსნები, როგორებიც არიან ბატონები იოანნისიანი, მესხი, ლამბაროვი, ბებუთოვი (კ.ა.) და სხვ. და სხვ., და სხვ., ვფიქრობ, მისახვედრია, რომ აქ არ შეიძლება იყოს „მჭიდროდ შეკავშირებული კორპორაცია ქალაქის აფერისტებისა“...

აი, როგორ „ვაქებდი“ თორმეტი წლის წინ ბ-ნ მატინოვს და ძველ თვითმმართველობას. აი, ზუსტი და სრული აზრი და ქმედება, რაც მაშინ გვაერთიანებდა ბ-ნ იზმაილოვთან. არაფერი მაქვს შესაცვლელი, რასაც ვფიქრობდი, ვწერდი და ვაკეთებდი 1881 წელს, ორივე ხელს ვაწერ ამჟამადაც ჩემს სტატიას, დაწერილს დღეს და არა თორმეტი წლის წინ. მაგრამ ახლა შეუძლიათ

მოანერონ ხელი ბატონებმა მატინოვმა და იზმაილოვმა, 1881 წელს რომ ტაშს უკრავდნენ მას? ყველა პარტიისა და მიმართულების კეთილსინდისიერ ადამიანებს მოეუწოდებ განსაჯონ, ჩვენგან ვინ დარჩა 1881 წლის საერთო რწმენის ერთგული და ვინ არა. დავუმატებ, რომ ი. ი. რაშეტი ჩემი წერილის პასუხად წინასწარმეტყველებდა, რომ ბ-ნები მატინოვი და იზმაილოვი ბოლოსდაბოლოს აუცილებლად უღალატებენ ყოველგვარ პრინციპს და უმრავლესობასთან ერთად უნისონში ამღერდებიან. გამოგიტყდებით, მეც ასე ვფიქრობდი. მაგრამ მომავალი ჟამთაღმწერლები ჩვენი თვითმიმართველობისა, სამართლიანად დაადასტურებენ, რომ მე ყველაფერი გავაკეთეთ, რათა დიდი ხნით გადამედო ეს სამარცხვინო დაცემა.

IX. როგორ შეწყდას აალეგული უთანხმოება¹

(„ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციაში გაგზავნილი წერილი)

„ნოვოე ობოზრენიეს“ №4522-დან ჩანს, რომ ტფილისის პრესაში მომავალი საქალაქო არჩევნების თაობაზე გაჩაღებულ პოლემიკაში „ხშირად სხვადასხვა ფანტასტიკური დამონმება ხდება ნ. ნიკოლაძის სტატიებიდან. თქვენ მოიყვანეთ 1875 წლის ჩემი ნაწერებიდან მკვეთრი ამონარიდი, რომელიც მიმართული იყო „იმ ადამიანების წინააღმდეგ, ვინც ჩვენს მხარეში აჩაღებს თემობრივ სიძულვილს“. ამ ციტატაზე დაყრდნობით

¹ „ნოვოე ობოზრენიე“, 1897 წ., 19 აპრილი, №4567

თქვენ ბრძანებთ, რომ „მე, საზოგადოებრივ საკითხებზე მსჯელობისას არასდროს ვაჩალებდი ნაციონალურ გრძნობებს“. ამაში თქვენ სავსებით მართალი ბრძანებით და იმედია, ვერავინ მოიყვანს ჩემს მიერ ამ მიზნით დაწერილ ვერცერთ სტრიქონს. მაგრამ, რამდენადაც მესმის, საკამათო საკითხი არ გადაწყდება თქვენს მიერ მოტანილი ამონარიდით, რომელიც საკითხის მხოლოდ ერთ მხარეს აშუქებს. რაც არ უნდა მძიმე იყოს ჟურნალისტიკისთვის თავისი აზრების გამეორებითი გადაღეჭვა, თავისი სტატიების ხელახლა ციტირება, ჩვენს საზოგადოებას – არა მხოლოდ მკითხველს, არამედ მწერალსაც – ისეთი მოკლე მახსოვრობა აქვს, რომ უნდა განუმარტო უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის ლიტერატურული მოღვაწეობის ძირითადი, განსხვავებული ხასიათი. ჩემი საქმიანობა მიმართულია სწორი ადამიანური ურთიერთობის დამყარებისკენ 36 ეროვნებას შორის, ჩვენს ქვეყანაში რომ ცხოვრობენ. ჩემი დევიზი იყო და არის მათ შორის სუფევდეს მშვიდობა, თანხმობა და სამართლიანობა. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ მე ყოველთვის ვიყავი კავკასიის ეროვნებათა შორის მშვიდობის დამყარების მომხრე, ყოველთვის ვგმობდი ყოველგვარ გამონაკლისს, საიდანაც არ უნდა წარმომდგარიყო ის. მოვიტან ჩემი ნაწერებიდან ამონარიდს, რომელიც მიმართულია უთანხმოებების მთესველთა წინააღმდეგ, თქვენ მაიძულებთ მოვიყვანო სხვა ციტატები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ეროვნული სიძულვილის ყველაზე საშიშ გამაღვივებლებად მიმაჩნდა ის პირები, 1891-1899 წლებში ტფილისელი სომეხი ამომრჩეველების წინაშე „მწვანე დროშა“ რომ გაშალეს ეროვნული განსაკუთრებულობის მიზნით. ეს ამონარიდები ნათელყოფენ აუცილებელი

ბრძოლის შეწყვეტის საშუალებებს, რომლის ყველა შედეგი, დარწმუნდებით, გავაცანი თქვენს მკითხველებს, მაგრამ მათი აღმოფხვრა ჩემს ძალებს აღემატებოდა.

„ნოვოე ობოზრენიეს“ 1893 წ. 2 თებერვლის ნომერში, სტატიაში „მაღბრუგი სალაშქროდ მიეშურება“ (სერიიდან „გვერდიდან“), მე მოჭრით და თითქმის უხეშად გამოვთქვი ნაციონალისტების პოლიტიკის წინააღმდეგ შემდეგი:

„არა, დამიჯერეთ, „არძაგანკის“ მიერ აფრიალებული დროშა ვერ ნაიყვანს ლაშქარს გამარჯვებისკენ, რამდენადმე სასარგებლო რომ იყოს მოსახლეობისთვის. ეს ძალიან საპატიო დროშაა, მაგრამ არქეოლოგიური თვალსაზრისით, მას სჭირდება მოვლა, დაცვა, პატრონობა როგორც ჭაღარა და წმინდა წარსულის ნაშთს. ასე თითოეული ჩვენგანის ოჯახში შეიძლება ინახებოდეს ძვირფასი ხმალი, ხანჯალი, ჯავშანი... საერთოდ, ეს ყველაფერი არის „Le sabre, le sabre, le sabre de mon pere“, (არიიდან ოფენბახის ოპერეტა „ჰერცოგინა ჰეროლშტეინსკაია“).

ჯერ ერთი, ამგვარი ანტიკეცებით¹ ვინ იწყებს სერიოზულ ბრძოლას? მეორე – ეს სიმდიდრე ყველას თავზესაყრელი აქვს. დროულად თუ უდროოდ საუკუნეების ძვირფასი მტვერი რატომ უნდა ავაფორიაქოთ, რაც ვილაცის განსაკუთრებული საკუთრება კი არ არის, არამედ ისტორიის საკუთრებაა“.

თქვენთვის ჩვეული მიუკერძოებლობა ალბათ გიკარნახებთ, რომ ამ ამონარიდში არც ერთი ხვრელი არ არის, რომელიმე მხარეს განსაკუთრებით რომ აიმედებდეს. მე მიმაჩნდა, რომ აუცილებელი იყო ყოველივე ეს

¹ ანტიკეცი – საკვების ერთგვარი შაქრიანი დანამატი (დ. ჩ.)

კარგად დაემახსოვრებინა კავკასიაში მცხოვრებ ყველა ეროვნებას.

ამასთან, მიემართავდი რა სომხებს, რომლებიც ასე მშვიდად მიჰყვებოდნენ სამსხვერპლოზე მწვანე დროშის მქონეთ, ვნერდი (1893 წ. 12 მარტს, №3167) შემდეგს:

„ბ-ნების მატინოვის და იზმაილოვის საკრებულო განსაკუთრებულობის ახალ გზას დაადგა (იგულისხმება – ეროვნული განსაკუთრებულობა), რადგან ეს გზა ყველაზე იოლია, ყველაზე ბუნებრივად აირჩევს უმრავლესობას საკრებულოში. მაგრამ მან მხოლოდ მექანიკური, უიდეო, უპროგრამო, უსიცოცხლო უმრავლესობა გააჩინა იმიტომ, რომ არავითარ სხვა უმრავლესობას ვერ მიიღებს ჩვენში ვერავითარი გამონაკლისობა, თუნდაც არქი-იდეალური, არქი-მიუმხრობელიც რომ იყოს (იმედია, ეს სავესებით დამტკიცა ტფილისის საკრებულომ 1893-1897 წლებში, უფრო ნათლად კი დამტკიცდება 1897-1901 წლების არჩევნებზე). ყოველგვარი გამონაკლისი, საიდანაც არ უნდა მოდიოდეს, ან მიდიოდეს, ჩვენში მანკიერად მიმდინარეობს – კავკასიის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის გამო – ბუნების ჩვეულებრივი კანონის ძალით მიექანება გალატაკებისა და უმოქმედობისაკენ, რაც ფიზიკაში ცნობილია ძალების პარალელოგრამის სახელით. გულუბრყვილოზე გულუბრყვილო უნდა იყო, ამასთან დიდი უმეცარიც, რომ იოცნებო, – გაქნილობამ კანონს აჯობოს. გაქნილობა კანონს ვერასდროს აჯობებს“. (გვ. 3).

სხვა ადგილას სტატიების იმავე სერიაში („ნოვოე ობოზრენიე“, №3155, გვ. 3) უფრო ნათლად და გასაგებად გამოვთქვი იგივე აზრი, რომლის სრული საფუძვლიანობა ტფილისის ამომრჩევლებმა ნაწილობრივ აითვისეს მწარე გამოცდილებით, უფრო კარგად გაისიგრძეგანებენ

უახლოეს მომავალში. ამას ყოველგვარი სიბოროტის გარეშე ვამბობ, რადგან არაფერ სასიხარულოს მასში არ ვხედავ.

„ყოველგვარი გამონაკლისი, საიდანაც უნდა მოდიოდეს და რა მიზნით აგრძელებდეს გზას, უდაოდ, საზიანოა ასეთი სამშვიდობო სამოქალაქო განვითარებისთვის, იმიტომაც რომ ჩვენში არ არის არანაირი (ეროვნული) საკმაოდ ძლიერი ჯგუფი, რომ განსაკუთრებულ პირობებში იყოს და არ გაისრისოს უგულვებელყოფილი ინტერესების ზეგავლენით“.

იგივე აზრს გამოვთქვამდი დასაწყისში, 1893 წელს უფრო რბილად (იხ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1893 წ., 2 თებერვალი, №3132):

„ახალი, სომხების ერთსულოვანი, ერთგვაროვანი საკრებულო პოლემიკისა და პარტიული ბრძოლის გარეშე, თეთრი ქალაქის ფურცლის მსგავსი იქნება, რომელზეც დამწერი არავინ ეყოლებათ. ამ განსაკუთრებულობის ცალმხრივობის გზა 1890 წლიდან ბ-ნ იზმაილოვის დროშად იქცა, რაც არაფერია სხვა, ნამდვილად არაფერი, გარდა ქიმერებისა და უნაყოფობისა. ეს გზა ცოცხალ და სასარგებლო სამუშაოს არ გულისხმობს იმ ადამიანებისთვისაც კი, ვინც ენერგიული, მცოდნე და იდეურია, სავსეა სურვილით და რწმენით არა მხოლოდ ჩვენი ძმისათვის, რომელიც დამძიმებული და დათრგუნულია არა მხოლოდ წლებით და ზრუნვით, არამედ საჭირო მომზადების არქონით. აი, აქ იწყება მძიმე დანაშაული“: **უძღურების ხელისუფლება** (წინა ამონარიდი). აი, აქ აღმოჩნდება აზრის ორგანული გამოფიტვა (ახალი ამონარიდი), შემოქმედებითი უაზრობა, სისტემატური საქმიანობის უქონლობა და მხოლოდ გაქნილობის უპი-

რატესობა, რაც სრულიად უაზრო გახლდათ. მაშინ სიძველის ქაობში სულ ღრმად და ღრმად ჩამხოვის დროს თავისი უმოქმედობით ნახევრად ჩაძინებული ბ-ნი იზმაილოვი, გაიხსენებს თავისი წარსული საქმიანობის როგორც ნათელ დღეებს, – იმ წლებს, როცა არ იყო ჩაძინებული, არამედ ცხოვრობდა და იბრძოდა (ძველი ამონარიდი) – 1879 და 1891 წლების საკრებულოებში, პირველში იბრძოდა თავიანად ახალი იდეების დანერგვისათვის, მეორეში – სრული ცრურწმენით“.

ყოველგვარი გამონაკლისის უაზრობის მითითების ფონზე, არავის ვუმაღავდი, თუ რატომ იყო ცუდი და საშიში ეს **განსაკუთრებულობა**:

„მზად ვარ დავუშვა – ვწერდი მაშინ – რომ სომხების საზოგადოების ხელმძღვანელები ანთებულები არიან მაღალი მისწრაფებებით. მაგრამ ის გზა, რომელსაც დაადგინენ, უსარგებლოა ამ მხარის მშვიდობიანი განვითარებისთვის და, მომავალში უსათუოდ მოღვაწეების, ხასიათის, საზოგადოებრივი ცხოვრების და მისი ამოცანების დაკნინებამდე მიიყვანს. საბოლოოდ დაყოფა მიაღწევს ეშმაკებამდე: საჭირო გახდება კვარტალების კვარტალების წინააღმდეგ, გვარის გვარის წინააღმდეგ ამხედრება, ერთობლივი გონივრული საზოგადოებრივი ბრძოლის პლატფორმის შემუშავების ნაცვლად, მაშინ საქმეში „ჭუჭყიანი ხელები და ჭუჭყიანი მიზნები გაჩნდება“. („ნოვოე ობოზრენიე“, 1893 წ., 28 თებერვალი, №3153, გვ. 3)

ყოველივე ეს ალბათ წარმატებისთვის არ იწერებოდა: იმდენად გულუბრყვილო არ ვარ, რომ დანგრეული მისწრაფებების ლაგამის ამოდების იმედი მქონოდა. ამის

საუკეთესო დასტურია შემდეგი სტრიქონები, რაც საარჩევნო აგიტაციის დასაწყისში დაინერა:

„უმეტესმა თვითმმართველობებმა, ასეთი არასწორი გააფთრებული სიძულვილით რომ მოეკიდნენ სათათბიროს ქართული ნაწილის შემადგენლობას (1891-1893) პირველივე გამოჩენიდან, თავისი მომხრეები შეიყვანა უხეშ და სატირალ შეცდომაში, რომლის შედეგები აღმოჩნდება უფრო „გაუთვალისწინებელი“, ვიდრე 1890 წლის დეკემბრის მესამე კატეგორიის არჩევნების შედეგები იყო. რასაკვირველია, უსიამოვნოა ახალი ქართველი ადამიანების გამო, რომლებიც ბ-ნმა მატინოვმა უგულვებელყო იმაზე ადრე, ვიდრე ისინი სათათბიროში პირველად მოხვდებოდნენ, ალბათ, არავინ დაბრუნდება სათათბიროში ბ-ნ იზმაილოვისა და იოანისიანის გულზე გასახეთქად. მაგრამ საკითხი ამასში როდია“. („ნოვოეობოზრენიე“, 1893 წ., 2 თებერვალი, №9132, გვ. 2).

შემდეგში სენტიმენტალური მსჯელობა არ გამიმართავს, არამედ პრაქტიკულ ნიადაგზე გავაგრძელებ თხრობა:

„არა, გამოქექილობით, არაკეთილსინდისიერებით, მიკიბულ-მოკიბული ლაპარაკით, სოფიზმით შორს ვერ წახვალ. ამ გზით მოპოვებული წარმატებები არა მხოლოდ დროებითია, არამედ მიძიმე გულგატეხილობის საფუძველიც. მხოლოდ ბრმები შეიძლება შეიყვანო ამ გზით გაურკვევლობაში, რომლებიც მხოლოდ ფრაზებს ისმენენ და ვერ ხედავენ საქმის არსს. თვალხილულები მშვენივრად გრძნობენ რაშია საქმე. ისინი ხედავენ, რა გამოდის სინამდვილეში ტკბილი ფრაზებიდან და მოხერხებული ხრიკებიდან, ხედავენ როგორი რეალური ფაქტებით ვლინდება მათი განსაკუთრებულობა, მათ ქირ-

დებათ არა ფრაზები, არა შეთხზული რწმუნებები, არამედ ხელშესახები, საქმიანი გავლენების და ქმედების სამართლიანი განაწილების გარანტიები, მძიმე ტვირთისა და პასუხისმგებლობის პროპორციული გაზიარება. ჩვენ ყველანი დიდი ხანია გამოვედით ბავშვობის ასაკიდან, რომ დავკმაყოფილდეთ თავ. ბებუთოვის ახლანდელი მეგობრების ტკბილხმოვანი სიმღერით. სიმღერა ჩვენც გვეხერხება, ოღონდ ვმღერით სიყალბის გარეშე, სრულიად გულწრფელად შემდეგ მოტივზე: „არ მწამს დაჯერება, არ მჯერა სიყვარულის, არ შემიძლია ისევ ვენდო ერთხელ მოტყუებულ სიზმრებს“. („ნოვოე ობოზრენიე“, 1893 წ., 12 მარტი, №3167, გვ. 3).

იმავე სტატიის სხვა ადგილას იგივე აზრი უფრო მკვეთრადაა გადმოცემული:

„თუ არ ვარ მართალი, რაში გამოიხატა ჩვენი მონინაალმდეგეების სამართლიანობა ე. წ. გადამთიელი ელემენტების მიმართ. სად არის ის სამართლიანობის დოზა, გავლენის პროპორციული დოზა, რომელიც მათ მიაკუთვნეს ამ ელემენტებს? რას ნიშნავს ფიცი და მტკიცებულება, როცა საქმით ეს ელემენტები დაგმობილნი არიან ყოველმხრივ.“ (იქვე, გვ. 3).

კიდევ ერთი ამონარიდი, ამჯერად ბოლო: სტატია „დვორცოვი“ ნომრების სათათბიროდან“ („ნოვოე ობოზრენიე“, 1893 წ., 6 მაისი, №3218) მიექდვნა ხმოსნების სიის ანალიზს, რომელიც შეადგინეს და ჩაატარეს მოძრაობის ხელმძღვანელებმა, მაშინ ვწერდი:

„ეროვნებები მათში წარმოდგენილია შესანიშნავი შერჩევით... 77 წარმატებული კანდიდატიდან 10 რუსია, 7 – ქართველი და 2 – გერმანელი. პროპორცია, როგორც ხედავთ, არაფრით არ შეესატყვისება ტფილისის მოსახ-

ლეობის ეროვნულ შემადგენლობას. ამ შემადგენლობაში საინტერესოა არა რიცხვი, არამედ წარმომადგენელთა ხასიათი. დასახელებულნი არიან მოსახლეობის არა ავტორიტეტული და საჭირო წარმომადგენელნი, არამედ უმოქმედო, მდუმარე პირები. ქართველებიდან უმრავლესობით წამოყენებულნი არიან პატივცემული დ. ზ. სარაჯიშვილი, რომელიც იშვიათად იმყოფება ტფილისში, მაშინ როცა თავადი ი. გ. ჭავჭავაძე არ არის შეყვანილი „დვორცოვი“ ნომრების“ სიაში და ფიგურირებს 157-ის სიაში, ისევე როგორც რუსულ სიაში არის ბევრი გვარი, რომელნიც არ არიან ცნობილნი საზოგადოებისთვის. აქ მეტია „საქორწინო გენერლები“, რომლებიც თავს არიდებენ სხდომებსაც და მსჯელობასაც. მოსახლეობის ამ ფენის მოქმედი წევრები აღმოჩნდნენ 100-იან სიაში“.

ამ ამონარიდების ბუნებრიობის მიუხედავად, მორალური მორალი უნდა გამოვიტანო, რათა არ გავრცელდეს დამახინჯებული თვალსაზრისი.

ჩემი პროპაგანდის ძირითადი მორალია, ძმობისა და მშვიდობიანი თანაცხოვრებისაკენ მოწოდება ჩვენ მხარეში მცხოვრებ ყველა ეროვნებისადმი, სამართლიანი – ე. ი. რიცხობრივი, მათ შორის უფლებების და ტვირთის განაწილების პროპორციულ საფუძველზე. თქვენ ხედავთ, რომ არც ერთი ნაბიჯით არ დავშორებივარ ამ თვალსაზრისს, რომლის დავინწყება შეეძლოთ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც არ იყვნენ მზად თავისი ეროვნების და თაობის ხელმძღვანელის მიძიმე და საპასუხისმგებლო როლი ეკისრათ. თქვენს მიერ მოყვანილი ამონარიდი (№4522) ჩემი 1875 წლის სტატიიდან, რომელიც მე გავიმეორე 1893 წელს, გამოხატავს ჩემი პროპაგანდის ერთ მხარეს. დიახ, მე ვურჩევდი და დღესაც

ვურჩევ, ნუ გავაჩალებთ ჩვენს მხარეში მცხოვრებ ერთა შორის შუღლს და მტრობას, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ რჩევის აღსრულება შეიძლება მხოლოდ იმ აუცილებელი პირობის დროს, რომ თითოეული ეროვნება გააყენთილი იქნება პატივისცემით როგორც თავის, ისე მეზობლების უფლებების მიმართ და არავითარ შემთხვევაში არ ხელყოფს არავის ღირსებას და საკუთრებას. როდესაც ძმებს შორის, მეზობლებს შორის ქონებრივი გაუგებრობანია, მაშინ ყველა, ვინც მათ მშვიდობას და ბედნიერებას უსურვებს, მშვიდობიანი თანაცხოვრების ქადაგებით კი არ აყრუებს მათ, არამედ კანონიერი გაყოფის სამართლიან და ჭკვიანურ პროექტს სთავაზობს. მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა ძმათაგანმა, ვინც ვერ დაკმაყოფილდა თავისი ლომის წილით, დაუშვა გამოთიშულიყო თავისი თანამონაწილის საზოგადოებიდან (როგორც 1893 წელს მოძრაობის ხელმძღვანელებმა დაითხოვეს მხოლოდ ქართველები „დგორცოვი“ ნომრების“ წინასწარი თათბირებიდან) და ამის შემდეგ სომხების მთელი საზოგადოება, როგორც ერთი, გაჰყვა მძიმე სამართალდამრღვევ ავტორებს, ქართველებს მიმართეს ნაციონალური ანგარიშების დავინწყების მონოდებით, და წყენა შეაზავეს გამასხარავებით, ამის შემდეგ თქვენ ფუჭად მომანერთ ასეთ პოლიტიკასთან სოლიდარობას. ასეთ მდგომარეობაში მოუწოდო ბრძოლის შეწყვეტა იმის წინააღმდეგ, ვისი წმინდა უფლებები შეგინებული და დარღვეულია, ან ბრმა უნდა იყო, ან სხვები მიგაჩნდეს იდიოტებად, რაც ერთნაირად საძრახისია. ასეთ მდგომარეობაშია ყველა ნამდვილი მიუკერძოებელი ადამიანი, ყველა, ვისთვისაც ნამდვილად ძვირფასია ქვეყნის სამოქალაქო განვითარების ინტერესები, რომლებიც მოუწოდებენ

სისხლხორცეული ინტერესებისადმი ქიმერისტულ მიდგომას და არა თანამონაწილეთა უფლებების და მოვალეობების შესასრულებელი გეგმის გამიჯვნას.

ჩვენი უბედურება ის არის, რომ არა მხოლოდ ბრბოს, არამედ ინტელიგენციის ხელმძღვანელები არიან არა მხოლოდ ამ მაღალი როლისთვის შეუმზადებელი ადამიანები, არამედ სრულიად უმწეონი, რომ დაინახონ თავიანთი ცხვირის იქით რამე. მათ არ იციან, რომ ჩვენს მდგომარეობას არაფერი საერთო არა აქვს იმ ხალხებისა და ქვეყნების მდგომარეობასთან, რომელთა შინაგანი ცხოვრების კოპირებას ეს საცოდავები ცდილობენ სუფთა მაიმუნური ხელოვნებით. ისინი ვერ ხედავენ კავკასიაში, ვისიც არ უნდა იყოს გამოუვალ, განუხორციელებელ ჰეგემონიას. მათ არ ესმით, თავისი თემის წარმომადგენლებს ასეთ უაზრო მიზნებს რომ უსახავენ, სწორედ ამით დაკნინებისკენ უბიძგებენ და საერთო ცხოვრების კანონების მიღმა აყენებენ. ამ გზით ისინი მიჰყავთ დალუპვისაკენ და არა პროგრესისაკენ, რაც ადგილობრივი საზოგადოების კეთილგანწყობილი ნაწილისაგან უკვე იგრძნობა. ზუსტად ისე, როგორც ქონებრივ და მიწის უფლებებში კაცობრიობამ მთელი თავისი არსებობის მანძილზე ვერ მოძებნა ვერავითარი გზა მოქალაქეებს შორის მშვიდობის დასამყარებლად, გარდა მიჯნის გავლებისა, პოლიტიკაშიც არაფერი სხვა არ არის მოფიქრებული – არც შეიძლება მოეფიქრებიათ რამ – გარდა ყველა ეროვნების პროპორციული წარმომადგენლობისა, მათ შორის პროცენტული შესაბამისობის არსებობით, მთელი მოსახლეობის საერთო რიცხვთან შეფარდებით. ამ პრინციპს თუ გამოიყენებდა ტფილისის საქალაქო სათათბირო, შემდეგ შედეგს მიი-

ლებდა: მოვიხმობ 1886 წლის ოფიციალურ ციფრებს, როდესაც ტფილისის მოსახლეობა 78.445 იყო:

ეროვნებები	სულადობა	%	ხმოსნები
1. სომხები	37.442	47	36
2. ქართველები	21.576	28	21
3. რუსი, პოლონელი, გერმანელი	16.564	21	16
4. ებრაელები	1.584	2	1
5. თათრები	1.287	1	1

ამ პრინციპით სომხებს ტფილისის სათათბიროში 36-37 ადგილი ეკუთვნოდათ, ეხლა ისინი 56 ადგილს ფლობენ, ე.ი. ისეთი უმრავლესობით სარგებლობენ, რისი უფლებაც არა აქვთ ტფილისში მცხოვრები ეროვნებების ფონზე. მთელი საქმეც ესაა. ჩვენ არავის უფლებას არ ვზღუდავთ, არავის როლს არ ვაკნინებთ და არავის არსაიდან გარიცხვას არ ვცდილობთ, მოვუწოდებთ უფლებისა და მოვალეობის სამართლიან განაწილებას ყოველი ეროვნების პროპორციული, პროცენტული შემადგენლობის მიხედვით მოსახლეობის საერთო რიცხვის გათვალისწინებით. ასეთი პრინციპის წინააღმდეგ ამხედრება მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ, ვინც სხვის ღირსებას ითვისებს, უფლებამოსილებას, სამართლიანობას, მშვიდობას და შრომას კი არ აფასებს, არამედ მხოლოდ სიხარბე ამოძრავებს.

ვიცი, იტყვიან, ანგარიშიანობისთვის უპრიანია მოატყუონ გულუბრყვილო სოფისტიკოსები: „რა შუაშია მოსახლეობა? მთავარია სახლისმფლობელთა ცენზი. ჩვენ უფრო მეტი სახლი გვაქვს, ვიდრე რუსებს ან ქარ-

თველებს“. დროა დაიგმოს ასეთი „სისულელები“. სახლები ტფილისში ეკუთვნის არა სომხებს, ან რუსებს, ან ქართველებს, არამედ ტფილისის სათავადაზნაურო-სა-ადგილმამულო ბანკს და ტფილისის საქალაქო საკრედიტო საზოგადოებას, უფრო ზუსტად – ამ საკრედიტო დაწესებულებების დაგირავებული ფურცლების და ობლიგაციების მფლობელებს.

სახლის მფლობელებს, რომლებსაც არ დაუგირავებიათ ქონება, იმაზე მეტი უფლება არ გააჩნიათ, ვიდრე საქალაქო ამკრებებს თავიანთი მობინადრების მიმართ, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქალაქო მეურნეობის კეთილმოწყობით, განათებით, ქალაქის განათლებით და გაჯანსაღებით. ამიტომ პროპორციულობის საფუძვლად უნდა მოსახლეობას მივმართოთ და არა დაგირავებული და გადაგირავებული სახლების მითიურ ძალას.

მთელი არსებით ვამტკიცებ, რომ ჩვენი მხარის არა მხოლოდ საზოგადოებრივი, არამედ კერძო ცხოვრებაც ვერ ეღირსება მშვიდობას და წესრიგს მანამდე, ვიდრე პროპორციული წარმომადგენლობის პრინციპს არ შევისისხლბორცებთ თითოეული ჩვენთაგანი, ვიდრე ის არ დაედება საფუძვლად „საქალაქო დებულების“ მომავალ რეფორმას (რასაკვირველია, მხოლოდ ჩვენი მხარის გათვალისწინებით). მაშინ მხოლოდ, როდესაც გამიჯნული მინის მფლობელების მსგავსად, აქაურ ეროვნებებში არ იქნება იმის შიში, რომ დაკარგავენ თავის სისხლისმიერ საკუთრებას, როდესაც კანონი და ხელისუფლება იქნება ყველას უფლებისა და მოვალეობის დამცველი, თითოეული მხარე თავისი გავლენის ნებისმიერ სფეროში უდრტვინველად აირჩევს თავის საუკეთესო წარმომადგენ-

ლებს, იმის რიდით, რომ მთელი ნაცია არ განითლდეს მათი წარმომადგენლების სისულელის თუ მოუშზადებლობის გამო ხალხთა ტურნირში.

ასე არჩეული ხმოსნები ნახავენ რა პროპორციული წარმომადგენლობის კანონში „წესიერების ზღვარს“, აღარ იფიქრებენ, რომ ვილაცის დაშინებას შეძლებენ, თავბრუს დაახვევენ, გააცურებენ, დააბეჩავებენ. იმის ნაცვლად, რომ ასეთ არაკეთილშობილურ და არასასიკეთო საქმეს წაუძღვნენ, ისინი იძულებულნი იქნებიან თავიანთი ცოდნა და უნარები გამოიყენონ მშვიდობიან შეჯიბრში ურთიერთმეტოქე ეროვნებათა წარმომადგენლების კეთილდღეობისათვის. მხოლოდ ასეთ პირობებში საზოგადოებრივი ბრძოლა ჩვენს თვითმმართველობაში მოიტანს დადებით შედეგს. ამ პრინციპის გარეშე ჩვენში შესაძლებელია არა მხოლოდ ნებისმიერი თვითმმართველობა, არამედ საერთო ცხოვრების არსებობა.

მე პირადად, უფრო მეტად, ვიდრე 1893 წელს, შორს ვარ იმისგან, რომ გავლენა მოვახდინო წლევეანდელი არჩევნების ბედზე. როგორც არ უნდა იყოს ამ არჩევნების შედეგები, მას არ შეუძლია ჩვენ მოგვანიჭოს ის მშვიდობა, რაც ყველასთვის აუცილებელია, ეს არჩევნების საქმე კი არ არის, არამედ კანონმდებლობის საქმეა და ჩვენი პრესა არ უნდა უმაღავდეს ხელისუფლებას ამ ჭეშმარიტებას.

X. ქალაქის თვითმმართველობის ორგანული ცოდვები¹

ბოლოსდაბოლოს საათმა ჩამოკრა, როდესაც ახლანდელი ტფილისის საქალაქო თვითმმართველობის წარმომადგენლები იმის შეგნებას იწყებენ, რომ ისინი არა მხოლოდ მოქალაქეების საზოგადოებრივი აზრის წარმართვას ვერ ახერხებენ, არამედ ნამდვილად არ შეუძლიათ მათი ხელმძღვანელების იმედის, დაპირებების და მოვალეობების აღსრულება. მათ არ გააჩნიათ არც პროგრამა, არც წარმმართველი. მაგრამ ჭკვიანებს, ძლივს რომ გაარკვიეს ეს სინამდვილე, მაინც არ შეუძლიათ ამალდნენ იმის გასაგებად, რომ ბოროტების სიღრმე და გაუგებრობა მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ ეს თვითმმართველობა ვერ შექმნის სერიოზულ პროგრამას და ვერ იყოლიებს საჭირო მეთაურებს, ვიდრე „არსებობს ამჟამინდელი „ქალაქის მდგომარეობა“, ან ის „განსაკუთრებული“ განწყობილება, რაც დაეუფლა ადგილობრივ სომეხ საზოგადოებას 1890 წლის დეკემბრის არჩევნების დროიდან. მხოლოდ გ. გ. ევანგულოვს დაბრალდეს წარუმატებლობის და გაუგებრობის მთელი პასუხისმგებლობა, ამომრჩეველთა ანგარიშით შეიძლება ძალიან მართებულია, მაგრამ იმიტომაა უსამართლო, რომ არავის მისი მოწინააღმდეგეებიდან არ წარუდგენია ის საწინააღმდეგო პროგრამა, რამდენადმე რომ შეძლებოდა ხმოსნების უმრავლესობის შეკავშირება და ქალაქის მოსახლეობის დამშვიდება. ვგულისხმობ სერიოზულ, განხორციელებად პროგრამებს, და არა ბავშვურ ტი-

¹ „კავკაზი“, 1899 წ., №18 და 19

ტინს, და სხვადასხვა ასარჩევი მანიფესტებიდან ამოკრებილ შაბლონურ ფრაზებს, რომელთა დანიშნულება ქარის დაჭერაა. თვითმმართველობის დღევანდელი პირობები რომ იძლეოდეს რომელიმე გონივრული პროგრამის წარდგენის საშუალებას, ქალაქის თავის სავარძლის მადიებლების ასეთ უხვ მსურველთა შორის დღემდე არ აღმოჩნდებოდა ადამიანი, ვინც არა მხოლოდ ყუთს დადგამდა, არამედ დროშასაც ააფრიალებდა? რომ შექმნილიყო და განხორციელებულიყო ასეთი პროგრამა ჩვენი მოღვაწეების ხელისუფლების დროს, რით უნდა ახსნილიყო ადგილობრივი თვითმმართველობის ჩაფლავება ყველაფერში? რატომ გაიქცა 1891 წელს მატინოვი თანამდებობიდან? რატომ მიბაძა მას ერთხელ კი არა, ორჯერ თავ. ნ. ვ. არგუტინსკი-დოლგოროუკოვმა? გარდაცვალებამდე დიდი ხნით ადრე რატომ დაეცა სულით და ხელები ჩამოუშვა პ. ა. იზმაილოვმა? ამჟამად გ. გ. ევანგულოვი, როგორც იაგუარი სამხეცეში, ჭკუას რატომ კარგავს თავისი უძღურების შეგნებით? ისინი და მათი წინაპრები დავიწყების მორევეში რატომ არიან ჩაფლულნი არა მხოლოდ არჩევის, არამედ დანიშნულების გამო? ნუთუ, ეს ერთნაირი მოვლენების მთელი წყება იმაზე არ მეტყველებს, რომ მათი საფუძველია ერთი საერთო მიზეზი?

ეს მიზეზი ძალიან მძიმეა. დავიწყოთ იმით, რომ არა მხოლოდ ტფილისში, მთელს რუსეთში – პეტერბურგისა და მოსკოვის ჩათვლით – საქალაქო თვითმმართველობამ ვერ გაამართლა იმედები. ის პროგრესულია რეფორმამდელი პოლიციური ტიპის საქალაქო მეურნეობასთან შედარებით, მაგრამ ევროპის ჩამორჩენილი ქვეყნების ქალაქების თვითმმართველობის მიერ მიღწეულ-

თან შედარებით, ვერ უძლებს ვერანაირ კრიტიკას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ქალაქი ლამაზად არის მოწყობილი, როგორც კიევი ან ოდესა, ქალაქში არის ელექტროგანათება, ელექტროტრამვაი, პირველი კლასის თეატრები და ა. შ., გაივლის ათეული წლები, მაგრამ რუსეთის ქალაქების „მონინავეები“ ვერ გაუტოლდებიან ევროპული საშუალო ქალაქების თვითმმართველობას საერთო მშენებლობის და რეჟიმის კუთხით და ეს მხოლოდ იმის გამო, რომ ქალაქის მეურნეობის ხელმძღვანელობა კანონის მიხედვით ჩაბარებული აქვს იმ ფენებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მთელი მოსახლეობის კეთილმოწყობის განვითარებით. ჩვენთან, რუსეთში კი, სრულიად სანინააალმდეგო ხდება, რომ ქალაქში არ იყოს არც წესრიგი, არც ზედამხედველობა, არც განათლება და არც კეთილმოწყობა.

1892 წლის „საქალაქო დებულების“ საარჩევნო კანონი ეკუთვნის მხოლოდ ბინათმფლობელებს (ისიც ყველას კი არა, უფრო მსხვილებს) და პირველი და მეორე გილდიის ვაჭრებს, ევროპაში ასეთი შეზღუდულობა პრაქტიკაში იყო გასულ საუკუნეებში, დიდი ხანია ის ჩაბარდა არქივს, როგორც მიზნის მიუღწეველი და ძირითადად ქალაქის მმართველობის კეთილმოწყობის ხელისშემშლელი რამ. იგი შეიცვალა ხმების საყოველთაო მიცემით, ან ქალაქის მოსახლეობის ყველა ცივილიზებული ფენისთვის საარჩევნო წესის ხელმისაწვდომობით, როგორც „საქალაქო დებულების“ წესებშია განმარტებული, ამ კანონპროექტის ავტორები ხელმძღვანელობდნენ ალბათ სერიოზული მისწრაფებით, დაეცვათ საქალაქო წარმომადგენლობა ექსპლოატატორების მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდების საშიშროებისგან ხალხის სიბნე-

ლის გაუგებრობის შეკავშირებით, ან შეუგნებელი ხალხის დაშინებით. ამ აზრიდან გამომდინარე, ეს ავტორები თვლიდნენ, რომ მხოლოდ მსხვილი ქონების პატრონები და ვაჭრები არიან რუსულ ქალაქებში საიმედო და შეგნებული მოქმედი ძალა, რომელზეც უნდა დაეფუძნოს საქალაქო თვითმმართველობის ძალისხმევა, მაგრამ საკითხის ამგვარად დაყენების შემდეგ ჩანს, რომ თავისი ინტერესების შეგნება და მისი თანმიმდევრული მსახურება, უსათუოდ მიიყვანს ქალაქის თვითმმართველობის ფენებს, რომლებსაც ევალებათ ხელმძღვანელობა, სრულიად ცალმხრივი და გამორიცხული მიმართულებით წარმართონ ჩაბარებული მეურნეობა. ამ ფენებს, ძალიან კარგად რომ აითვისეს საკუთარი ინტერესები, არ შეეძლოთ და არც ახლა შეუძლიათ, როგორც ჩანს, არ შეეცყოთ, რომ მინათმფლობელის და ვაჭრის პირდაპირი მოგება ითხოვს იმის ცოდნას, რომ ქალაქის კეთილმოწყობასა და მის სანიტარულ მოვლაზე უნდა დაიხარჯოს ძალიან ცოტა სახსარი, ყველა ეს დანახარჯი და ზრუნვა უწინარესად ბინათმფლობელისა და ვაჭრის ჯიბეს აზიანებს, სხვას არავის. ქალაქში რაც მეტია სისუფთავე, სინათლე, სკოლა, წესრიგი, სიჯანსაღე, ზედამხედველობა – მით მეტის გადახდა ევალება ბინათმფლობელს და ვაჭარს. თუმცა ამ დანახარჯებს ისინი იხდიან ბინის დამკირავებლებისა და მყიდველებისგან აკრეფილი თანხით, მაგრამ მათ ჯიბეში მოხვედრილ ფულს ისინი საკუთრებად აღიარებენ და საქალაქო სალაროს ყოველ მოთხოვნას მათი ქონების ნაწილის მითვისებად თვლიან. ეს ბინათმფლობელები და ვაჭრები, ამასთან, მთელი ძალით დაინტერესებულნი არიან, რომ არავინ არ მოთხოვოს მათ „ზედმეტი ხარჯის“ განევა მოსახლეობის და მყიდ-

ველების მიმართ სანიტარული წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისათვის. ამიტომ, რამდენადაც ეს მათზეა დამოკიდებული, ისინი ყველგან სერიოზული სანიტარული წესრიგის დამყარების წინააღმდეგნი არიან, ხოლო სადაც უკვე არსებობს ეს სანიტარული წესრიგი, მათ ხელმძღვანელად ისეთ პირებს ირჩევენ, ზედამხედველობა უბრალო ფორმალობად რომ გადააქციონ. ის ფენები, ვინც მთელი არსებით დაინტერესებულნი არიან ქალაქის კეთილმოწყობით, რომ ქალაქში არ იყოს უსუფთაობა, რომ ამ ქალაქში ცხოვრება არ იყოს ძვირი, რომ ბავშვებს შეეძლოთ სკოლაში სწავლა, ავადმყოფებს – საავადმყოფოში მკურნალობა, რომ ჯანმრთელობა და კეთილდღეობა ყველასი გარანტირებული იყოს ყოველმხრივ...

საარჩევნო უფლების შეზღუდვა შეუძლებელია მძიმედ არ ასახულიყო „საზოგადოებრივი მეურნეობის“ მიმართულებასა და გაძღოლაზე. რუსეთში ყველგან იმ მდგომარეობაშია ეს „მეურნეობა“, რომ არც უცხოურს შეედრება, არც რუსეთში შექმნილ ერობის დანესებულებებს გზების მოწყობის, სამედიცინო დახმარების, სახალხო განათლების, კრედიტის, მრეწველობის განვითარების კუთხით და ა. შ. ყოველგვარი სირცხვილის, ყოველგვარი ლაგამამოდების გარეშე ქალაქის მცხოვრებთა უმეტესობის ანგარებიანმა ფენებმა, მიიღეს რა თავის განკარგულებაში საქალაქო მეურნეობა, ყველგან დაიწყეს თავის სასარგებლოდ იმ თანხის განკარგვა, რომელსაც ქალაქის სალაროში უნდა მოეყარა თავი ქალაქის მეურნეობის ყველა მხრიდან. განა გასაკვირია ამ ვითარებაში მოქალაქეთა უმეტესობის ინტერესები და მდგომარეობა ყველგან პლუტოკრატიის გამორჩენას და კაპ-

რიზებს, ანუ „მდიდრების მმართველობას“ რომ ენირება? აზრიანია განა, რომ ეს მდიდრები დაინტერესებულნი არიან, რომ შემცირდეს ქალაქის შემოსავლები, არ განხორციელდეს სანიტარული სამსახური, გაუქმდეს სახალხო განათლება (როგორც უვიცი მასების ექსპლოატაციის ხელისშემშლელი), ნაცვლად იმისა, რომ სერიოზულად და ჭეშმარიტად უნდოდეთ ქალაქის შემოსავლების გაზრდა, ხალხის ჯანმრთელობის უზრუნველყოფა, ქალაქის განათება, მისი სისუფთავისა და წესრიგის განხორციელება და ა. შ.? ამ ფენების და მათი წარმომადგენლების ერთადერთი საზრუნავია, მთავრობას სთხოვონ, ერთის მხრივ, თავიანთ ქალაქში ჯარის ამა თუ იმ ნაწილის განლაგება, სახლების შემოსავლის და მაღაზიების ვაჭრობის გაზრდა, ამ მოღვაწეების მედლით ან ორდენით დაჯილდოება ერთგულებისათვის, სხვა ყველაფერი წყალსაც წაუღია.

აი, რუსეთის შიდა ნაწილის საქალაქო თვითმმართველობის მდგომარეობის სურათი. ყველა მცოდნეა მდგომარეობის, ყველა, ვისაც ესმის ამ შეფერხების მიზეზები და ეძვირფასება პროგრესის ინტერესები, ერთსულოვანია, რომ სიბოროტე შეიძლება დაიძლიოს ერთადერთი საშუალებით – თუ ინტელიგენციას გაეხსნება ფართო გზა საქალაქო მეურნეობის წარმართვაში მონაწილეობისა. ეს – აუცილებელი, შეუქცევადი რეფორმა, რასაც თვით ცხოვრების მიმდინარეობა აყენებს, თუ დღეს ვერ განხორციელდა, აუცილებლად განხორციელდება ხვალ, რადგან ამ მიმართულებით სვლა და ისევ იმ სიბოროტის ატანა, შეუძლებელია.

მაგრამ თუ ეს სიბოროტე დიდი და აუტანელია რუსეთის შიდა გუბერნიებში, სადაც ბინათმფლობელები და

ვაჭრები სხვა მოსახლეობასთან არის გაერთიანებული, მაშინ საკითხავია, რა სახის გაუსაძლისი უსამართლობის ზომები უნდა მისწვდეს ზეცას იმ გარეუბნებში, სადაც ვაჭრობას ადგილობრივები კი არა, არამედ გადამთიელები და უცხოელები უძღვებიან, რომლებიც არ არიან დაინტერესებულნი მათ მიერ ექსპლოატირებული ქალაქების ზრდით, განვითარებით და კეთილმონყობით, არამედ, პირიქით, სურთ ადგილობრივი მცხოვრებლები ჰყავდეთ თავიანთი მოგებისათვის უმეცრებასა და დამონებაში? აქ უფრო მეტად, ვიდრე რუსეთის შიდაგუბერნიებში, აუცილებელია სერიოზული ზომების მიღება საქალაქო და საზოგადოებრივი საქმეების დასაცავად საქალაქო სამმართველოში რომელიმე განსაკუთრებული ჯგუფების ან ინტერესების გაბატონებისაგან.

ზოგიერთი ჩვენი ჟურნალისტი, ვფიქრობ, – მხოლოდ აზრის უმწიფრობის გამო და არა ბოროტი ზრახვისგან – წინ და უკან ამტკიცებს, რომ სიბოროტე, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, სხვა არაფერია, თუ არა თანამედროვეობის საერთო მოვლენა, კაპიტალიზმის გამოვლინება, რომ ეს კლასობრივი ბრძოლაა მესამე წოდებისა მეოთხესთან. ასეთია მდგომარეობა რუსეთის შიდა ქალაქებში, ჩვენთანაც, ამიერკავკასიაში, „კაპიტალიზმის“ და „მესამე წოდების“ ამ გამოვლინებას, უთუოდ, აქვს ადგილი. მაგრამ ჩვენში ეს მოვლენა გართულებულია სხვა ამბებით. იმის გამო, რომ ევროპაში დულს „კლასობრივი ბრძოლა“, არავინ, ვინც იცნობს ისტორიას, ვფიქრობ, არ გამორიცხავს, რომ ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ იმავე ევროპაში ბრძოლები ქუხდა არა ამ „კლასობრივ ნიადაგზე“, არამედ სრულიად სხვა – ნაციონალურ ნიადაგზე. ამაზე ადრე, ნაციონალისტური ანტაგონიზმის დამკვიდრებამდე,

იგივე ევროპა სისხლით იცლებოდა ბრძოლებისაგან რელიგიურ ნიადაგზე. თანამედროვე ევროპის მდგომარეობას ვინც იცნობს, ვერ უარყოფს, რომ ამჟამადაც მოიპოვება ევროპაში ქვეყნები, – ჩვენზე ნაკლებად განათლებულნი რომ არ არიან, – სადაც ბრძოლა ერთდროულად სამ სხვადასხვა პრობლემას ეფუძნება – კლასობრივს, ეროვნულს და სარწმუნოებრივს. საკმარისია დავასახელოთ ავსტრია და მისი განათლებული ქალაქი ვენა, რომ დავრწმუნდეთ, ჯერ ძალზე ადრეა არქივს ჩააბარო ყველაფერი, როგორც ჩამქრალი ვულკანები, კაცობრიობის განვითარების და საერთაშორისო შეტაკებების ისეთი იარაღი და ფაქტორები, როგორიცაა ეროვნება და რელიგია. მათ ჯერ კიდევ დიდხანს მიაქცევენ ყურადღებას სახელმწიფო პირები.

ჩვენი მხარე ამ მხრივ ძალიან ჰგავს ავსტრიას. რუსეთის სახელმწიფოს თანამედროვე ცხოვრებაში სწორედ იმიტომ გვიჭირავს ევროპაში ავსტრიის მსგავსი როლი, ჩამორჩენილნი ვართ, პროგრესთან მწყრალად ვიმყოფებით, „ჩაფლულნი ვართ უსუფთაო წვრილმან აზრებში“, ავსტრიის მსგავსად, ჩვენ არ გვაქვს გამოვლინების ძალა, არ გაგვაჩნია შეკითხვები, არ მოგვეპოვება კუთხე და საქმეები, რომლის გარშემო ერთდროულად არ მიმდინარეობდეს როგორც კლასობრივი, ისე ეროვნული და რელიგიური ბრძოლა. აქ ეს ბრძოლა სწორედ იმიტომაცაა სავალალო, იმიტომაც აღემატება ადამიანური და მხარის ძალების სიდიდეს, რომ კლასობრივი მადა იმუხტება რასობრივი და სარწმუნოებრივი ძალით და პირიქით, ამ უკანასკნელებს აძლიერებს კლასობრივი ძალა, ე. ი. მატერიალური, კაპიტალისტური. ევროპაში განათლებული ინტელიგენტები არ მალავენ, თუ როგორი ძნელია მათთვის სახელმწიფო ხე-

ლისუფლების და კანონმდებლობის დახმარების გარეშე გაუმკლავდნენ კაპიტალისტურ წყობასთან ბრძოლას. ძნელი როდია გაიაზრო, როგორია ინტელიგენციის მდგომარეობა, როცა კაპიტალისტური ძალის გარდა სხვა ორიც არის გამოკვეთილი, არანაკლებ საშიში და მომაკვდინებელი, – რასობრივი და რელიგიური?

სოფისტები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან დაფარონ აქაური ბრძოლის ჭეშმარიტი ხასიათი და ნამდვილი სიდიდე, უფრო მეტს აკეთებენ, ამტკიცებენ, თითქოს ჩვენ ვართ კლასობრივი ბრძოლის მომხრეები: ისინი ამტკიცებენ, რომ ეს ჩვეულებრივი ამბავია ნამყვანი პარტიის გამარჯვებისა ოპოზიციაზე. ეს ასე იქნებოდა, რომ გამარჯვებულთა შორის, პირველ რიგებში, არ ვხედავდეთ კაპიტალისტური წყობის წარმომადგენლებთან ერთად ამ წყობის ისეთ მონინააღმდეგეებს, როგორებიც არიან თავადები ნ. ვ. და ა. მ. არგუტინსკი-დოლგორუკოვი, ოპოზიციის ისეთი მეთაურები, როგორებიცაა მ. ი. თამამშევი და ა. ა. შახ-აზიზოვი. საკმარისია ამ გვარების დასახელება, რომ დავამტკიცოთ, ჩვენში ეს ბრძოლა არა თუ კლასობრივი ან პარლამენტარულია, არამედ უმძიმესია. ეს ფაქტი სრულიად კანონზომიერია, ბუნებრივია, სავსებით აუცილებელია. რატომ უნდა დავმალოთ, დავფაროთ ან ნილაბი ავაფაროთ?

ამიერკავკასიის ქალაქები, ამდენად, ძლიერ განსხვავდება რუსეთის ქალაქებიდან მათში წარმოებული ბრძოლის სიმძიმით და ინტენსიურობით. მათი მოსახლეობა მკვეთრად განირჩევა რუსეთის ქალაქების მოსახლეობისაგან თავისი შემადგენლობის მოზაიკურობით, ჩვენში არ არის ერთი ეროვნული შემადგენლობის მასსა, არამედ მექანიკური ურთიერთობაა რამდენიმე პიროვნებისა,

რომლებიც გვერდიგვერდ ცხოვრობენ, თითოეული თავისი განსაკუთრებული ცხოვრებით, ხშირად ერთმანეთის მისწრაფებების გაუგებრობით და სალაპარაკო ენის შეუცნობლობითაც. მათ შორის, გასაგებია, ომია, სამწუხაროდ, არც კანონით, არც ხელისუფლების რეგულირებით, რასაც საქმე საბოლოოდ გააფთრებულ, ეროვნულ სიძულვილამდე მიჰყავს. არადა, კანონის ფარგლებში თუ იქნებოდა ეს ბრძოლა, უთუოდ, ადგილობრივი მოსახლეობის სერიოზული ეკონომიური და მორალური განვითარების წყაროდ და ფაქტორად შეიქნებოდა, რითაც ხელი შეეწყობოდა და ხელი არ შეემლებოდა ამ მხარის კეთილდღეობას. სიბოროტიდან მისი გამოყვანისათვის საკმარისია მიწისქვეშოდან დღის სინათლეზე გამოვიყვანოთ ის დაწესებულებები, რომლებიც აწესრიგებენ ადგილობრივ ცხოვრებას მტკიცე და შეუცვლელი სანყისით – „თვითეულს თავისი“. როგორც ჩვენი მრავალწამებული მხარის პირადი და ქონებრივი ურთიერთობა, მშვიდობისა და მოქალაქეობის მნიშვნელოვანი დოზა დაფუძნდა სასამართლოების შემოღებით, მიჯნის გავლებით, დაცვის დაწესებით და ა. შ., მასებში შეგნების „ყველას თავისი“ პრინციპის შეტანით; ასევე, ჩვენში ბევრი ეროვნების გვერდიგვერდ საერთო ყოფნით. მაგრამ მას შემდეგ, რაც მათ შორის შეიქმნა დაძაბულობა და უთანხმოება, დამშვიდება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა საყოველთაო შეგნებაში გაჩნდება რწმენა, რომ არავის მიღწევა, არავის უფლებები, არავის მიერ დაუსჯელად მითვისებული, ან მოპარული არაფერი ივარგებს. სამოქალაქო კანონების გამოცემა, პოლიციის დაწესება, სასამართლოს შექმნა, მიჯნის გავლება, მიჯნის ნიშნების შემოღება პატიოსანი ადამიანების გალიზიანებას, შეურაცხყოფას, მრისხანებას,

შეზღუდვას კი არ იწვევს, პირიქით, მან ნათელყო და გაამაგრა თითოეული ხალხის უფლებები, დაამშვიდა მათი პანიკური შიში, მისცა საშუალება მშვიდად ემუშავა თავისი კეთილდღეობის გაზრდისათვის. იგივე იქნება ჩვენთანაც ეროვნებათაშორისი განხეთქილების და შეტაკების სფეროში...

საარჩევნო სისტემის თანამედროვე პირობებში ამჟამად მოქმედი „სამოქალაქო დებულების“ (არჩევნები სიების მიხედვით) საფუძველზე აღმოჩნდა ის გაუგონარი უსამართლობა, რომ ეროვნებას, რომელსაც ეკუთვნის არა თუ უმრავლესი, არამედ მხოლოდ ნახევარი ასარჩევი ხმებისა, ადვილად შეეძლება არ დაუშვას საქალაქო სათათბიროში არც ერთი წარმომადგენელი ყველა სხვა ეროვნებიდან, ან აირჩიოს ხმოსნად ის პირები, რომლებიც არ არიან თავიანთი ეროვნების წარმომადგენელი, არამედ არიან რენეგატები და პირადი განდიდების მაძიებელი. ასე მოხდა ტფილისში, ბათუმში, ქუთაისში, ახალციხეში, ერევანსა და ა. შ. 1892 წ. „საქალაქო დებულების“ შემოღების დროს (თითქმის მთელს ამიერკავკასიაში). ცოტა სიბოროტე როდია, როცა მხოლოდ ერთ ეროვნებას უგდებ ხელში ქალაქის ხელმძღვანელობის საქმეს, იმ ქალაქისა, რომელშიც ცხოვრობს მრავალეროვნული მოსახლეობა, ურთიერთსაწინააღმდეგო, მაგრამ ერთნაირად კანონიერი და პატივსაცემი ინტერესებით და მისწრაფებებით, რაც ხელმძღვანელობაში მყოფთ ფაქტობრივ უფლებას აძლევს, არ დაუშვან საქალაქო სათათბიროში უმცირესობათა წარმომადგენლები. ამრიგად, ასე ირღვევა და საქმით ნადგურდება მოქალაქეთა მთელი კატეგორიის საზოგადოებრივი საქმეების და ქონების ხელმძღვანელობის უფლებები სამმართვე-

ლოზე კონტროლის საქმეში. ნახევარი, უფრო ზუსტად, ქალაქის გადასახადების და ასაკრებების ნახევარზე მეტი გადამხდელი რჩება ყოველგვარი გავლენის მიღმა და, შესაბამისად, საერთო და გაუყოფელი ქონებიდან თავის კანონიერ წილს ვერ ფლობს.

წარმომადგენლების უფლება, ბუნებრივია, მომდინარეობს ხელმძღვანელების და კონტროლიორების არჩევის უფლებიდან, ვისაც მე ვენდობი და არა იმას, ვისაც ენდობა ჩემი კომპანიონი, რომელსაც არ ვუშლი ჩემს წარმომადგენელთან ერთად წამოაყენოს თავისი დანიშნული, რომელიც სარგებლობს არა ჩემი, არამედ მისი ნდობით, რითაც ძირეულად ირღვევა არა მხოლოდ მოქალაქეთა გარკვეული კატეგორიის, არამედ მთელი ეროვნებების უფლებები და ინტერესები და მთლიანად ეკრძალებათ საზოგადოებრივი საქმეების კონტროლში მონაწილეობა. წარმომადგენლების უფლებების ეს დარღვევა კი არ სუსტდება, არამედ მიძიმდება, როდესაც ხელმძღვანელ ეროვნებას სათათბიროსა და სამმართველოში შეჰყავს ჩამოშორებულ ეროვნებათა შვილები თავისი შეხედულებით, და არა არჩევის კვალობაზე, მით უფრო არჩევა თუ ემთხვევა, როგორც ეს სისტემატურად ხდება ტფილისში, „საქორწინო გენერლებს“, ან მუნჯ და ყველა მსახურებისთვის საფარქვეშ მყოფთ... ამასთან, ვისთვის არის უცნობი, როგორი დიდია უმცირესობის ამ წარმომადგენლების მნიშვნელობა, თუნდაც მხოლოდ მათი საკონტროლო როლით, ქალაქის მმართველების ყურადღების მიქცევით, სათათბიროს უმრავლესობის საზოგადოებრივი აზრის და ხელისუფლების დამორჩილებისთვის თვალყურის დევნებით...

აქედან გამომდინარეობს, რომ უსათუო და გარდაუვალი აუცილებლობაა ამიერკავკასიისათვის საარჩევნო კანონის, 1892 წლის „ქალაქის დებულების“ შეცვლა, რომლის მიხედვით მძიმე და მუდმივია ხმოსნების რაოდენობა (პროპორციულობის შესაბამისად) ყოველი ეროვნებისა მის რიცხოვრივ შემადგენლობასთან, ქალაქის ყველა მოსახლესთან შეფარდებით. სხვა სიტყვებით, ყველა ცალკეულმა ეროვნებამ სათათბიროში უნდა აირჩიოს თავისი წრიდან იმდენი პროცენტით ხმოსანი, თვითონ ქალაქის მოსახლეობის რამდენ პროცენტსაც შეადგენს. თუ ის ქალაქის მოსახლეობის უმრავლესობაა, მაშინ როგორც უმრავლესობას, ისე ექნება ადგილი სათათბიროში, და შესაბამისად, ექნება უფლება აირჩიოს თავისი სამმართველო, უხელმძღვანელოს ქალაქის მეურნეობას. ამასთან ყველა სხვა ეროვნებასაც სათათბიროში ეყოლება თავისი ნდობით აღჭურვილი წარმომადგენელი, როგორც მათი აზრებისა და მისწრაფებების გამომხატველი, როგორც საიმედო დამცველი მათი წმინდა უფლებისა, როგორც გამაკონტროლებელი და წარმმართველი, საზოგადოებრივი მეურნეობის სამართლიანი წინამძღოლი, ვინც სათავეში მდგომმა ეროვნებამ აირჩია. რომელი პრინციპის, რა საფუძვლის, რის შიშის გამო უნდა აღუდგე ჩვენი საქალაქო წარმომადგენლობის მოთხოვნებს? მხოლოდ მხეცებს, მხოლოდ შავ მიზნებიან ადამიანებს შეუძლიათ უარყონ ეს მოთხოვნა, ისიც წინასწარჭვრეტის უქონლობის გამო. სინამდვილეში, შორს არ არის ის დრო, როდესაც ბინათდამქირავებლების საარჩევნო უფლებების გავრცელების შედეგად, ეროვნება, რომელიც თავის თავს თვლის მფლობელად, ამ ჩემს წინადადებას აქცევს თავის „მამაო ჩვენოდ“. რას იზამ? ეს

ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ გაღუნული ჯოხი ძალზე ძლიერ უნდა გადაღუნო სანინაალმდეგო მიმართულებით, თუ გინდა მისი გასწორება!

ამ რეფორმის სწორად განვითარებისთვის საკმარისია, ოთხ წელიწადში ერთხელ, არჩევნების წინ, საქალაქო საქმეების საგუბერნიო წარმომადგენლები ყოველი საქალაქო დასახლების ხმოსნების საერთო რაოდენობით ესწრებოდნენ ქალაქში მცხოვრებ ეროვნებათა შეკრებებს, მათი პროცენტული მნიშვნელობის პროპორციულად. ამასთან ყოველ ეროვნებას უნდა მიენიჭოს უფლება, არჩევნები ჩაატაროს მისთვის განკუთვნილი ხმოსნების რაოდენობით, უსათუოდ სხვა ეროვნებებისაგან დამოუკიდებლად. ეს აუცილებელია არჩევნების სიმართლის, შთაგონების, სიმშვიდის უზრუნველსაყოფად, ექსპლოატატორებისათვის ყოველი ნიადაგის გამოსაცლელად. ასეთი ცალკეული არჩევა ყოველ ეროვნებას გაუადვილებდა ამოცანას, რომ საქალაქო საქმის ხელმძღვანელობისთვის წამოეყენებინათ ყველაზე საპატიო და მომზადებული წარმომადგენლები, რომელთა გამო არ მოუწევდათ განითლება, ან სახელმწიფოს და საზოგადოებრივი აზრის წინაშე პასუხისგება.

შემოთავაზებული პროპორციულობა წარმომადგენლებს დააყენებს კანონიერ და მყარს საფუძველზე, ერთხელ და სამუდამოდ დაარეგულირებს იმ უწესრიგო, ძლიერ და უშედეგო ბრძოლას, რაც სინამდვილეში დიდი ხანია მიმდინარეობს ჩვენს ქალაქებში დასახლებულ სხვადასხვა ეროვნებას შორის, რაც კიდევ უფრო მეტად უნდა გაძლიერდეს, ამ ეროვნებების თვითშეგნების და ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდის ხარჯზე... ამ შეჯიბრში არაფერი ცუდი არ არის, პირიქით, ეს თითოე-

ული ამ ეროვნების სრულყოფის საიმედო საქმეა, ერთ-ნაირად და არსებითად რომ არიან დაინტერესებულნი იმაში, რომ ყველა გამრავლდეს, გამდიდრდეს, კმაყოფილებით იცხოვროს, იბედნიეროს, თავისი სულიერი და მორალური ძალების აღორძინებით; რომ ყოველი ეროვნება, ვინც ჩამორჩება ზრდას და კეთილდღეობას, უსათუოდ, წესრიგის დამრღვევი წყარო ხდება სხვებისთვის. ეს ბრძოლა, ვამბობ, არ შეიძლება აიცილო თავიდან, როგორც არ შეიძლება ადამიანის ბუნებიდან ამოგლიჯო მინისადმი, ქონებისადმი, საკუთარი მონაპოვრით სარგებლობისადმი მიდრეკილება. ბოროტება ამ ბრძოლაში, ამ მისწრაფებაში კი არ არის, არამედ იმ რწმენის არქონაშია, რაც გვთავაზობს, – „ყველას თავისი მიეზღვება“. საჭიროა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში განხორციელდეს ეს სანყისი, რომელმაც გაიმარჯვა ჩვენი მხარის ცივილიზებული ნაწილის საზოგადოებრივი წესრიგის დამცველებში, რომ თითოეულს ეკუთვნის მხოლოდ თავისი და არა სხვისი უფლებამოსილება, რომ არავის უფლება არ დაირღვევა, რაც გარანტირებულია სამართლიანი კანონებით და ჭკვიანურად შექმნილი დაწესებულებებით. საჭიროა ყველა ეროვნება, ყველა ხელმძღვანელი, ყველა საზოგადოებრივი მდგომარეობის და საზოგადოებრივი თანამდებობების მაძიებელი ერთხელ და სამუდამოდ დარწმუნდნენ, რომ არავითარი ხრიკი, არავითარი სოფიზმი, არანაირი დაპირებები, მანევრები, გამოგონებები და ხელების გადაგრეხვა, ეროვნული და რელიგიური მისწრაფებების არავითარი გაჩაღება არ მისცემს მათ არც ერთ ზედმეტ ხმას ქალაქის მოსახლეობის კანონიერი ინტერესების წარმომადგენელთა არჩევის დროს.

საჭიროა, რომ ფოკუსების და ასარჩევი შუღერობის პერიოდი შეიცვალოს მშვიდი პერიოდით, სხვადასხვა ინტერესების მქონე წარმომადგენლებით... მაშინ, ბუნებრივია, ხრიკი და სხვისი უფლებების მითვისება შეიცვლება კანონიერი შეჯიბრებით მთელს სამყაროსთან, ხელისუფლების და საზოგადოებრივი აზრის კონტროლის ქვეშ, ქალაქის ხელმძღვანელობის, მისი კეთილდღეობის შექმნის ნიჭით, მეცნიერებაში ყველაზე მეტის მიღწევით, ნაკლები დანახარჯების გზით. არავითარ ვნებებს, არავითარ შეტაკებებს, გარდა ცალკეული პიროვნებების კეთილდღეობისთვის გამიზნული ყოველდღიური სამუშაოსი, არ ექნება ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რადგან ყოველი ეროვნება თავისთავად მტკიცედ დარწმუნდება, რომ მისი როლი და მნიშვნელობა ქალაქის წარმომადგენლობასა და მეურნეობაში ძალით და ინტრიგით კი არ იქნება განსაზღვრული, არამედ ნამდვილი რიცხობრივი მდგომარეობით, რაც მას ამ ქალაქის სხვა ეროვნებებს შორის უჭირავს, იმ მდგომარეობით, რაც არ ართმევს უფლებებს წამოაყენოს თავისი მოთხოვნები და კონტროლი გაუწიოს სხვის მოქმედებებს. მხოლოდ ამ გზით შეიძლება შეიტანო მტკიცე მშვიდობა და წესრიგი ამიერკავკასიის საქალაქო თვითმმართველობასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ყველა ეს თვალსაზრისი, ვიცი, უგულვებელყოფილია იმ ადამიანების მიერ („შეაყარე კედელს ცერცვიო“, რომ იტყვიან), რომლებიც თვლიან, რომ ისინი კარგად არიან, და სიკეთისგან სიკეთეს არ ელიან, ხოლო სხვებს ისინი აჯობებენ, მაგრამ დროა მათაც სერიოზულად გაითვალისწინონ: რამდენად შეესაბამება ამ გზით მოპოვებული ჰეგემონიის მოგება მათი მდგომარეობის უხერხუ-

ლობას? ამ საკითხის განმარტება კი არ არის საინტერესო, არამედ მერამდენედ იმ უბრალო ქეშმარიტების აღმოჩენა, რომ ამ ჰეგემონიის მიტაცება, სხვადასხვა ეროვნებების ჩამოშორება საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობიდან, ყოველივე, როგორც დანაშაული, დასჯადია, სრული უძღურების წყაროს მატარებელია, რომლის მსხვერპლადაც ახლა ვხედავთ გ. გ. ევანგულოვს, მალე კი სხვებიც გამოჩნდებიან ამ როლით. დროა გავიგოთ, რომ ერთი ეროვნების წარმატება ყველა სხვა ეროვნებაზე საქალაქო არჩევნების დროს შეიძლება მოხდეს ჩვენში, ერთი ეროვნული დროშის ქვეშ თუ შეიკრიბება მოცემული ეროვნების ყველა ფენა, რომელშიც, თავისთავად ცხადია, როგორც ყველა სხვა ეროვნებაში, ბნელი და ანგარებიანი ელემენტები უფრო მეტია, ვიდრე შეგნებული და კულტურული ფენა. ამ აუცილებლობის გამო გამოდის, რომ ამ გზით დაქირავებული სათათბიროები წარმოადგენენ სხვადასხვა კანის მქონე, სხვადასხვა აზრის მქონე ხმოსნებს, რომლებიც მიჩვეულნი არიან ემსახურონ და გაითვალისწინონ მხოლოდ საკუთარი მოგება, და ყველგან მას დაუმორჩილონ არა მხოლოდ საქალაქო მეურნეობის ინტერესები, არამედ თავისი ეროვნული მისწრაფებებიც. აი, ნამდვილი სიბოროტე: გამარჯვება და ერთი ერის დაძლევა, რომელიც არ უნდა იყოს, სომხური, ქართული, რუსული, გერმანული უმრავლესობა და სამთავრობო სათავეში მდგომი გაუნათლებელი და ანგარებიანი ხმოსნები, რომლებსაც არ შეუძლიათ საქალაქო თვითმმართველობის გაძლოლა იმ დონემდე, რაც საჭიროა თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნებით და რომელთანაც შეუძლია მიიყვანოს მხოლოდ ინტელიგენტურმა უმრავლესობამ, რაც მხოლოდ

ჩვენი ქალაქების ყველა ეროვნების ერთობლიობამ უნდა წამოაყენოს. ამ ქალაქების არც სომხურ, არც რუსულ, არც ქართულ მოსახლეობას, სამწუხაროდ, ჯერ არ მიუღწევია განვითარების იმ საფეხურისთვის, რომ რომელიმე მათგანს შეძლებოდა შეექმნა ამ ქალაქისთვის საჭირო სათათბირო (ტფილისში, ბათუმში, თუ ქუთაისში), მხოლოდ ინტელიგენტი ადამიანებისგან, რომელნიც მხოლოდ მაღალი წესრიგის წარმომადგენელნი იქნებოდნენ და არა საკუთარი სიმდიდრის მომხვეჭელნი; ადამიანებისგან, რომლებიც პირად სანუკვარ მონაპოვარს, მისწრაფებას, გემოვნებას და სიმპათიებს დაუმორჩილებენ საერთო, უმაღლესი სარგებლობის ინტერესებს. აი, რატომ ვერავინ შეძლო ჩვენს დროში შეექმნა ასეთი გამონაკლისი სათათბირო, ვერ მოახერხა შთაეგონებინა მისთვის სერიოზული პროგრამა მთელი მოსახლეობის რეფორმების და წამოწყებისათვის. მგზნებარების სახელით და არა გონებრიობით შემდგარს, ბრძოლისთვის და არა ერთობლივი მუშაობისთვის მზას, მას შეუძლია იცოცხლოს მხოლოდ ჟინით და ჟინითვე უნდა დაიღუპოს, იმავე გამონაკლისობის „ფართი“, რომელიც თვითონ პირველმა გამოააშკარავა. ასეთია ბუნების დაურღვეველი კანონები, რომელთა გვერდის ავლას ვერავითარი გამოქექილობა ვერ შეძლებს. მხოლოდ საკრებულო, რომელიც შედგება ყველა ეროვნების მშვიდი, გონიერი წარმომადგენლებისაგან, რაც შესაბამისი იქნება რიცხობრივად ქალაქის საერთო მოსახლეობის ყოველი ეროვნების მნიშვნელობასთან, ინტელიგენციის იმ თავიგულს შეადგენს, რომლისთვისაც ადვილი იქნება საზოგადოების ყველა ამოცანის შესრულება, რომელიც, მერწმუნეთ, შეძლებს ასე თუ ისე შეიმუშაოს და შეასრუ-

ლოს ჩვენი დროის და ქალაქების შესაფერისი პროგრამები. ამის საუკეთესო მაჩვენებელია ტფილისის საქალაქო სამმართველოს 1878-1890 წლების ნაყოფიერი მოღვაწეობა, რითაც სამართლიანად იამაყებს ჩვენი შთამომავლობა. იგი ყველა ეროვნების ინტელიგენტი პიროვნებების შეთანხმების და საერთო აზროვნების, ამასთან შეთანხმებული, სხვადასხვა ეროვნების ინტელიგენციის ერთ წერტილზე გაყინულობის და ანგარებიანობის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგი იყო. მაგრამ ამჟამად ასეთი იდეური ერთიანობა, ისევე როგორც ნებაყოფლობითი პროპორციული განაწილება თითოეული ეროვნების წარმომადგენლისა, უკვე უაზროა, იმიტომ რომ არა აქვთ ურთიერთნდობა მხარეთა ჭირვეულობის გამო. საჭიროა საზოგადოებრივი ცხოვრების მოედანი, საზოგადოებრივი მიღწევები, საზოგადოებრივი მოღვაწეობა გამიჯნული იყოს კანონით, რომ არავინ დარჩეს კანონიერი უფლებების მიღმა, საზოგადოებრივ მმართველობაში მონაწილეობის გარეშე; რომ ყველას ინტერესები იყოს ისევე წმინდად და მკაცრად გამოკვეთილი და დაცული საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორც გარანტირებული და დაცულია სამოქალაქო სამართალდამცველობაში პრინციპი „თითოეულს თავისი“.

მკითხველს ვუხდის ბოდიშს, რომ ამ ნარკვევის ზოგიერთი დებულება უკვე რამდენიმეჯერ გავაჟღერე პრესაში, მაგრამ ლურსმნების ჩაჭედება კედელში განმეორებითი და თანმიმდევრობითი დარტყმებით შეიძლება.

XI. კიდევ ტფილისის თვითმმართველობის მანკიერებათა შესახებ¹

„ნოვოე ობოზრენიემ“ (5166) იჩქარა ეპასუხა ჩემი ნარკვევისათვის, „ქალაქის თვითმმართველობის ორგანული მანკიერებანი“, ვიდრე სრულად გამოქვეყნდებოდა, მეორე ნახევარი დაიბეჭდებოდა. ასე „ეძებს ეს გაზეთი ჭემმარიტებას“, „მოთმინებით იტანს სხვის აზრს“ და ერთგულია ლიტერატურული ეთიკისა. არა მხოლოდ თავის მკითხველებს დაუმალა, თავის თავსაც არ გაუმხილა ძირითადი აზრები, მონინაალმდეგის დებულებები და რაღაც წვრილმანზე შექმნა საქმესთან არაფრით დაკავშირებული აბდაუბდის ჩმახვა, საცოდავს ჰგონია, რომ დაადგა თავი საქმეს! ასე სოფლურად მოაწყო სასწრაფო ბაქიბუქობით საერთო ადგილების მითვისება და გაცვეთილი სოფიზმით ცდილობს აჩვენოს კლიენტებს, ვინც ვერ ერკვევა პროცედურაში, თითქოს რეალურად იცავს საქმეს, რომლის დაცვაც დაივალა. უნდა აღვნიშნო, რომ საქმეს ასრულებენ არა ასეთი მსუბუქი კლიენტები, არამედ მოსამართლეები, რომლებსაც შეუძლიათ ღირსეულად შეაფასონ დაზარალებულების მოსაზრებები და უფლებები, ასეთი მოსამართლეების თვალში საქმის განხილვისას ლოიალობის დარღვევა მეტყველებს დამრღვევის უსამართლობაზე.

ჩემი თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ, „ნოვოე ობოზრენიე“ ნარკვევის იმ ადგილს აკრიტიკებს, სადაც აღნიშნული იყო, რომ სოფიზმის უსუსურობა იმაშია, თითქოს საქალაქოში არა ქართველები და რუსები – სომხები იმარჯვებდნენ ტფილისში არჩევნებზე ხელმძღვანელი

¹ „კავკაზი“, 1890 წ., № 32 და 33

პარტიისაგან. აი, მთლიანად „ნოვოე ობოზრენიეს“ აბდა-
უბდა:

„არც ერთი ბ-ნ ნიკოლაძის მიერ ზემოთ დასახელებული სახელი არ არის სწორი. თავადი ნ. ვ. არგუტინსკი-დოლგორუკოვი თავისი შეგნებით კონსერვატორი უფროა, ვიდრე ლიბერალი და არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ დიდი სხვაობა იყოს ამ მხრივ მასსა და მის ამომრჩევლებს შორის (ვინ ამტკიცებდა ამას?). თავადი ა. მ. არგუტინსკი-დოლგორუკოვი, მართალია, არის თვითმმართველობის წევრი, მაგრამ არავინ უწოდებს მას სათათბიროს უმრავლესობის ხელმძღვანელს (ვინ უწოდებდა, ნეტავ?), მ. ი. თამამშევი არასდროს სამმართველოს შემადგენლობაში არ შედიოდა (ვინ ამბობდა, რომ შედიოდა?), ხოლო როგორც ხმოსანი, ბევრ ხმას აგროვებდა, იგივე შეიძლება ითქვას ა. ა. შახ-აზიზზე. მაგრამ თვით ბ-ნ ნიკო ნიკოლაძეს, რომელიც არც ეროვნებით, არც რწმენით, არც თვალსაწიერით არ ეკუთვნოდა ამომრჩეველთა ხელმძღვანელ ჯგუფს, ბევრი წელი ირჩევდნენ ხმოსნად და ყოველთვის გადიოდა სათათბიროში ხმის საგრძნობი უმრავლესობით. განა ეს ნიშნავს, რომ ის იყო გამარჯვებულთა მეთაური?“

რამდენი სიტყვაა აქ ნახმარი, იმდენი გაბუქვაა. საქმე ისაა, რომ 1891-1893 წლების სათათბიროში, როგორც ყველა სათათბიროში, არსებობდა თვითმმართველობის პარტია და ოპოზიცია. ამ უკანასკნელის შემადგენლობაში, როგორც ცნობილია და სათათბიროს ოქმების მიხედვით ადვილად დასამტკიცებელიც, შედიოდნენ რუსი და ქართველი ხმოსნების გარდა, სომეხი ხმოსნებიც: მ. ი. თამამშევი (ოპოზიციის მიერ არჩეული და აღიარებული ბელადი, ოპოზიციის მიერვე ფინანსური

კომისიის თავმჯდომარედ დანიშნული), ა. ა. შახ-აზიზოვი, მ. ს. შახ-პარონციაცი, დ. ზ. ყორღანოვი, და ზოგიერთი სხვა.

ამ ოპოზიციის ტაქტიკის წყალობით, უმრავლესობის უფროსი ა. ს. მათინოვი 1891 წლის გაზაფხულზე იძულებული იყო დაეტოვებინა ქალაქის თავის თანამდებობა. ამ პოსტზე დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ ოპოზიციამ თავადი ნ. ვ. არგუტინსკი-დოლგოროუკოვი აირჩია, რომელსაც სამმართველოს ყველა დისციპლინირებულმა მომხრემ არაშენიშნავლობით მისცა არჩევის საწინააღმდეგო ხმები. როგორც თავის დროზე „ნოვოე ოპოზიციონიემ“ განმარტა, ოპოზიციის არჩევანი თავად ნ. ვ. არგუტინსკი-დოლგოროუკოვზე შეჩერდა, როგორც პიროვნებაზე, რომელიც ცოტა ხნის წინ ადგილობრივი პლუტოკრატიის გამო საქმეს ვერ გასწვდა, მაშინ ის არ მალავდა თავის სიძულვილს პლუტოკრატიისადმი, და ყოველთვის გამოირჩეოდა მათგან დამოუკიდებლობის გარკვეული დოზით.

ყველა ამ ფაქტის კამათის გარეშე მიღების მიუხედავად, რით უნდა აიხსნას, რომ 1893 წლის 16 მაისის საერთო საქალაქო არჩევნების დროს არჩეული ხმოსნების სიის თავში (ე. ი. „სათავესა და გამარჯვებულთა პირველ რიგში“) ჩვენ ვიხილეთ: ოპოზიციის წარმომადგენელი თავადი ნ. ვ. არგუტინსკი-დოლგოროუკოვი (არჩ. 805 ხმა, წინააღმდეგი 131), შემდეგ მისი შეურიგებელი მტერი, (არჩ. 721, წინააღ. 219), შემდეგ – ოპოზიციის მეთაური მ. ი. თამამშევი (663-273), შემდეგ – მ. ს. შახ-პარონიანცი (664-272), დ. ზ. ყორღანოვი (634-302), ა. ა. შახ-აზიზოვი (535-401) და ა. შ.? ეხლა შეაჯერეთ ეს ციფრები იმ ხმების რაოდენობას, რომლებიც იმავე არ-

ჩვენებზე (1893 წლის 16 მაისს) მიიღეს დანარჩენებმა, არა სომხურმა, არამედ ქართულმა და რუსულმა იმავე ოპოზიციის წევრებმა (1891-1893 წ.წ): ა. ი. ბაქრაძე (კავკასიის ტყის წარმოების რევიზორი) (465-479), ს. ა. ვეის-სენგოფი (კავკასიის წყლის მმართვე. ინსპექტორი) (426-510), პ. ს. ვასილიევი (367-569), მ. ვ. მაჩაბელი (367-596), ნ. ი. ნიკოლაძე (425-511), თავადი დ. ა. პავლენოვი (327-609) და ა.შ.

ისეთი ხმოსანი, როგორც თავადი ვ. ს. მიქელაძეა, რომელმაც სომხებს იმდენი თავნი მისცა და მიუკერძოებლობის და მეგობრობის იმდენი რწმუნება, მაგრამ თავისი მეგობრების ენერგიული დახმარების მიუხედავად მაინც გააშავეს (465-466). ყველა ეს ციფრი „ნოვოე ობოზრენიეშია“ გამოქვეყნებული. მისი გაყალბება შეუძლებელია.

ამ ცნობებს მივუმატოთ კიდევ ერთი თავად ა. მ. არგუტინსკი-დოლგორუკოვზე, რომელმაც აიღო საკმაოდ დიდი ხმები (511-395), იმის მიუხედავად, რომ არც კლასობრივი ინტერესებით, არც მორალური რწმუნებით, არც თავისი წარსულით ის არ შეეფერებოდა გამარჯვებულს. თავისი მოგვარის, აგრეთვე მ. ი. თამამშვივის, ა. ა. შახ-აზიზოვის და ბევრი სხვის მსგავსად, მას არაფერი ჰქონდა საერთო თავის ამომრჩეველთან, გარდა ეროვნებისა, ე. ი. წარმოშობით იყო სომეხი. თუ ტფილისის არჩევნებში გადამწყვეტი გავლენა ექნებოდა მხოლოდ კლასობრივ (ეკონომიკურ) ტენდენციებს, მაშინ თავადებს არგუტინსკი-დოლგორუკებს ადგილი არ ექნებოდათ ამორჩეულებში. ზუსტად ასევე, იდეური ტენდენციების დაძლევის დროს უნდა გაშავებულიყვნენ ოპოზიციონერები თამამშვივი, შახ-აზიზოვი და ა. შ. მხოლოდ ეროვ-

ნული განსაკუთრებულობის ძალას შეეძლო შეეთავსებინა ამორჩეულების საერთო სიაში ისეთი სხვადასხვა კლასობრივი, სხვადასხვა პარტიული და შეურიგებელი ანტაგონისტები, როგორცაა ნ. ვ. არგუტინსკი-დოლგორუკოვი, პ. ა. იზმაილოვი, მ. ი. თამამშევი, გ. გ. ევანგულოვი, მ. ი. დოლუხანოვი, ა. ა. იოანისიანი და ა. შ. მხოლოდ ეს ერთი დასკვნა განმარტავს საარჩევნო ბრძოლის ყველა ფაქტს და მოვლენას, სხვა თვალსაზრისით აუხსნელსა და გაუგებარს. შესაბამისად, სოფისტებს, რომლებსაც იმედი აქვთ, რომ ვინმე მოატყუონ ასეთი განსაკუთრებულის უარყოფით, მხოლოდ თავისი თავი და მხოლოდ თავისიანები შეჰყავთ შეცდომაში.

„ნოვოე ობოზრენიე“ კი იმავე გზით „მიაქანებს“: „თუ ბატონებს ველიჩკოს და ნიკოლაძეს საკმარისად მიაჩნიათ ამ შემთხვევისათვის შეუფერებელი ოთხი სახელის მოყვანა (არგუტინსკები, თამამშევი და შახ-აზიზოვი), ჩვენ ოთხ სხვას დავასახელებთ, უფრო რომ შეეფერება ამ შემთხვევას და აქარწყლებს ცილისნამებას (!!!), დავასახელებთ ბატონებს ივანენკოს, შესტაკოვს, ჩერკეზოვს და ჭრელაევს, რომლებსაც არასომხური წარმოშობა და ქრისტიანული რწმენა აქვთ, რამაც ხელი არ შეუშალა არჩეულიყვნენ ტფილისის საქალაქო სამმართველოში“.

მგონი, „ნოვოე ობოზრენიეს“ „პუბლიცისტები“ ვერ არჩევენ სათათბიროს ხმოსნის და წევრის როლების სხვაობას. ხმოსანი – მოსახლეობის წარმომადგენელია, სრულუფლებიანად გამოხატავს მათ მისწრაფებებს, ნებას, თვითმმართველობის ყველა საკითხის და საქმის განხილვის მონაწილეა. სათათბიროს წევრი კი – ხმოსნების შემუშავებული გეგმის შემსრულებელზე მეტი არ არის, ის მათ წინაშე ვალდებული, მათზეა დამოკიდებული. თუკი

ბ-ნები: ივანენკო, შესტაკოვი, ჩერკეზოვი იქნებოდნენ აღიარებული წარმომადგენლები რუსული და ქართული მისწრაფებებისა, ამასთან უმაღლესი და არა უმდაბლესი წესრიგისა, მაშინაც კი მათ საკრებულოს შემადგენლობაში მხოლოდ $\frac{3}{4}$ სომხების ყოფნის დროსაც კი არაფრის გაკეთება არ შეეძლებათ, თავისი ამომრჩევლების ნაქეზების მიუხედავად. საარჩევნო კანონით, წარმომადგენელი, რა ეროვნების, რელიგიის, პიროვნული თვისებების არ უნდა იყოს ის, იმათი ინსტრუმენტია, ვინც აირჩია, ვის უფლებასაც გამოხატავს. იმ დღეს, როცა ბ-ნებმა: ივანენკომ, შესტაკოვმა და ჩერკეზოვმა¹ საკრებულოს ამ შემადგენლობისგან მიიღეს თავისი უფლებამოსილება, ისინი აღარ არიან რუსი და ქართველი, ისინი თავიანთი ამომრჩევლების წარმომადგენლები გახდნენ.

ეს პარტიულობის განაჩენი როდია, არამედ წარმომადგენლობითი მმართველობის შესახებ მეცნიერების ანბანია, და რაც უფრო კეთილსინდისიერნი არიან, მით უფრო ადვილად გადადგებიან თანამდებობიდან თავისი ეროვნული და სარწმუნოებრივი თვალსაზრისით. მათი არჩევა სამმართველოს წევრებად არაფრით არ გადაადგილებს ქალაქის ხელმძღვანელობის სიმძიმის ცენტრს სომხების ხელიდან რუსების ან ქართველების ხელში, ვიდრე საკრებულოს უმრავლესობა, ე. ი. ხმოსნების უმეტესობა ეკუთვნის სომხებს და ვიდრე სომხებზეა დამოკი-

¹ ბ-ნ ქრელაევზე (საკრებულოს მდივანი), არაფრის თქმა არ შეიძლება: ამის შემდეგ რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ საკრებულოს დარბაზში მდგომი მაგიდები ქართული ტყეებისაგან არის დამზადებული, ხოლო ქალაქი – რუსული ფაბრიკების ნახელავია.

დებული ხმოსნების არჩევა ყველა ეროვნების წარმომადგენლებისაგან...

„ნოვოე ობოზრენიე“ იმავე სტატიაში წერდა: „ბ-ნიკოლაძეს რატომღაც ავიწყდება, რომ რუსეთს სრულუბით არ გააჩნია ის ფედერალური მოწყობა, რასაც ემყარება ავსტრია“. ასეთი განათლებით კიდებენ კალამს ხელს ჩვენი „პუბლიცისტები“ და ხელმძღვანელობენ მკითხველ საზოგადოებას! „ნოვოე ობოზრენიეში“ ფიქრობენ, რომ ავსტრიაში არსებობს ფედერალური მმართველობა, რომ ავსტრო-უნგრული დუალიზმი და ფედერალური საწყისი – ერთი და იგივეა! თუ ავსტრიაში ფედერალური საწყისი იარსებებდა, მასში განა ისეთივე ბედნიერებით არ იცხოვრებდნენ, როგორც ფედერალურ შვეიცარიაში, რომელიც სამი ეროვნებისგან შედგება, სამ ენაზე საუბრობენ და ყველა რელიგიაზე ლოცულობენ. განა ავსტრიის ყველა ეროვნება დუალიზმით არ არის დაჯაბნილი, სხვა რამისკენ მისწრაფის, გარდა ფედერალური მოწყობისა და პროპორციული წარმომადგენლობისა? განა ფედერალური მოწყობილობა არ შეადგენს არა მხოლოდ დროშას და ლოზუნგს, არამედ პროგრამას და მიზანს მთელი ავსტრიელი ხალხის მისწრაფებებისას, გარდა ორი გაბატონებულისა?

„პუბლიცისტები“, რომლებსაც არ ესმით ასეთი მარტივი ამბები – და ავსტრიაზე ასე მსჯელობენ, „ნოვოე ობოზრენიეში“ კიდევ აი რას წერენ:

„ბ-ნიკოლაძეს ასე უსამართლოდ მოჰყავს ავსტრიის მაგალითი. ავსტრიაში ყველა ეროვნება იბრძვის სხვა ეროვნების პოლიტიკური დაძლევის წინააღმდეგ. კეთილი ინებოს ბატონმა ნიკოლაძემ და მიუთითოს რაში გამოიხატებოდა სომხების უპირატესობა რუსი და სხვა

ეროვნების წინაშე? ნუთუ იმაში, რომ ტფილისის სათათბიროში სომხები ბევრია? ნუთუ ფოთში უნდა იყვირონ ქართველების პოლიტიკური უპირატესობის წინააღმდეგ იმიტომ, რომ იქ საკრებულოში სხედან ქართველები? ჭკვიანურია ეს?”

ეს სასწაული სტრიქონები მოწმობენ, რომ „ნოვოეობოზრენიეში“ ტერმინოლოგიაშიც ვერ ერკვევიან, არავინ იცის სიტყვა „პოლიტიკურის“ მნიშვნელობა. ამიტომ მათ უნდა ავუხსნათ, რომ პოლიტიკური ინტერესები სხვადასხვა ადგილას სხვადასხვანაირია. იმის გამო, რომ ტფილისში რუსები და ქართველები არ ითხოვენ საკუთარ მინისტრებს, როგორც პრალასა და აგრამში, არაფრით არ შეიძლება აქ, ტფილისში, მათ არ ჰქონდეთ თავისი სისხლხორცეული პოლიტიკური ინტერესები.

სიტყვები „პოლიტიკური“, „პოლიტიკა“, ჩემო ყმანვილებო, წარმომდგარია ფუძისაგან „პოლისი“, ე. ი. ქალაქი. მაგრამ ეტიმოლოგიისაგან დამოუკიდებლად, ყველა საქმე, ინტერესები და კითხვები, რაც ურთიერთდამოკიდებულებას ეხება, განსაკუთრებით კი ამ ქვეყნის სხვადასხვა ფენის, წოდების და ეროვნების შეხლა-შემოხლას, ეს – პოლიტიკის სფეროა და ეწოდება პოლიტიკური. ტფილისში საყოველთაო პოლიტიკური ინტერესი იმაში მდგომარეობს, რომ ის მილიონი და მეოთხედი მანეთი, რომელიც იკრიბება ყოველწლიურად ყველა ტფილისელისაგან, მათი რწმენის, ეროვნების და მდგომარეობის მიუხედავად, უნდა მოხმარდეს ყველა ფენის, ეროვნების და მდგომარეობის ტფილისელს და დაიხარჯოს ყველა ამ ფენის, ეროვნების და მდგომარეობის წარმომადგენელთა განკარგულებით. ამასთან, ამ თანხას ამჟამად განკარგავენ, და ძალიან ცუდად, მხოლოდ სომ-

ხები, რომლებიც არ აძლევენ მონაწილეობის უფლებას საერთო საქმეებსა და სახსრების განკარგვაში არა მხოლოდ ეროვნულ წარმომადგენლებს, არამედ თავისი სამართველოს რეალურ კონტროლსაც კი. ამაში გამოიხატება არა მხოლოდ ყველა ეროვნების პოლიტიკური ინტერესი, არამედ აგრეთვე „პოლიტიკური გაბატონება“ სომხებისა რუსებზე და სხვა ეროვნებებზე ტფილისში.

დაიმახსოვრეთ ეს ერთხელ და სამუდამოდ, ძვირფასო ყმანვილებო, და გაიგეთ ამასთან ერთად, რომ „პოლიტიკური გაბატონება“ არსად მსოფლიოში სხვა არაფერში გამოიხატება, თუ არა უფლების ასეთივე მითვისებაში, რომ შეკრიბონ გადასახადები და დახარჯონ საკუთარი შეხედულებით, გადასახადების ყველა გადამხდელთა სურვილის, თანხმობის და კონტროლის გარეშე. სხვა ყველაფერი: ენა, ფორმები, დაწესებულებები – სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკის დეკორაცია და ბუტაფორია. პოლიტიკური გაბატონების არსი გადასახადების აკრეფისა და დახარჯვის უფლებაშია. ეს არის სომხების პოლიტიკური გაბატონება რუსებზე და სხვა ეროვნებებზე. „ნოვოე ობოზრენიე“ ცდილობს დაუფაროს უვიცებს ბანალური ფრაზებით, რომლებში გარკვევისასაც აღმოჩნება ამდენი ტყუილი ან უვიცობა. მართლაც, მოლიერის „გააზნაურებული მდაბიოსი“ არ იყოს, რომელმაც არ იცოდა, რომ არ უნდა ესაუბრა პროზით, ასე ჩვენი სომხებად ქცეული თავადები არ ეჭვობენ, რომ იცავენ რა ამჟამინდელ ტფილისის თვითმმართველობის შემადგენლობის სიმართლეს, რომელშიც არ შედის მოსახლეობის 53%, ისინი „ემსახურებიან პლუტოკრატის“ და მხარს უჭერენ „სომხების პოლიტიკურ გაბატონებას რუსებსა და სხვა ეროვნებებზე!“

სომხების ეს მდგომარეობა ტფილისში იმიტომაც არ შეიძლება შეადარო ქართველებისას ფოთში, რომ ფოთის საქალაქო სათათბიროში გაერთიანებულნი არიან არა გარენრები, არამედ ფოთის ქალაქის საუკეთესო პიროვნებები – რუსები, სომხები, ბერძნები, რომლებიც აირჩიეს არა ქართველებმა, არამედ ადგილობრივმა რუსებმა, სომხებმა და ბერძნებმა, ქალაქის საერთო მოსახლეობის პროცენტულ შემადგენლობასთან შეფარდებით. ამის წყალობით, მიღწეულია ქალაქის ყველა ფენის და ეროვნების სრული ერთობა, თვითმმართველობის ყველა წევრის და ორგანოს თანხმობა ქალაქის მეურნეობის გაძღოლაში.

ეს მაგალითი, როგორც ტფილისის თვითმმართველობის 1879-1890 წლების მაგალითი, ნათლად წარმოაჩენს, რომ პროპორციული წარმომადგენლობა, რაც მეცნიერების ბოლო სიტყვაა და ყველაზე მოწინავე მოაზროვნეების და თანამედროვე მოღვაწეების ლოზუნგია, არაფრით ეწინააღმდეგება რუსეთში არსებულ წყობას და წესრიგს – აღნიშნავს „ნოვოე ობოზრენიე“, რუსულმა სახელმწიფომ იმით გაავრცელა თავისი ძალაუფლება ნახევარ მსოფლიოზე, რომ მტკიცე ხელით ამკვიდრებდა ყველგან ჰქონოდა „ყველას თავისი“, ყველგან ძირფესვიანად სპობდა მიტაცებას და ურთიერთშუღლს. ჩვენს მხარეში, მას თავისი მშვიდობისმყოფლობის, მოქალაქეობრიობის და ქვეყნის განვითარების ამოცანები შეუძლია განახორციელოს მტკიცე და ძალაუფლებიანი მორჩილებით, როგორც პირადი (სამოქალაქო), ისე სხვადასხვა ეროვნების (პოლიტიკური) მიმართულებებით, იმავე პრინციპით – „ყველას თავისი“. ხოლო ამას არ შეიძლება მიაღწიო პროპორციული წარმომადგენლობის გარეშე,

რაც აღიარებულია თანამედროვე მეცნიერების მიერ, იგი ერთადერთი საშუალებაა წესრიგის და სამართლიანობის დასამყარებლად ქვეყნების თუ ქალაქების სხვადასხვა ეროვნულ მოსახლეობაში.

რომ საბოლოოდ დავადასტურო მთელი უსამართლობა, შესაბამისად დაუოკებლობა – „სომხების პოლიტიკური გაბატონება რუსებსა და სხვა ეროვნებებზე“ ამიერკავკასიის საქალაქო თვითმმართველობაში, შემდეგ ციფრობრივ მონაცემებს მივმართავ, რაც ეფუძნება ბოლო წლების ოფიციალურ სტატისტიკას. ტფილისში სომხები მთელი მოსახლეობის 47%-ს შეადგენენ¹, ამასთან მთელი სათათბირო მხოლოდ მათი წარმომადგენლებისაგან შედგება, ქართველები ტფილისის მოსახლეობის 27% შეადგენს, ამ სათათბიროში მათ არც ერთი წარმომადგენელი არ ჰყავთ, ისევე როგორც რუსებს, რომლებიც ქალაქის მოსახლეობის 18%-ია. რუსებიდან საკრებულოში მოხვდნენ სომხებისთვის „სასურველები“. კიდევ უფრო ცუდად არის საქმე ბაქოში. აქ მთელი მოსახლეობის 27% სომხებია. სათათბიროში კი საკმაოდ დიდი უმრავლესობა ჰყავდათ 1896 წლამდე, მაჰმადიანებისა და ქრისტიანების საარჩევნო უფლებების გათანაბრებამდე. ერევანშიც კი სომხები ქალაქის მოსახლეობის 18%-ია (ნახევარზე ნაკლები). ამასთან, ერევანში თითქმის სათათბირო მათ ხელშია. სხვა ქალაქებშიც იგივეა. თუ ეს ყველაფერი არ არის „პოლიტიკური გაბატონება“, ხე-

¹ ჩვენი ქალაქების მოსახლეობის განაწილების ციფრები ეროვნების მიხედვით 1897 წლის ერთდღიანი აღწერით, ჯერ არ გამოქვეყნებულა. ადგილობრივ პრესაში გამჟღავნებული ცნობები ამ ერთდღიანი აღწერის შედეგებზე კიდევ უფრო უსიამოვნოა სომხებისათვის: ისინი ამჟამად მოსახლეობის 37%-ია, და არა 47%, როგორც ათი წლის წინათ იყო.

ლოვნურად შექმნილი „საქალაქო მდგომარეობის“ ორგანული წყლებით, მაშინ საინტერესოა ვიცოდეთ, რა ჰქვია ამას?

კიდევ ერთი ბოლო შენიშვნა. „ნოვოე ობოზრენიე“ არ ნითლდება, ისე უარყოფს, რომ ჩვენს მხარეში არ სუფევს ეროვნული ანტაგონიზმი, ამას ვერ ამჩნევენ ისინი, ვინც ამ მზის სხივს ვერ ხედავს. რატომ არის საჭირო ეს უარყოფა? საკითხავია, მთელს დედამიწაზე რატომ არც ერთ ეროვნებას არ რცხვენია გაამჟღავნოს ხმამაღლა, ყველას გასაგონად, რომ მას აქვს თავისი ამოცანები და ინტერესები, თავისი რწმენა და უფლებები, მას თავის ვალად მიაჩნია, რომ დაიცვას ეს ინტერესები და უფლებები. რატომ გაბატონებულები და არაგაბატონებულები, დამონებული ეროვნებები – რუსები, ქართველები, პოლონელები, გერმანელები, ფრანგები, ინგლისელები – არც თავისთავს, არც თავის უფლებებს, არც თავის კანონიერ და ყველა მთავრობისგან აღიარებულ მოთხოვნებს არ უარყოფენ და არ მაღავენ? „ნოვოე ობოზრენიე“ რატომ უარყოფს და მაღავს ეროვნებების ინტერესებს, ჩვენი თვითმმართველობის კვალობაზე სომხებისადმი ებრაელების „თვისებების“ მიწეპებით? ეს ეროვნება გავიხსენე იმიტომ, რომ ნათლად წარმომეჩინა, რომ მას არსად და არავინ ამ ქვეყნად არ ამტყუნებს და ეჭვი არ შეაქვს მის პოლიტიკურ სეპარატიზმში, ან სახელმწიფოს პოლიტიკური ერთიანობის დანგრევის მისწრაფებაში. შესაბამისად, საერთო ებრაული ინტერესების უარყოფა და დაფარვა არ შეიძლება აიხსნას საშინაო პოლიტიკური რეპრესიებით. აბა, რითი აიხსნება? ნუთუ იმით, რომ მიზანი და მისწრაფება აქ მდგომარეობს

არა საკუთარი უფლების და მიღწევის დაცვაში, არამედ სხვის თავდასხმაში?

მაგრამ „დაძველდა ანდაზა“... ეს კი დამარცხებაა. ისინი შეიძლება კიდევ აიხსნას, თუ ვერ გაამართლებ გარდასული საუკუნეების უბედურებებით და ჩაგვრით, მაგრამ სრულიად არ შეეფერება, შეუთავსებელია ცივილიზებული ცხოვრების მონყობასთან და არ შეშვენის სერიოზულ მეთაურებს ან პუბლიცისტებს. ჩვენი აზრით, სომხების კანონიერი და ადამიანური ინტერესები და უფლებები არა მხოლოდ არსებული, არამედ სამომავლო განვითარებისაც, არანაკლებ რეალური და წმინდაა, ჩვენს მხარეში მცხოვრები ყველა ეროვნების უფლებასა და ინტერესებზე. მაგრამ ეს უფლებები და ინტერესები თითოეული ეროვნებისა, ისევე როგორც ცალკეული პიროვნებისა, ფიზიკური და იურიდიული, წმინდათაწმინდა და რეალურია იმდენად, რამდენადაც უფლება და ინტერესები ყველა სხვა ეროვნებისა, რომლებიც ცხოვრობენ ჩვენს მხარეში.

აი, ეს არის საზღვარი უფლებასა და დანაშაულს შორის. თუ დასაცავი საქმე წმინდაა, მას არ სჭირდება დაფარვა და დაგმანვა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სწორია როცა არ ხელვეყოფთ სხვის უფლებებს ცხოვრებასა და ბედნიერებაზე. ეს არის ერთადერთი საყრდენი წერტილი და ერთადერთი ლიბერალური თვალსაზრისი. ეს ადამიანის და მოქალაქის უფლებების დოქტრინაა, 1789 წლის პრინციპების დოქტრინაა, რაც საფუძვლად დაედო თანამედროვე მოქალაქეობასა და ცივილიზებულ ურთიერთობას. როგორც ამ მოქალაქეობაში უსათუოდ უნდა გაქრეს ყოველგვარი ძარცვა-გლეჯა და უფლებათა დარღვევა, ასევე უმაღ უნდა აღმოიფხვრას სხვისი უფლები-

სა და მიღწევების ხელმყოფთა ზეიმი საერთოეროვნულ ურთიერთობათა სფეროში. ამის საფუძველზე ვამტკიცებთ, რომ „ნოვოე ობოზრენიე“ იცავდა განსაკუთრებულობის საქმეს დამალვისა და ჩაკეტილობის გზით, მხოლოდ თავისი დაცვის ქვეშ აყვანილთა ინტერესების პროფანაციით და კომპრომენტირებით. სომხების ინტერესები არც ისე მცირეა, რომ შესაძლებელი გახდეს ასეთი დაცვით ხელი გაისვარო.

ვასრულებ შეხსენებით, რომ ყველაზე გულწრფელი დამცველები სომხების ეროვნული ინტერესებისა, თუმცა ჯერ ფარულად და მხდალად, მაგრამ ცდილობენ განმინდონ და გაათავისუფლონ სომხების საქმე მისი უღირსი ექსპლოატაციიდან იმ პირებისაგან, ვინც მთელი თავისი ცხოვრება გულგრილი იყო მათ მიმართ, ისეთებისაგან, როგორც არიან ა. ს. მატინოვი და პ. ა. იზმაილოვი – 1893 წლის არჩევნების დროს და თავ. გ. მ. თუმანოვი – 1897 წლის არჩევნების დროს. სომხების საქმე არ არის დაინტერესებული არც უმეტესობით ტფილისის სათათბიროში, არც მისგან რომელიმე ეროვნების გაძევებით. ამით დაინტერესებულნი არიან სახსრების შეუცნობელი პატივმოყვარენი, რომლებიც ამჟამად ემსახურებიან სომხების ინტერესებს, როგორც ადრე ემსახურებოდნენ ქართველებისას და ნებისმიერი სხვებისას: იმ დრომდე, ვიდრე შეიტყობდნენ, რომ ეს მათი პირადი ინტერესების მოთხოვნაა. ისინი ყველაზე საუკეთესო მაჩვენებლები არიან მათ მიერ უარყოფილი „სომხების გაბატონებისა“. საკმარისია ქარმა სხვა მხრიდან დაუბეროს, რომ სომხები გათავისუფლდნენ ისეთი ერთგული მეგობრებისგან, ვისაც ასე წარმატებულად იცავენ ამჟამად.

XII. სტატიიდან „სამწესართა, გული რომ გვაქვს“¹

ნუთუ თქვენი თანამშრომელი ნამდვილად თვლის, რომ უდროოა, არა ჩემგან, არამედ მის მიერვე წამოწყებული დაწვრილებითი განხილვა საკითხისა – „მამების პოლიტიკა და მისი შედეგები“?! შემოიძლია დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი პრესა ვერ იპოვის უფრო საჭირო, უფრო შესაბამის ნუთებს და ამოცანებს ხვალინდელი დღისას, როგორც ამ პოლიტიკის და „შვილების“ პოლიტიკასთან მისი კავშირის ან წინააღმდეგობის ყურადღებით შესწავლა. ეს სრულებით არ არის არქეოლოგია, არამედ მომავლისკენ სწრაფვაა. აი, რატომ არის ცუდი ამ საკითხის დატოვება იმ არასწორი განხილვის ფონით, რასაც თქვენი თანამშრომელი გვთავაზობს. მაგრამ ვიდრე გადავალ ძველი და ახალი თაობის ურთიერთობაზე, მე იძულებული ვარ, შესწორებები შევიტანო ფაქტობრივ მასალაში, რაც თქვენმა თანამშრომელმა მოიტანა თავისი აზრის დასამტკიცებლად.

ჩემი მოთხოვნა იყო, თქვენი თანამშრომლის მიერ ჩემთვის მოწეპებული ბიუროკრატიზმი დაედასტურებინა თუნდაც ერთი სტრიქონით ჩემი ნაწერებიდან. მან მიპასუხა („ვოზროჟდენიე“, №21), რომ „მას არ სურდა, და არც ახლა არავითარი სურვილი არა აქვს შეაფასოს მამების მოღვაწეობა“, ე. ი. საკითხი ამოწურულია?

მაგრამ თქვენი თანამშრომელი განაგრძობს: „სტატია, რომელიც ასე არ მოეწონა ბ-ნ ნიკოლაძეს, ჩვენი უხუცესი მამების ერთ-ერთ სასახელო წარმომადგენელ-

¹ იხ. „ვოზროჟდენიე“, 1905 წ., № 45

თან საუბრის შედეგად დაინერა, იგი გვსაყვედურობდა, რომ ჩვენ, ახალგაზრდა თაობამ, ვულაღატეთ მამების ასეთ პოლიტიკას“. და უარს ამბობს რა თავისი მსჯელობა გაამაგროს დოკუმენტური ციტატებით, თქვენს თანამშრომელს არა თუ გააჩნია გამბედაობა, აღიაროს შეცდომა, არამედ ბრალდებებს თამამად აცხადებს. ახლა ის წერს: „ბ-ნი ნიკოლაძე იყო არამხოლოდ თანამშრომელი, არამედ შთამაგონებელიც ბ-ნ ველიჩკოსი, მისი აზრების არსენალის, მისი საზიზღარი პოლიტიკის ზნეობრივი დამმუხტველი“.

ასეთი მსჯელობა შეეძლო მხოლოდ იმას, ვინც სრულიად არ იცნობს ვ. ლ. ველიჩკოსდროინდელ პრესას. მე არასდროს ვყოფილვარ განსვენებული პოეტის არა მხოლოდ შთამაგონებელი, არამედ თანამშრომელიც კი. კავკასიაში მისი სამი წლის მოღვაწეობის მანძილზე მე ხუთი-ექვსი წერილი დავბეჭდე, ისიც „პროდომო“, რომელთაც ვ. ლ. ველიჩკოს შენიშვნები და კომენტარები ერთვოდა¹. მე თქვენს გაზეთშიც ვბეჭდავ წერილებს, მაგრამ განა თქვენი გაზეთის თანამშრომელი ვარ?

გარდაცვლილი პოეტის არც პიროვნებას, არც ტალანტს არ უნდა იცნობდე, მისი ჭკუისა და მისწრაფებების არაფერი უნდა გაგეგებოდეს, რომ იფიქრო, თითქოს მას სჭირდებოდა ვინმეს შინაგანი განწყობის ან შთაგონების ჩანერგვა. დავუშვათ მას სჭირდებოდა ხელის გამართვა, საკითხავია: რა აზრი ჰქონდა ჩემს დახმარებას, რომელ მხარისკენ უნდა მებიძგა მისთვის, რა საფუძ-

¹ რომ ნათელი იყოს ჩემი მიუმხრობლობა „კავკაზის“ რედაქციასთან, ყველა სტატიას ვბეჭდავდი საერთო რუბრიკის ქვეშ – „Стороны“.

ველს ეყრდნობოდა ჩემი მასთან თანამშრომლობა? ამ კითხვებით რომ შენუხებულებიყო თქვენი თანამშრომელი, პრესაში იპოვიდა ნათელ დადასტურებას, თუ რა შეიძლება მე მომეხვია თავს ვ. ლ. ველიჩკოსთვის, ეს ის პოლიტიკა იქნებოდა, რომელსაც ვემსახურები ჩემი ლიტერატურული (ჟურნალისტური – დ. ჩ.) მოღვაწეობის დასაწყისიდანვე, ე. ი. ადგილობრივი ხალხების თვითმმართველობაში გაერთიანების პოლიტიკა. კავკასიურ პრესაში ვ. ლ. ველიჩკოს ჩაბმისთანავე მე კვლავ ჩამოვაყალიბე ეს პოლიტიკა შემდეგნაირად:

„ყველა, ვისთვისაც ჭეშმარიტად ძვირფასია ქვეყნის სამოქალაქო განვითარების საქმე, სისხლხორცეული ინტერესების ქიმიურულ მივიწყებას კი არ უნდა უწყობდეს ხელს, არამედ თანამონაწილეების უფლებების და მოვალეობების გამიჯვნის განმახორციელებელ გეგმას უნდა ეხმარება. ჩვენი (ანუ ქართველების და სომხების) უბედურება ის არის, რომ არა მხოლოდ ჩვენი ხალხის, ინტელიგენციის ხელმძღვანელებაც კი ის ადამიანები არიან, რომლებიც სრულიად შეუმზადებლები გახლავან ამ მაღალი როლის შესასრულებლად, ისინი სავსებით უძლურნი არიან, შეამჩნიონ რაიმე თავისი ცხვირის იქით. მათ არ იციან, რომ ჩვენს მდგომარეობას არაფერი აქვს საერთო იმ სახელმწიფოებთან და ხალხებთან, ვის გარეგნულ ცხოვრებასაც სურთ მოარგონ ამ უმწეო ხელმძღვანელებმა თავიანთი მაიმუნური ხელოვნებით ჩვენებური ყოფა. ისინი ვერ ხედავენ არსებით გამოუვალ, განუხორციელებელ პირობებს კავკასიაში, ვის ჰეგემონიასაც არ უნდა განიცდიდნენ კავკასიელები.

ხელმძღვანელობა ვერ ხვდება, თავის მსტოვრებს ასეთ უაზრო მიზნებს რომ ავალებს, რითაც აკნინებს და

კანონგარეშე ყოფნისკენ უბიძგებს მათ, დალუპვისკენ მიაქანებს და არა პროგრესისკენ, არადა, ადგილობრივ მცხოვრებთა გონიერი ნაწილისგან აქეთკენ სწრაფვა უკვე გამოიკვეთა. ზუსტად იმგვარად, ქონებრივ და მინათ-მფლობელურ საკუთრებაში მთელი თავისი არსებობის მანძილზე კაცობრიობამ რომ ვერ გამოძებნა ვერავითარი სხვა გზა მშვიდობის დასამყარებლად, გარდა მიჯნის გაფლებისა, პოლიტიკური მოვლენების ამ სფეროშიც სხვა არაფერია მოფიქრებული, – და არც შეიძლება მოფიქრებულიყო, – გარდა ყველა ეროვნების პროპორციული წარმომადგენლობითი პირნციპისა, მათ შორის პროცენტული შემადგენლობით მთელი მოსახლეობის საერთო რიცხვთან შეფარდებით. ამ პრინციპის წინააღმდეგ გამოსვლა შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ ხელში ჩაიგდონ სხვისი ქონება, მათ ამოძრავებთ არა კანონი, არა სამართალი, არა მშვიდობისა და შრომის წყურვილი, არამედ მხოლოდ მომხვეჭელობა“... (იხ. ჩემი სტატია „როგორ აღკვეთოთ ტომობრივი უთანხმოებანი“, გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, №4567, 1897).

ეს გახლავთ საკმაოდ ნათლად გამოხატული ყველა დროის შეუცვლელი ჩემი პოლიტიკა. მხოლოდ ეს შემეძლო გამეზიარებინა ვ. ლ. ველიჩკოსათვის, მხოლოდ ამ პოლიტიკას ვწერგავდი უფრო მწყობრად იმ მცირერიცხოვან წერილებში, რომლებიც მის გაზეთში იბეჭდებოდა. ამ წერილებს ერთვოდა რედაქტორის მგზნებარე და საფუძვლიანი კომენტარები. ვ. ლ. ველიჩკოს სწამდა, რომ არა თვითმმართველობას, არამედ მხოლოდ რუსულ თვითმპყრობელობას შეეძლო ჩვენი მცირერიცხოვანი ერების გაერთიანება, ზოგის წახალისებით, ზოგისთვის ლაგამის ამოდებით.

მაშინდელ ლიტერატურული (ჟურნალისტური – დ. ჩ.) საქმიანობის განმკითხავთაც არ შეეძლოთ ამ განსხვავების შეუცნობლობა. ასე მაგალითად, ა. ვ. ამფითეატროვი გაზეთ „როსიაში“ ვ. ლ. ველიჩკოს თანამდებობიდან განთავისუფლების შემდეგ, ჩემზე წერდა, როგორც ბ-ნ ველიჩკოს საპირისპირო აზრის მქონე ჟურნალისტზე. სომხების განზრახვებისგან ქართველი ხალხის ინტერესების დაცვის გამო, ამფითეატროვი აღნიშნავდა, რომ მე თავს არ ვესხმი ჩვენი მეზობლების სინმინდეებს, არ ვზღუდავ მათ უფლებებს, არ ვეხები მათ ინტერესებს და ა. შ. თქვენს თანამშრომელს, ამ წლის სისხლიანი დარბევების (1905 წ.) მნახველს, შეეძლო ბ-ნ ამფითეატროვზე შორს წასულიყო. მან ალბათ შეიტყო, რომ ჩემი პროგრამის განხორციელება გადაარჩინდა ბევრის სიცოცხლეს და ქონებას. ჰკითხოვს იმ სომხებს, რომლებმაც ახლა იმავე მახვილს მიმართეს, რასაც ვ. ლ. ველიჩკო უწევდა რეკომენდაციას, ჩემს მიერ შემოთავაზებული საზღვრების გავლების გარდა, რა დაიცავდა მათ ინტერესებს თავისუფალ სახელმწიფოში?¹

¹ 1899 წლის №№18 და 19 გაზეთ „კავკაზში“, რომელსაც **ვ. ლ. ველიჩკო** რედაქტორობდა, სტატიაში „ქალაქის თვითმმართველობის ორგანული მანკიერებანი“, ვწერდი: „შორს არ არის ის დრო, როცა ბინათმფლობელები, მით უფრო სომხები, თავს გაბატონებულად რომ თვლიან, ამ ჩემი წინადადებიდან (პროპორციული წარმომადგენლობითობიდან) თავის „სახარებას“ შექმნიან. მე მოვესწარი ამ ჭეშმარიტების მომენტს. სწორედ ეს „პროპორციული წარმომადგენლობა“, როგორც მისი თვისტომების ინტერესების დაცვის ვარიანტი, მოითხოვა სოლსკის სათათბიროში სომხების წარმომადგენელმა **თავ. ნ. არგუტინსკი-დოლგოროუკოვმა**, როცა ირჩევდნენ სახელმწიფო სათათბიროში. მე სიამოვნებით დაეუჭირე მხარი მის მოთხოვნას (შენიშვნა 1905 წლისა).

კომენტარები:

ადელხანოვი 1873 წელს ჩამოვიდა ტფილისში მეფის ნაცვლის ნებართვით ჯარის და მოქალაქეებისთვის იაფი ნედლეულით ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შესაკერად, გახსნა სანარმო, სადაც მუშებს ძალიან ცოტას უხდიდა და მუდმივი შეხლა-შემოხლა ჰქონდა მათთან.

ალადატოვი ს. პ. – ტფილისის საბჭოს ხმოსანი, ჩოხოსანი, ქალაქის საშუალო ვაჭართა წოდების წარმომადგენელი, რომელსაც აზრის გადმოცემა უჭირდა, რაც ხმოსნების ღიმილს იწვევდა.

ალადატოვი ნილო გაიოს ოვანესის ძე (?-1875) – დაამთავრა ტფილისის გიმნაზია, სწავლა მოსკოვის უნივერსიტეტში განაგრძო. თეატრით იყო გატაცებული. 1858 წ. მოსკოვში თეატრის მოყვარულთა წრემ ალადატოვის პიესა – „ახ, ჩემი დაკარგული 50 ოქრო“ დადგა, ეს პიესა დიდხანს იდგმებოდა სომხური დასის მიერ. ალადატოვმა 1865 წ. დაამთავრა უნივერსიტეტი და ტფილისში დაბრუნდა. 1866 წელს დაინიშნა ტფილისის მარიამის სახელობის ქალთა სასწავლებელში მასწავლებლად, ასრულებდა ქალაქის მერის მოვალეობასაც. 1875 წ. გარდაიცვალა ტუბერკულოზით.

ალიხანოვი ი. ს. – სომეხი მენარმე, ტფილისის ურთიერთკრედიტის საზოგადოების საბჭოს წევრი. ნავთობმრეწველობის და ვაჭრობის საზოგადოების დირექტორი ტფილისში.

ალიხანოვი კ. მ. (1849-1931) – ტფილისის კომერციული ბანკის სამმართველოს თავმჯდომარე, სააფთიაქო საქონლით ვაჭრობის კავკასიის ამხანაგობის დირექტორი, ტფილისში საპნის წარმოების, კარაქის მრეწველობის და სანთლის მრეწველობის ქარხნების დირექტორი. ალიხანოვის სახელი დაკავშირებულია ტფილისის მუსიკალურ სასწავლებელთან, რომლის ბაზაზეც ჩამოყალიბდა კონსერვატორია.

ამატუნი ნ. ი. – თავადი, ტფილისის საბჭოს ხმოსანი, საპნის ქარხნის მფლობელი ტფილისში.

ამფითეატროვი ალექსანდრე ვალენტინის ძე (1862-1938) – რუსი მწერალი, მოსკოვის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული (1885), მეფის ოჯახზე მწვავე ფელეტონის – „ბატონო მატყუარებო“ – გამოქვეყნების გამო (1902 წ.) გაასახლეს მინუსინსკში. 1880-იან წლებში ცხოვრობდა ტფილისში, თანამშრომლობდა კავკასიურ რუსულ პრესაში, წერდა ფსევდონიმით „მოსკოველი ფაუსტი“. 1920 წ. ემიგრაციაშია. გარდაიცვალა იტალიაში 1938 წ.

არგუტინსკი-დოლოგორუკოვი ნიკოლოზი (1851-1919) – თავადი, საიმპერატორო კარის კამერჰერი; იმ მცირერიცხოვან სომეხთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, ვინც სამჯერ აირჩიეს და გადაირჩიეს ტფილისის ქალაქისთავის თანამდებობიდან, როცა გადადგა (1891 წ.), ქართველმა და რუსმა დეპუტატებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ აღარ აერჩიათ. მესამედ ქალაქის მერად 1904 წ. აირჩიეს. მერობიდან გადადგომის შემდეგ მუშაობდა განათლების სფეროში. სიკვდილამდე ვაჟთა გიმნაზიის საპატიო მზრუნველი იყო, ინვალიდი ბავშვებისთვის დააარსა სკოლა, ჰქონდა ძალიან კარგი ბიბლიოთეკა.

არგუტინსკი-დოლოგორუკოვი ვლადიმერ ნიკოლოზის ძე (1874-1941) – თავადი, დაიბადა ტფილისში, გარდაიცვალა პარიზში. იყო რუსი დიპლომატი, კოლექციონერი, ხელოვნებათმცოდნე. დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი და კემბრიჯის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. პეტერბურგში დაუახლოვდა პეტრე ჩაიკოვსკის და მის ძმას დრამატურგ მოდესტ ჩაიკოვსკის. მათ შექმნეს საზოგადოება „მეოთხე სუიტა“.

1898-1912 წლებში იყო პარიზში რუსეთის დიპლომატიური სამსახურის საელჩოს მდივანი, „რუსული დიაგილევის სეზონის“ მომწყობი. შეაგროვა ხელოვნების ბევრი ნიმუში, მხატვრული ტილოები, ფაიფურის ნივთები. იყო „რუსული მუზეუმის“ სამხატვრო საბჭოს წევრი. მან „ერმიტაჟის“ მუზეუმს გადასცა ბევრი ნივთი თავისი კოლექციიდან. 1921 წ. საფრანგეთში წავიდა ემიგრაციაში. გარდაიცვალა პარიზში, დაკრძალულია პარიზის სიახლოვეს სენტჟენევიე დებუაში.

არგუტინსკი-დოლოგორუკოვი ალექსანდრე მიქაელის ძე (1860-?) – სწავლობდა ტფილისის რეალურ სასწავლებელში, შემდეგ მოსკოვში, დაინტერესებული იყო სოფლის მეურნეობის საკითხებით, ზორჩალოს მაზრის რკინიგზის განვითარებისათვის შეადგინა 25 წლიანი სამუშაო გეგმა. თანამშრომლობდა რუსულ პრესაში. 1896 წელს აირჩიეს ტფილისის საქალაქო საბჭოს წევრად; 1902 წ. ა. მ. დოლოგორუკოვი ქალაქისთავი გახდა, მაგრამ გუბერნატორმა არ დაამტკიცა, თუმცა ქალაქის მშენებლობას ის ხელმძღვანელობდა. 1911 წელს დოლოგორუკოვი ქალაქისთავის მოადგილედ აირჩიეს.

„არძაგანკი“ („ეხო“) – კვირაში სამჯერ გამომავალი გაზეთი ტფილისში, 1882 წელს დააარსა აბგარ იოანნისიანმა, 1884 წელს 8 თვით შეწყდა, შემდეგ განახლდა, 1889 წ. ილუსტრაციებით გამოვიდა. მასალები მკაცრი ცენზურით იბეჭდებოდა, თუმცა აკრძალვით არ აკრძალულა. დღემდე გამოდის ერევანში.

ბაბოვი არშაკ სერგეის ძე – ექიმი, ტფილისის საბჭოს ხმოსანთა „მესამე“ რაიონის ზედამხედველი. მთელი ქონება ანდერძით დაუტოვა ქალაქის

თვითმმართველობას და საქველმოქმედო ორგანიზაციას. გარდაიცვალა 1908 წელს.

ბაქრაძე დ. ნ. – ქუთაისის ბანკის სამეთვალყურეო კომიტეტის წევრი.

ბეზუთოვი კონსტანტინე (კოტე) – ტფილისში რუსულ ენაზე გამომავალი გაზეთის „ტიფლისკი ვესტნიკის“ დამაარსებელი (1873 წ.), ამავე გაზეთის რედაქტორი 1874-79 წლებში.

ბელინსკი ბესარიონ გრიგოლის ძე (1811-1848) – დაიბადა სევაბორგში, ექიმის ოჯახში, გარდაიცვალა პეტერბურგში. რუსი ლიტერატორი, კრიტიკოსი, ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, რეალისტური ესთეტიკის და რეალისტური კრიტიკის ფუძემდებელი რუსეთში. სწავლობდა პენზის გიმნაზიაში, 1829 წ. შევიდა მოსკოვის უნივერსიტეტის სიტყვიერების განყოფილებაზე. 1833 წ. თანამშრომლობდა ჟურნალ „ტელესკოპში“, გაზეთ „მოღვაში“, 1836 წ. ბელინსკი რედაქტორობდა გაზეთ „მოსკოვსკი ნაბლუდატელს“. 1839 წ. ბოლოს საცხოვრებლად გადადის პეტერბურგში, სადაც ჟურნალ „ოტჩინესტვენნიე ზაპისკის“ ლიტერატურისა და კრიტიკის განყოფილების გამგედ იწყებს მუშაობას. ეს ჟურნალი ბელინსკიმ ძალზე პოპულარულ ჟურნალად აქცია. 1846 წ. ბელინსკი ჟურნალ „სოვრემენიკში“ გადავიდა.

„გოლოსი“ – პეტერბურგში გამომავალი ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი, რომელიც იბეჭდებოდა 1863-1883 წ.წ. ა. კრავესკის რედაქტორობით. გამოხატავდა ლიბერალური ბურჟუაზიის ინტერესებს. გაზეთში თანამშრომლობდნენ ქართველი პუბლიცისტები.

დეპრე მარსელ (1843-1918) – ფრანგი ფიზიკოსი და ელექტროტექნიკოსი, პარიზის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. დეპრემ კაპიტალისტ როტმილდის დახმარებით შექმნილ ლაბორატორიაში ჩატარებული კვლევების შედეგად პარიზის ქუჩები ელექტროდენით გაანათა.

დოლუხანოვი მ. ი. – იურისტი, ტფილისის საარჩევნო კომისიის წევრი.

ევანგულოვი გევორჯ გრიგორის ძე (1843-1910) – იურისტი; დაიბადა ტფილისში. დაამთავრა პირველი გიმნაზია, პეტერბურგში დაამთავრა უნივერსიტეტი. ახალგაზრდობაში თამაშობდა სცენაზე, წერდა სტატიებს სომხურ პრესაში. 1867 წ. დაბრუნდა ტფილისში, მუშაობდა გამომძიებლად, პროკურორის მოადგილედ. 1882 წ. აირჩიეს სამოსამართლო დეპარტამენტის წევრად. 1883 წ. ევანგულოვი სახელმწიფო სამსახურიდან მიდის, ადვოკატობით აგრძელებს ცხოვრებას, ეკავა ტფილისის ურთიერთკრედიტის საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარის პოსტი. 1870 წ. აირჩიეს ქალაქის სამმართველოს წევრად. 1897 წ. აირჩიეს ქალაქისთავად.

ქალაქის საბჭოში ევანგულოვს “ჩაქუჩის” როლი ეკისრებოდა, კამათში არ მონაწილეობდა, მაგრამ გამოცდილი მონადირის გამჭრიახობით ალლოს აულებდა ნევრთა განწყობილებას და თავდაჯერებით შეიტანდა წინადადებას, რომელიც დაბრკოლების გარეშე გავიდოდა და კამათიც მთავრდებოდა.

1899 წ. ევანგულოვმა სვეტიცხოვლის რესტავრაციისათვის მდიდარ სომხებს შემონიროლბა სთხოვა, ერთი თვის მანძილზე დიდძალი თანხა შეგროვდა. მისი მერობის დროს გაიხსნა მხატვრობისა და ძეგნვის სკოლა. ევანგულოვი გარდაიცვალა 1901 წელს, ჰერეკლეს აბანოში.

ვეინგოფი ს. – კავკასიის წყალთა და მდინარეთა ინსპექტორი, ტფილისის ოლქის სასამართლოს საპატიო მომრიგებელი მოსამართლე.

ველიჩკო ვასილ ლევის ძე (1860-1903) – უკრაინული წარმოშობის რუსი პოეტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე. 1896-1899 წლებში იყო ტფილისში გამომავალი რუსულ გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორი, თვითმპყრობელობის აპოლოგეტი.

ვირხოვი რუდოლფ ლუდვიგის ძე (1821-1902) – გერმანელი ექიმი, პათანატომი, ჰისტოლოგი, უჯრედული თეორიის ფუძემდებელი ბიოლოგიასა და მედიცინაში; ასევე, არქეოლოგი, ანთროპოლოგი, პალეონტოლოგი. 1843 წელს დაამთავრა ბერლინის სამედიცინო ინსტიტუტი, 1848 წლიდან სილეზიაში ტიფის გავრცელების წინააღმდეგ იბრძოდა, 1888 წლიდან შლიმანთან ერთად მოიარა ეგვიპტე, ნუბია და პელეპონესი, რის შედეგადაც ბერლინში დააარსა „ტანსაცმლისა და საოჯახო ნივთების გერმანიის მუზეუმი“. რუდოლფ ვირხოვი იყო პიროგოვის სახელობის რუსეთის ქირურგიის ინსტიტუტის საპატიო წევრი 1890 წლიდან.

ვორონცოვი მიხეილ სიმონის ძე (1782-1856) – მეფისნაცვალ კავკასიაში 1845-1854 წლებში. მის დროს 1850 წ. 2 იანვარს (15 იანვარს) აღდგა პროფესიული ქართული თეატრი, დაიდგა გ. ერისთავის კომედია „გაყრა“, ხოლო 1852 წ. გამოიცა პირველი კერძო ლიტერატურული ყოველთვიური ჟურნალი „ცისკარი“, შეიქმნა ქალთა გიმნაზია კუკიაზე.

„ვოზროყდენი“ – რუსულ ენაზე ტფილისში გამომავალი ყოველდღიური გაზეთი. პირველი ნომერი 1905 წლის 1 (14) ოქტომბერს გამოვიდა, დეკემბრის ბოლოს შეჩერდა, 1906 წლის 19 თებერვალს განახლდა გამოცემა ყოველდღიური გაზეთის სახით. რედაქტორები: პ. ა. გოთუა, პ. ი. თუმანიშვილი, გამომცემელი პ. ა. გოთუა. 1906 წლიდან რედაქტორია ა. ვ. მდივანი, გამომცემელი – პ. ა. გოთუა. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ გაზეთი განახლდა გორდელაძის რედაქტორობით.

ზუბალოვი (ზუბალაშვილი) ნიკოლოზ დავითის ძე – საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი, 1891 წლიდან ქალაქის საბჭოს ხმოსანი;

განათლებული, ენამოსწრებული, რომლის გამოსვლისასაც საბჭოს დარბაზში სიჩუმე მყარდებოდა, თუმცა, იშვიათად სტუმრობდა სხდომებს, რადგან მარტოხელა, მდიდარი კაცი ტფილისში იშვიათად იყო, მოგზაურობდა ევროპაში, საიდანაც პროგრესული საქმით ბრუნდებოდა.

თამამშვივი მ. ი. (1852-1908) – კავკასიოლოგი, განმანათლებელი და ქველმოქმედი. 1887-1894 წ.წ. კომერციული ბანკის მმართველი.

თუმანოვი (თუმანიშვილი) გიორგი მიხეილის ძე (1854-1900) – 1875 წ. დაამთავრა ნოვოროსიის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი სამართლის კანდიდატის ნოდებით. ერთხანს მუშაობდა ფოთის სასამართლო უწყებაში, შემდეგ მეფისნაცვლის კანცელარიაში. 1891 წელს შეიძინა გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“, წერდა ქართულ და რუსულ ენაზე, თანამშრომლობდა გაზეთებში: „დროება“, „ივერია“, „ტიფლისკი ვესტნიკი“, „ფალანგა“; 1878-1879 წ.წ. ქართულ ენაზე შეადგინა ლიტერატურული აღმანახი; ქართული თეატრის აღდგენითა და მუდმივმოქმედი დასის რეჟისორობით ისახელა თავი.

ივანენკო – ტფილისის სათათბიროს გამგეობის წევრი, რომელსაც 1896 წელს, ქალაქისთავის ნ. არგუტინსკი-დოლოგორუკოვის გადადგომის შემდეგ, ქალაქისთავის მოვალეობის შესრულება დაეკისრა.

იზმაილოვი პოლოს ალექსანდრეს ძე (1852-1895) – დაიბადა ერევანში, დაამთავრა ადგილობრივი გიმნაზია. სხვა ვერსიით, ბაბუამისი ჩავარდა ტყვედ თურქებთან ომის დროს; როდესაც სუფოროვმა გაათავისუფლა ბესარაბიის ქალაქი იზმაილი, სადაც ეს ბაბუა იმყოფებოდა, მან მიიღო გვარი იზმაილოვი. დედის მხრიდან ბაბუა იყო ექიმი მეფე გიორგის კარზე. იზმაილოვი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ გაემგზავრა პეტერბურგში, პირველი კურსის დასრულებისთანავე დაბრუნდა ტფილისში სტუდენტური არეულობის გამო, დაუკავშირდა ქართველ ჟურნალისტებს – ნ. ნიკოლაძეს, ს. მესხს, გ. წერეთელს, შექმნა ქართული სტამბა, ნ. ნიკოლაძესთან ერთად დააარსა „ივანოვის ბიბლიოთეკა“, იღწვოდა „დროების“, „კრებულის“ რედაქციაში ქართველ მოღვაწეებთან ერთად. ჰქონდა საუკეთესო ბიბლიოთეკა, რომელიც შთამომავლებმა მიჰყიდეს მდიდარ სომხებს, რომ ამ თანხით ნასულიყვნენ საზღვარგარეთ.

პ. იზმაილოვი, ნ. ნიკოლაძესთან ერთად, 1873 წელს პარიზში, ქართულ ენაზე 10 დღის განმავლობაში გამოსცემდა გაზეთს „დროშა“.

პ. იზმაილოვი ცდილობდა ტფილისის თვითმმართველობა შეესებულებოდა ახალგაზრდა დეპუტატებით, რაც წარმატებით დასრულდა. ა. მატინოვის ქალაქისთავად არჩევის შემდეგ (1879 წ.) იზმაილოვი ხდება ყველაზე აქტიური წევრი საქალაქო საბჭოში, იგი 1879-1890 წ.წ. ქალაქის საბჭოს სათავეშია.

1877-1883 წ.წ. პ. იზმაილოვი ოთხჯერ, ორ-ორი წლით, მუშაობდა საქალაქო საბჭოს მდივნად. 1880 წ. იზმაილოვმა მხარი დაუჭირა ტფილის-

ში სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებას, რისთვისაც დააანონსა 100000 მანეთის გამოყოფა ქალაქის შემოსავლებიდან. გარდაიცვალა პეტერბურგში 1895 წელს, დაკრძალულია ტფილისში, ვანქის სასაფლაოზე.

იზმაილოვი ნ. ა. – 1891 წ. არჩევნებში, როგორც „მესამე ელემენტის“ წარმომადგენელი, ვერ გავიდა სათათბიროს ხმოსნად. იგი, შესაძლოა, ტფილისის მერის, პოლოს იზმაილოვის ძმა იყო.

იოანისიანი აბგარ არტემის ძე (?-1904) – სომეხი ჟურნალისტი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, განათლება მიიღო გერმანიაში. რედაქტორობდა ჟურნალ „პორცს“ (1876-1881 წწ.), გაზეთ „არძაგანკს“ („ეხოს“, 1882-1898). მანვე გერმანულ ენაზე გამოსცა „სომხური ბიბლიოთეკა“ 1886-1888 წ.წ., გამოიცა 9 წიგნი, რომელშიც გამოქვეყნდა სომხური ლიტერატურის თარგმანები, „კავკასიის შესახებ ცნობების კრებული“ (ტ. I), „სომხური ანდაზები“.

„იურიდიჩესკოე ობოზრენიე“ – 1881-1886 წ.წ. თბილისში გამომავალი ყოველკვირეული ჟურნალი, რედაქტორ-გამომცემელი ა. ვ. სტეპანოვი.

„კავკაზი“ – გაზეთი, 1846-1918 წლებში გამოდიოდა ტფილისში. დაარსდა კერძო გამოცემის უფლებით. 1846-1851 წ.წ. კვირაში ერთხელ იბეჭდებოდა, 1852-1867 წ.წ. – კვირაში ორჯერ, 1868-1876 წ.წ. – კვირაში სამჯერ, 1877 წ. ყოველდღიურია. 1856 წ. „კავკაზი“ ოფიციალური სამთავრობო გაზეთია და მთავარმმართველის კანცელარიის განკარგულებაშია. 70-ზე მეტი წლის გაზეთს 20-მდე რედაქტორი ჰყავდა. გაზეთის მიმართულება იცვლებოდა იმის მიხედვით, თუ ვინ იყო მისი რედაქტორი.

კატკოვი მიხეილ ნიკიფორეს ძე (1818-1887) – რუსი პუბლიცისტი, გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ რედაქტორი, რუსეთის იმპერიის ასიმილაციური პოლიტიკის გამტარებელი.

„კასპი“ – რუსულენოვანი გაზეთი, რომელიც გამოდიოდა ბაქოში 1881-1916 წლებში.

ლიბიხი – ინჟინერი, ბაქოში ნავთის ქარხნის დამპროექტებელი.

მატინოვი ალექსანდრე სტეფანეს ძე (1843-1909) – დაიბადა ტფილისში. 1862 წ. ადგილობრივი გიმნაზიის დასრულების შემდეგ შევიდა მოსკოვის იურიდიულ უნივერსიტეტში, რომელიც 1866 წ. დაამთავრა. ერთი წელი მოსკოვის გუბერნიის პროკურორთან გადიოდა პრაქტიკას. 1867 წ. ქუთაისის და შორაპნის გუბერნიებში მსახურობდა.

1868 წ. სასამართლო რეფორმის შემდეგ მატინოვი დაინიშნა ტფილისის მეორე კვარტლის მოსამართლის თანაშემწედ, სადაც ორი წელი სასა-

მართლოს გამომძიებლად იმუშავა. 1874 წ. აირჩიეს ქალაქის საბჭოს ხმოსნად, სადაც 22 წელი დაჰყო, ხოლო ტფილისის ქალაქისთავად არჩეული იყო 12 წელი. მისი მერობის დროს მოხდა ელექტროტრამვაის შემოყვანა ქალაქში, მერიის შენობის რეკონსტრუქცია, ვერის ხიდის გაყვანა, თბოსადგურის აშენება და სხვ. მეოთხედ არჩევის მეორე თვის ბოლოს მან დატოვა თანამდებობა და თევზის ბიზნესსა და ნავთობის მოპოვებაში ჩაერთო; სიკვდილის წინ ტფილისის დიდი თანხა შესწირა (200 000). გარდაიცვალა პარიზში, ჩამოასვენეს ტფილისში, დაკრძალეს ტფილისის მონასტრის მთავარ ეკლესიაში.

მატინოვი მ. ნ. – ტფილისის საბჭოს გამგეობის წევრი.

მაჩაბელი მ. ვ. (1858-1927) – აგრონომი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე. დაამთავრა თბილისის რეალური სასწავლებელი, სწავლობდა მოსკოვის პეტროვსკო-რაზუმოვსკის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში; მოსკოვში მონაწილეობდა ქართველთა სათვისტომოს დაარსებაში; სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1883 წლიდან, მუშაობდა ტფილისის თვითმმართველობის საფინანსო განყოფილებაში და სავაჭრო ზედამხედველთა უწყებაში. იყო ტფილისის საქალაქო საბჭოს ხმოსანი (1887-1892 წწ.); თანამშრომლობდა გაზეთებთან “ივერია” და “კავკაზი”. მისი ინიციატივით, 1907 წელს თავადაზნაურობამ დააარსა საადგილმამულო კომისია ყოფილ ყმაგლეხთათვის მიწის შეძენა-დამუშავებაში ხელშესაწყობად, 1907-1911 წლებში იყო ამ კომისიის თავმჯდომარე; 1914-1921 წლებში – ქართული საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარე; 1917 წლის ნოემბერში იყო საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის დელეგატი. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

მელიქ-კარაკოზოვი გიორგი პავლეს ძე (1873-1940) – დაიბადა ერევანში. დაამთავრა ბერლინის უნივერსიტეტი და ბრიუსელის კონსერვატორია. რედაქტორობდა გაზეთ „არშალუისს“, ჟურნალ „კავკასიის მოამბეს“ (1903-1905), გაზეთ „მშაკს“ (1920); იყო სახალხო თავისუფლების (კადეტთა) პარტიის ამიერკავკასიის კომიტეტის წევრი, 1918 წ. – სომხეთის სახალხო პარტიის ცკ-ის წევრი; 1917-1918 წ.წ. ამიერკავკასიის ჯარისკაცთა და მათი ოჯახების დაცვის კომისრის პოსტი ეკავა, ხოლო 1918-1919 წ.წ. იყო სომხეთის რესპუბლიკის განათლებისა და ხელოვნების მინისტრი. გარდაიცვალა 1940 წელს.

მესხი სერგეი (1845-1883) – ქართველი საზოგადო მოღვაწე, პროფესიონალი ჟურნალისტი, მებრძოლი პუბლიცისტი, გაზეთ „დროების“ რედაქტორი 1869-1883 წ.წ., პირველი ქართველი სამხედრო კორესპონდენტი რუსეთ-თურქეთის ომში (1877-78 წ.წ.). სერგეი მესხმა დიდი წვლილი შეიტანა ახალი ქართული სალიტერატურო ენის, კრიტიკის, ჟურნალისტიკისა და ქართული თეატრის განვითარების საქმეში.

მიქელაძე ვ. ს. – ტფილისის საკრებულოს ხმოსანი (1898), საურთიერთო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, ამავე საზოგადოების ბანკის თავმჯდომარე (1906).

მოლიერი ჟან ბატისტ (პოკლენი) (1622-1673) – ფრანგი დრამატურგი, მსახიობი, თეატრალური მოღვაწე, კომედიის ჟანრის ფუძემდებელი, 1643 წ. პარიზში ჩამოაყალიბა დასი, რომელმაც ორი წელი იარსება, შემდეგ შეუერთდა კომედიანტთა მოხეტიალე დასს და 1645 წ. ამ დასთან ერთად პროვინციებში მართავდა წარმოდგენებს, 1650 წ. თვითონ ჩაუდგა ამ დასს სათავეში. საქართველოში XIX სუკუნის 30-იანი წლებიდან თარგმნიდნენ მოლიერის პიესებს და სცენაზე დგამდნენ.

ნიკოლაძე ნიკო იაკობის ძე (1843-1928) – პუბლიცისტი, კრიტიკოსი, მწერალი, ბანკირი, დიპლომატი. დაიბადა ქუთაისში, 1861 წ. დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და პეტერბურგში, უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე განაგრძო სწავლა. 1861 წ. სექტემბერში მონაწილეობდა სტუდენტურ გამოსვლებში, რის გამოც დააპატიმრეს, აღმოჩნდა პეტრეპავლეს ციხესა და კრონშტატის კაზემატებში. ამ არეულობაში მონაწილეობის გამო მოუხდა უნივერსიტეტის დატოვება და თვითგანვითარებით ცოდნის შეძენა. პეტერბურგში ჩოხით სიარულმა ნ. ნიკოლაძე ნ. ჩერნიშევსკის ოჯახთან დაახლოვა. 1862 წ. ზაფხული პავლოვსკში ნ. ჩერნიშევსკის გვერდით გაატარა, მისი ერთგული მიმდევარი გახდა. ნ. ჩერნიშევსკის დაპატიმრების და გადასახლების შემდეგ ნ. ნიკოლაძემ დატოვა პეტერბურგი და სასწავლებლად პარიზში გაემგზავრა. გატაცებით სწავლობდა ფილოსოფიას და პოლიტიკურ ეკონომიას, თანამშრომლობდა ლონდონში ჰერცენის „კოლოკოლში“.

1868 წ. ნ. ნიკოლაძემ, ლ. მეჩნიკოვთან ერთად, პარიზში გამოსცა ჟურნალი „სოვემენსოსტი“, ხოლო მ. ელპიდინთან ერთად დაბეჭდა ნ. ჩერნიშევსკის პირველი ტომი, რომლის შესავალი წერილი და კომენტარები ნ. ნიკოლაძეს ეკუთვნის.

1868 წ. ნ. ნიკოლაძემ დაასრულა ციურიხის უნივერსიტეტი სადოქტორო ნაშრომით – „განხილვა და მისი ეკონომიკურ-სოციალური შედეგები“, რომელიც ჟენევაში დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე ცალკე წიგნად.

1869 წ. ბოლოს ნ. ნიკოლაძე დაბრუნდა საქართველოში; 1870 წ. სერგეი მესხთან ერთად რედაქტორობდა გაზეთ „დროებას“, 1871-73 წ.წ. ჟურნალ „კრებულის“ ფაქტობრივი რედაქტორია. ეს ჟურნალი იბრძოდა ახალი ეკონომიკური პოლიტიკის დამკვიდრებისათვის, კაპიტალიზმის განვითარების, წარმოების, ვაჭრობის დანერგვისთვის.

„ტყიბულის ქვანახშირის“ გამო ნ. ნიკოლაძეს პარიზში ცხოვრება უწყვედა. მან შეისწავლა იმჟამინდელი ფრანგული პრესა და 1875 წ. ფრანგულად გამოაქვეყნა ბროშურა „ფრანგული პრესის დეკადანსი“, რომელშიც განმარტა კომუნარების შემდეგდროინდელი ფრანგული პრესის დაცემის

მიზეზები. 1876 წ. ნ. ნიკოლაძე თბილისში „დროების“ ერთ-ერთი ბურჟუაზიანი. 1877 წ. იგი რუსეთ-თურქეთის ომში ჰავასის სააგენტოს სამხედრო კორესპონდენცია.

1878 წ. პირველი იანვრიდან ნ. ნიკოლაძე რუსულ ენაზე გამოსცემს ყოველდღიურ პოლიტიკურ-ლიტერატურულ გაზეთ „ობზორს“. ხელისუფლების მამხილებელი მასალების პუბლიკაციისთვის ორჯერ გაასამართლეს და სტავროპოლში გადასახლეს.

1887 წ. ნ. ნიკოლაძე კვლავ ტფილისშია, რუსულ გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ ხელმძღვანელობს, რომელშიც 200-ზე მეტი სტატია გამოაქვეყნა. 1894-95 წლებში ჟურნალ „მოამბის“ აქტიური თანამშრომელია, 1895 წ. დეკემბერში ნ. ნიკოლაძე ფოთის ქალაქისთავად აირჩიეს, სადაც თითქმის 20 წელი დაჰყო, ააშენა და დაამშენა ფოთი თავისი ნავსადგურით.

1914-1916 წ.წ. კვლავ პუბლიცისტური ცხოვრებით იღწვის. „კლდე“, „განთიადი“, „იმერეთი“, „სამშობლო“ – ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტური სტატიებს აქვეყნებენ. 1916-1917 წ.წ. ნ. ნიკოლაძე პეტერბურგში ამფითეატროვის გაზეთ „რუსსკაია ვოლიას“ მთავარი კორესპონდენცია. 1917 წ. ივნისში ნ. ნიკოლაძე ტფილისში დაბრუნდა, მისი უშუალო მონაწილეობით დაარსდა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, იგი ამ პარტიის საპატიო თავმჯდომარე იყო.

1918 წლის 26 მაისს ნიკო ნიკოლაძემ ხელი მოაწერა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს. 1918 წ. ივნისში ნ. ნიკოლაძე აკაკი ჩხენკელთან ერთად ბერლინში გაემგზავრა გერმანიის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად. 1920 წ. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ნ. ნიკოლაძე საგარეო საქმეთა მრჩეველად დანიშნა ევროპის ქვეყნებში. 1920 წ. აპრილში, ჭიათურის მარგანეცის საქმეების მონესრიგების მიზნით, მთავრობამ ნ. ნიკოლაძე მიავლინა ლონდონში, სადაც 1924 წ. მარტამდე დარჩა. ტფილისში დაბრუნებული ისევ კალმით ემსახურებოდა ქართულ კულტურას და განათლებას. სამშობლოს წინაშე მისი დიდი ღვაწლის დაფასების დასტურად ნიკო ნიკოლაძე თამარ მეფის ოქროს ორდენით იყო დაჯილდოებული.

გარდაიცვალა 1928 წლის 1 აპრილს ფილტვების ანთებით. დაკრძალულია მთაწმინდაზე.

ნოვოსელსკი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე (1820-1901) – ოდესის ქალაქისთავი, „ზღვიოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოების“ დამაარსებელი, კავკასიის წიაღისეული სიმდიდრით დაინტერესებული საქმოსანი.

„ნოვოე ობოზრენიე“ – ტფილისში გამოქვეყნებული ყოველდღიური რუსული გაზეთი (1884-1906 წ.წ.), პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების, გამოირჩეოდა პოლიტიკური, ეკონომიკური, საზოგადოებრივი პრობლემების აქტიური გაშუქებით. რედაქტორ-გამომცემლები: ა. სტეპანოვი (1884-1887), ოლ. ნიკოლაძე და მ. უსპენსკი; 1887-1891 წ.წ. ფაქტობრივი რედაქტორი ნ. ნიკოლაძეა, ხოლო 1891-1906 წ.წ. – კ. და გ. თუმანიშვილები.

„ობზორი“ – ტფილისში, 1878-1883 წლებში, რუსულ ენაზე, ნიკო ნიკოლაძის რედაქტორობით გამომავალი ყოველდღიური, პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთი (ფაქტობრივად, „ობზორი“ 1878-1880 წლებში გამოდიოდა, აქედან 11 თვე აკრძალული იყო; 1881, 1882 და 1883 წელს მხოლოდ თითო ნომერი გამოვიდა). „ობზორს“ საკუთარი კორესპონდენტები ჰყავდა რუსეთისა და ევროპის დიდ ქალაქებში. „ობზორის“ რედაქტორმა ორი სასამართლო პროცესი გადაიტანა გაზეთში კრიტიკული მასალების გამოქვეყნების გამო. მეორე პროცესის შემდეგ, 1880 წ., ნ. ნიკოლაძე გაასახლეს ტფილისიდან ხუთი წლით.

პავლენოვი დ. ა. – ტყავის სახელოსნოს მფლობელი ტფილისში.

პასკალი ზღუზ (1623-1662) – გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი და მწერალი.

პლუტარქე (დაახ. 50-125) – ცნობილი ბერძენი მწერალი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი.

პრეობროჟენსკი ვ. – ქალაქის რწმუნებული სოხუმში.

რაშეტი ი. ი. – აჯამეთის ტყის მფლობელი.

რიშელიე არმან (1585-1642) – ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე, კარდინალი. საფრანგეთის სახელმწიფოს მმართველი გახდა 1624 წლიდან, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ, მან საფრანგეთში გაამყარა აბსოლუტიზმი. რიშელიე ხელს უწყობდა ფრანგული კლასიციზმის განვითარებას ლიტერატურასა და ხელოვნებაში, შექმნა საფრანგეთის აკადემია და საფრანგეთის ძლიერი სახელმწიფო.

„როსია“ – პეტერბურგში 1899-1902 წ.წ. გამომავალი ლიბერალური მიმართულების ყოველდღიური გაზეთი. გამომცემელი მატვეი ალბერტი.

სარაჯიევი დ. ზ. (სარაჯიშვილი დავით ზურაბის ძე) (1845-1911) – დიდი ქველმოქმედი და მეცენატი, მენარმე, ქიმიის და ფილოსოფიის დოქტორი, ქართული კონიაკის წარმოების პიონერი. სარაჯიშვილის მიერ გამოყოფილი სტიპენდიით მრავალმა ახალგაზრდამ მიიღო განათლება რუსეთისა და ევროპის უმაღლეს სასწავლებლებში.

სოლსკი დმიტრი – გრაფი, რუსეთის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე 1905-1906 წწ. მისი ხელმძღვანელობით 1905 წელს სანკტ-პეტერბურგში მუშაობდა სპეციალური კომისია, რომელიც განიხილავდა

საკითხს: გავრცელებულიყო თუ არა კავკასიაშიც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების დებულება.

ნ. არგუტინსკი-დოლოგორუკოვი, რომელსაც ნ. ნიკოლაძე ახსენებს “სოლსკის სათათბიროს” კონტექსტში, 1906 წელს იყო რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს პირველი მოწვევის დეპუტატობის კანდიდატი ტფილისის გუბერნიაში, მაგრამ საჭირო ხმები ვერ მოიპოვა.

სტეფანოვი ა. ვ. (1845-1887) – იურისტი, ნაფიცი მსაჯული, ადვოკატი, გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქტორ-გამომცემელი 1884-1887 წ.წ., გარდაიცვალა მანგლისში, დაკრძალულია ტფილისის ამალეების ეკლესიის გალავანში.

სტატკოვსკი ბოლესლავ (1825-1898) – ინჟინერი, კავკასიის საგზაო ოლქის უფროსი (1889-1898), გარდაიცვალა იტალიაში 1898 წელს, ჩამოასვენეს და დაკრძალეს ტფილისში.

ტაიროვი ტოლეს – თამბაქოს ქარხნის მფლობელი ტფილისში.

ტერ-გრიგორიანცი მოვსეს (?-1850) – ცნობილია, რომ ქალაქისთავი იყო 1845-1846 წ.წ., მის დროს გაჩნდა დიდი ხანძარი ქალაქში, დაინვა სავაჭრო ფარდულები. 1845 წ. 20 სექტემბერს გაიხსნა პირველი რუსული თეატრი, 1846 წ. – ტფილისის ჰიპოდრომი. მონაწილეობდა „მიქაელაინის“ ხიდის მშენებლობაში, რომელიც ვერ დაამთავრა. გარდაიცვალა 1850 წელს, დაკრძალულია ტერ-გრიგორიანცების საგვარეულო სასაფლაოზე.

„ტიფლისკი ვესტნიკი“ – პროგრესული პოლიტიკურ-ლიტერატურული გაზეთი, 1873-1880 წ.წ. გამოდიოდა ტფილისში; დააარსა კ. ბებუთოვმა, რომელიც 1874-79 წლებში რედაქტორობდა “ტიფლისკი ვესტნიკს”. 1880 წელს გამოვიდა გაზეთის 60 ნომერი და გამოცემა დაიხურა უსახსრობისა და, ძირითადად, თანამშრომელთა განსხვავებული აზროვნების გამო. 1881 წელს გამოვიდა მხოლოდ ერთი ნომერი. ამის შემდეგ გაზეთმა შეწყვიტა არსებობა. გაზეთში აქტიურად თანამშრომლობდნენ ნ. ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი და სხვა ქართველი პუბლიცისტები.

1906 წელს “ტიფლისკი ვესტნიკის” გამოცემის უფლება მიეცა ნაფიც ვეჟილს პ. მ. დოლუხანოვს. ეს იყო კადეტების პარტიის ყოველდღიური გაზეთი, რომელიც გამოცემიდან ერთ თვეში დაიხურა გენერალ-გუბერნატორის მიერ.

ყორღანოვი ანტონ სოლომინის ძე (1838-1902) – დაიბადა ყარაჩინარში (გიულისტანის გუბერნია), დაამთავრა სამხედრო სკოლა, კაპიტნის ჩინამდე იმსახურა სამხედრო უწყებაში, შემდეგ – სამოქალაქო სამსახურში. მუშაობდა საბანკო თანამდებობებზე; რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წ.წ. ომის დროს დაინიშნა არმიის მომმარაგებლად, შემდეგ დასახელდა ქალა-

ქისტავის კანდიდატად. ეკონომიკური საკითხების ცოდნა იმდროინდელ ტფილისელებს იმედს უნერგავდა, რომ ყორღანოვი კარგი მერი იქნებოდა.

შესტაკოვი მ. მ. – ტფილისის რუს ამომრჩეველთა კავშირის წევრი.

ჩერქეზოვი ვასილ ნიკოლოზის ძე (1837-1910) – დაიბადა კახეთში, სოფელ ჩაილურში, ადგილობრივი რეალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გაემგზავრა პეტერბურგში, ორ განყოფილებაზე შეიტანა საბუთები, იმდენად კარგად ჩააბარა, რომ ორივეზე მიიღეს, არც ერთი არ დაუმთავრებია, ისე დაბრუნდა ტფილისში, მიზეზი – ხელმოკლეობა იყო, დიდი ოჯახი უნდა შეენახა, კერძო გაკვეთილებით ეხმარებოდა ოჯახს; იყო გაზეთ „კავკასის“ კორექტორი; 1891 წ. ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კავშირის მდივანია, 1892 წ. იმავე კავშირის თავმჯდომარე. 1895 წ. ჩერქეზოვი აირჩიეს საბინათმოქმედო სახელმწიფო ბანკის ამიერკავკასიის ფილიალის წევრად; 1898 წ. აირჩიეს საკრებულოს შემადგენლობაში, ხოლო 1899 წ. – ქალაქისტავის მოადგილედ, 1907 წ. ჩერქეზოვი ტფილისის ქალაქისტავია. 1910 წ. 53 წლის ჩერქეზოვი გარდაიცვალა.

ცხვედაძე ნიკოლოზ ზებუნეს ძე (1845-1920) – დაიბადა სოფელ როჭინში (სამაჩაბლო), მღვდლის ოჯახში. განათლება ტფილისის სასულიერო სემინარიაში მიიღო, რომელიც 1865 წ. წარჩინებით დაამთავრა და სახელმწიფო ხარჯით მოსკოვის სასულიერო აკადემიაში ჩაირიცხა. 1870 წ. წარმატებით დაასრულა იგი და ტფილისის სასულიერო სემინარიაში მასწავლებლად დაინიშნა. იგი სემინარისტებს ღვთის რწმენასა და სიყვარულთან ერთად ასწავლიდა ქართული კულტურის, მსოფლიო ისტორიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის პრობლემებსაც, რისთვისაც განსწავლული პედაგოგი სემინარიიდან დაითხოვეს. 1874 წ. ამიერკავკასიის საქალეო ინსტიტუტში დაინიშნა ისტორიის, გეოგრაფიის და პედაგოგიკის მასწავლებლად. იგი ქალთა ემანსიპაციის პრობლემების საჯაროდ განხილვის პიონერთა შორისაა. ნ. ცხვედაძე ქართული უნივერსიტეტის შენობის აგების სულისჩამდგმელი, ორგანიზატორი, გამორჩეულად უდრევი პიროვნება იყო, რომელსაც ილია ჭავჭავაძემ „ნიკო აღმაშენებელი“ უწოდა. ნ. ცხვედაძე თანამშრომლობდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: „დროება“, „კრებული“, „ივერია“, „მოამბე“. 23 წლის ნ. ცხვედაძე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის (ილია ჭავჭავაძის) მოადგილე იყო. გარდაიცვალა: კავთისხევში. დაკრძალულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში (2008 წლიდან).

ჭავჭავაძე ილია გრიგოლის ძე (1837-1907) – დაიბადა ყვარელში, 1848 წ. ილია ტფილისში, კერძო (ჰაკეს) პანსიონში სწავლობდა, 1852 წ. – ტფილისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომლის დამთავრების შემდეგ – 1857 წ. პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა.

1863 წ. ილიამ ახალი ტიპის ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ გამოსცა; 1868-73 წ.წ. დუშეთის მაზრის მომრიგებელ მოსამართლედ მუშა-

ობდა; 1874 წ. ახლადშექმნილი სათავადაზნაურო – საადგილმამულო ბანკის თავმჯდომარეა, 1881 წ. – ქართული დრამატული საზოგადოების თავმჯდომარე, 1879-1885 წ.წ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების (ქ.მ.წ.კ.გ.) თავმჯდომარის მოადგილეა, ხოლო 1885 წლიდან – მისი უცვლელი ხელმძღვანელი.

1877 წ. ილია ჭავჭავაძემ დააარსა „ივერია“ – ქართველთა ეროვნული, ინტელექტუალური ცხოვრების ძირითადი ცენტრი 30 წლის მანძილზე. 1907 წ. 30 აგვისტოს (ძვ.სტ.) „ერის მამა“ წინამართან სიცოცხლეს გამოასალმეს, დაკრძალულია მთაწმინდაზე.

ჭრელაევი – ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი XIX საუკუნის 90-იან წლებში.

ხოსროევი ევგრაძე იაგორის ძე – ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრი, ტფილისში ღვინის ქარვასლის მფლობელი, რომლის დაკრძალვაზე 1902 წ. 26 მაისს, ლერმონტოვის ქუჩაზე არსებულ მის სახლში, მრავალრიცხოვანი საზოგადოება შეიკრიბა, ხოჯევანქის სასაფლაომდე ხელით მისასვენეს.

ხოსროევი სამველ კარაპეტის ძე – ქალაქის თვითმმართველობის გამგეობის წევრი (1883).

ჰერცენი ალექსანდრე ივანეს ძე (1812-1870) – რუსი რევოლუციონერი, ფილოსოფოსი, პუბლიცისტი. დაიბადა მოსკოვში, თავად ი. ა. იაკოვლევის მდიდარ ოჯახში. ალექსანდრე მამის მიერ გამოგონილ გვარს (Herz – გული) ატარებდა. 1833 წელს მან დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. ნ. პ. ოგარიოვთან ერთად ჰერცენმა უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა რევოლუციური განწყობის წრე, ამიტომ 1835 წელს იგი გაასახლეს ჯერ პერმში, შემდეგ ვიატკაში, მალე საცხოვრებლად პეტერბურგში გადავიდა. 1841 წელს სახელმწიფო პოლიტიკის მკაცრი კრიტიკისთვის გაასახლეს ნოვგოროდში, 1842 წელს დაბრუნდა მოსკოვში. ჰერცენი რუსეთში ლირიკული პუბლიცისტიკის საფუძვლის ჩამყრელია.

1847 წელს ჰერცენი ოჯახით გაემგზავრა საზღვარგარეთ, ჯერ პარიზში, შემდეგ შვეიცარიაში, უენევაში, შემდეგ კი ლონდონში ცხოვრობდა, სადაც 1853 წ. დააარსა თავისუფალი რუსული პრესა, რომელიც ებრძოდა რუსეთში ბატონყმობას და ცარიზმის დესპოტიზმს. 1855 წ. გამოსცემს ალმანახს „პოლიარნაია ზვეზდა“, ხოლო 1857 წ. ოგარიოვთან ერთად ლონდონში ბეჭდავს გაზეთ „კოლოკოლს“, პირველ რუსულ რევოლუციურ გაზეთს.

ჰერცენი გარდაიცვალა პარიზში 1870 წელს, დაკრძალეს პერლაშევის სასაფლაოზე, შემდეგ გადაასვენეს ნიცაში.

ჰერცი კორნელი (1606-1684) – ფრანგი დრამატურგი.